K 10989
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპარსული ისტორიული საგუთები საქართველოს წიგნთსაცავებში

I₂

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი X

სპარსული ისტორიული საბუთები

საქეგ-2000
შემოწმებულია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ О ГРУЗИИ
FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

ПЕРСИДСКИЕ ИСТОРИЧЕСКИЕ ДОКУМЕНТЫ В КНИГОХРАНИЛИЩАХ ГРУЗИИ

Книга I, выпуск 2
Издал В. С. ПУТУРИДЗЕ

Acta et Diplomata Historica Persice Scripta

ed. V. P'ut'uridze

ИЗДАТЕЛЬСТВО АН ГССР
ТБИЛИСИ 1962

Sumptibus Academiae scientiarum Georgiae
Tbilisiis, MCMLXII

9(55)„04-16"+ 9(C922)„16"…
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში

წიგნი I, ნაკვეთი 2

გამოსცა ვლ. ფუთურიძემ

K 10.989
4.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი 1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპარსული ისტორიული საბუთები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ როგორც ირანის, ისე საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. წინამდებარე გამოცემაში გამოქვეყნებულია სეფიანთა შაჰების: აბას II, სულეიმანის და სულთან-ჰუსეინის მიერ გამოცემული XVII საუკუნის მეორე ნახევრის 35 ფირმანი, რომელიც პირველხარისხოვან მასალას შეიცავს ირანისა და ა/კავკასიის ქვეყნების, კერძოდ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის შესახებ XVII საუკუნეში. ფირმანების სპარსული ტექსტის გარდა წიგნში მოცემულია აგრეთვე მათი ქართული თარგმანი და შეძლებისდაგვარად სრული არქეოგრაფიული აღწერა. იმ მიზნით, რათა მკითხველს შეეძლოს სპარსული ტექსტის გაშიფრვის სისწორის შემოწმება, გამოცემას ბოლოში დართული აქვს ფირმანების ფაქსიმილეები.

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ქაუხჩიშვილი,
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია.

სპარსული წყაროების
სერიის რედაქტორი
ვლ. ფუთურიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

„სპარსული ისტორიული საბუთების“ წინამდებარე მეორე ნაკვეთში წარმოდგენილია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში და საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივში დაცული 35 ფირმანი, რომელიც შაჰ-აბას II, შაჰ-სულეიმანისა და შაჰ-სულთან-ჰუსეინის მიერ არის გამოცემული. ყველა ეს საბუთი XVII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის და შეეხება როგორც საქართველოს, ისე სომხეთს, აზერბაიჯანს და დაღესტანს.

დიდი უმრავლესობა ამ საბუთებისა დედნებს წარმოადგენს. მათი შინაარსი ისეთივე ხასიათისაა, როგორისაც პირველ ნაკვეთში მოთავსებული საბუთები არის, ე. ი. აქაც გვაქვს ქართველი ფეოდალების, სომეხი მელიქების, დაღესტნის მფლობელების (ყაითაყის უცმის) და სხვ. სახელზე გაცემული ფირმანები და ბრძანებულებები, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებში არსებულ ფეოდალურ ურთიერთობას და სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხს შეეხება. ამ საბუთთა შორის გვაქვს აგრეთვე დოკუმენტები ქართველი ფეოდალებისათვის სამკვიდრო მამულების შაჰის მიერ დამტკიცების, ამ ფეოდალების შაჰის სამსახურში მიღების და წლიური ჯამაგირის, ჰამასალას დანიშვნის, თიულის ბოძების და სხვ. შესახებ.

სპარსული დიპლომატიკის მხრივ წინამდებარე ნაკვეთში საინტერესოა საბ. 24, რომელიც ე. წ. قبّه-ს, შაჰის სამდივნოში დამზადებულ „დუბლიკატს“ წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი საბუთი ამ ნაკვეთშიც არა გვაქვს სათანადო სისრულით დადგენილი იმის გამო, რომ რიგი ადგილები მათში დაზიანებულია ქაღალდის დახევა-გაცრეცის თუ მელნის გადასვლის შედეგად და აღარ იკითხება, ანდა დაწერილია ისე გაურკვეველად, რომ მათი ამოკითხვა შეუძლებელი იქნა. როგორც პირველ ნაკვეთში, ისე წინამდებარეშიც მოცემულია ყველა საბუთის ძირითადი ტექსტის ფაქსიმილე, ზოგჯერ უკანა მხარის, „ზურგისაც“, როცა მასზე საყურადღებო მინაწერი გვაქვს.

მეორე ნაკვეთში გამოქვეყნებული საბუთებიდან რამდენიმე ფირმანი დაბეჭდილი იყო მ. ხუბუას მიერ წიგნში: „საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები“, I. ეს საბუთები ამ მეორე ნაკვეთშიც ჩვენი თარგმანით და წაკითხვით გვაქვს მოცემული.

გ. ფუთურიძე

ПРЕДИСЛОВИЕ

Во втором выпуске „Персидских исторических документов" публикуются 35 фирманов из коллекций Института рукописей АН Груз. ССР и Центр. гос. исторического архива Грузии, изданных иранскими шахами Аббасом II, Сулейманом и Султан-Хусейном. Все они относятся ко второй половине XVII века и касаются как Грузии, так и Армении, Азербайджана и Дагестана. Большая часть этих фирманов является подлинниками, содержание их такого-же характера, как и документов, опубликованных в первом выпуске „Персидских истор. документов". Здесь мы также имеем фирманы и указы, изданные на имя грузинских феодалов, армянских мелико̀в, дагестанских владетелей и касающиеся вопросов феодальных отношений. Как и в документах, опубликованных в I выпуске, здесь имеются грамоты об утверждении шахом наследственных имений грузинским феодалам, о принятии на шахскую службу этих феодалов, о пожаловании им тиюлов и т. д.

В отношении перс. палеографии и дипломатики, из публикуемых во втором выпуске документов интересен док. 24, представляющий собою т. н. مثنی т. е. „дубликат", заготовленный в шахской канцелярии.

К сожалению, некоторые документы не расшифрованы и текст их не установлен надлежащим образом в виду того, что ряд мест в них поврежден (порвана бумага, сошли чернила), местами же очень неразборчив почерк.

В настоящем выпуске, как и в первом, в конце книги приложены фоторепродукции основных текстов всех документов, а в некоторых случаях и оборотной стороны грамот, когда на ней имелись более или менее важные приписки.

Несколько фирманов, помещенных в настоящем выпуске, были уже напечатаны в сборнике М. Хубуа: „Персидские фирманы и указы Музея Грузии", Тбилиси, 1949. Они и в данном выпуске приведены с нашим переводом и расшифровкой персидского текста.

В. Путуридзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოკლებანი

ა.— არაბული.
ა.-სპ.— არაბულ-სპარსული.
დინ. -- დინარი.
თ.— თურქული.
თუმ.— თუმანი.
საბ.— საბუთი.
სპ.— სპარსული.
სპ.-ა. — სპარსულ-არაბული.
ფონ.— ფონდი.
ცსსა — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
წიგ.—წიგნი.
ხარ. — ხარვალი.
ხელნაწერთა ინსტიტუტი—საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

1662 წ. თებერვლის 20 — მარტის 21. შაჰ-აბას II ფირმანი ელიზბარ-ბეგი-სათვის ხონყორაბადის მალუჯათიდან შვიდი თუმნისა და 5150 დინარის თიულად დანიშვნის შესახებ

هو
الملک لله
موضع مهر
مبارک اشرف

فرمان همایون شد آنکه چون مبلغ پانزده تومان تبریزی برینموجب

۱۵ تومان

مالوجهات ـــــــــ ب	وجوهات ـــــــــ ب
۹ تومان ۹۸۰۱ دینار	۵ تومان ۱۹۹ دینار

رسوم داروغکی	رسم الحساب
۴ تومان ۹۹۰۰ دینار	۲۹۹ دینار

از بابت مالوجهات و وجوهات موضع سنقراباد [و] توابع بتیول[1] رفعت و معالی پناه الزبار بیک مقرر است و حسب الرقم اشرف بتاریخ شهر جمادی الثانی سنه ۱۰۷۲ از ابتداء دو ماهه اود ئیل مبلغ پنجتومان اصل جمع منکسر تیول رفعت و معالی پناه مزبور که عرض نموده که بعلت خرابی محل مزبور منکسر است دانسته بتیول[1] مشارالیه شفقت شده بقیدآنکه مستوفیان عظام از بابت قریه سنقرآباد و کوران کوچک که مشارالیه استدعا نموده و سایر محال مناسبه تیولنامچه در دست دارند درینولا رفعت و معالی پناه مشار الیه استدعا نمود که از کوران کوچک و نهر نورشین شطرازان تیول مومی الیه مقرر شود و مستوفیان عظام تصدیق نموده‌اند که مبلغ پنجتومان تبریزی اصل جمع منکسر سنقرآباد که حسب الرقم اشرف بر طبق عرض مشارالیه بشرح مسطور مقرر شده با وجوهات تابعه موافق معمول دفتر برینموجب میشود

[1] წერია: تیول

۷ تومان ۵۱۵۰ دینار

مالوجهات[1] — وجوهات

۵ تومان — ۲ تومان ۵۱۵۰ دینار

رسوم داروغکی — رسم الحساب

۲ تومان ۵۰۰۰ دینار — ۱۵۰ دینار

و محال مزبوره شطرازان سابقا تیول محمد بیک کنجهٔ و بعد ازان تیول منوچهر بیک یوزباشی و علی بیک داود خانی مقرر شده بود ثانی الحال حسب الرقم اشرف از ابتداءٔ سه ماهه یونت ئیل تیول ولدان محمد بیک کنجهٔ مقرر شده و حکم تیولنامچه نگذرانیده اند و از دفتر غلامان بعلت اینکه بسفر خراسان مقرر شده بوده ولی نرفته بی اخراج بقلم داده اند و تیول مزبور جهة دیوان ضبط شده و باقیست بنابر شفقت بیغایت شاهانه در باره رفعت و معالی پناه مشار الیه از ابتداءٔ دو ماهه سنه مزبوره مبلغ هفت تومان و پنجهزار و یکصد پنجاه دینار از بابت مالوجهات و وجوهات محال مزبوره ضمن که بعلت تیول ولدان محمد بیک باقیست تیول مشارالیه شفقت و مرحمت فرموده ارزانی داشتیم کدخدایان و رعایاءٔ محال مزبوره مشارالیه‌را تیولدار خود دانسته سال بسال مالوجهات و حقوق دیوانی و قضایاءٔ سانحه متعلقه تیولدار رسد تیول مزبوررا موافق معمول بمشارالیه و کماشتکان او جواب کفته چیزی موقوف ندارند مستوفیان عظام در باب منکسر قریه سنقرآباد حکم اشرف بعهده وزیر آذربایجان مسوده نمایند که از روی دقت تمام تحقیق و پروی نموده حقیقت واقعی عرض نماید که بعد از عرض هر آنچه مقرر فرمائیم عمل نمایند دربنباب قدغن دانسته هر ساله حکم مجدد نطلبند و چون پروانچه بمهر مهرآساءٔ اشرف رسد اعتماد نمایند تحریرا فی [شهر رجب] سنه ۱۰۷۲

.ის (ღმერთი).

მეუფება ღვთისაა!

უკეთილშობილესი, კურთხე-
ული ბეჭდის ადგილი.

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ 15 თავრიზული თუმანი სონყორაბადის [და მისადმი] დაქვემდებარებული ადგილების მალუჯათიდან და ფულადი გადასახადებიდან (ვოჯუჰათიდან) ამ სახით:

15 თუმანი

მალუჯათი — ვოჯუჰათი

9 თუმანი 9801 დინარი — 5 თუმანი 199 დინარი

ტარუღობის სარგო (რუსუმ) — რასმ ალ-ჰასაბ[2]

4 თუმანი 9900 დინარი — 299 დინარი

თიულად არის დამტკიცებული სიდიადისა და აღმატებულების საფარველის ელიზბარ-ბეგისათვის და 1072 წ. ჯუმადა II თვის[3] თარიღით [გამოცემული]

---

1 წერია: مالجهات

2 სარგო, გასამრჯელო ანგარიშწარმოებისათვის?

3 უდრის 1662 წ. იანვრის 22 — თებერვლის 19 ჩვ. წელთაღრიცხვით.

უკეთილშობილესი რაყამის თანახმად, ხარის წლის ორთვეობის დასაწყისიდან ხუთი თუმანი ხსენებული სიდიადისა და აღმატებულების საფარველის თიულის გადასახადის ნარჩენების ძირითადი თანხისა, რომლის შესახებ მოგვახსენა, რომ აღნიშნული ადგილის დანგრევა-გავერანების გამოა შექმნილი [ეს] ნარჩენებიო, ცნობილი იქნა რა ხსენებულის თიულად, მას ვუწყალობეთ იმ პირობით, რომ დიდებულ მუსტოფებს ხელთ ექნებათ სოფელ სონყორაბადის და პატარა ქურანის, რომელიც ითხოვა ხსენებულმა, და სხვა შესატყვისი ადგილების სათიულო სიგელები[1].

ამჟამად ხსენებულმა სიმაღლისა და აღმატებულების საფარველმა ითხოვა, რომ შათრაზანის პატარა ქურანიდან და ნორაშენის არხიდან დაუმტკიცდეს ხსენებულს თიული. დიდებულმა მუსტოფებმა დაადასტურეს, რომ სონყორაბადის გადასახადის ნარჩენების ძირითადი თანხა 5 თავრიზული თუმანი, რომელიც უკეთილშობილესი რაყამის შესაბამისად, ხსენებულის განცხადების თანახმად, როგორც არის აღწერილი, დამტკიცებული იქნა, შესაბამის ვოჯუჰათთან ერთად, დავთრის ჩვეულებრივი წესის თანახმად, ასეთი სახის იქნება:

7 თუმანი 5150 დინარი

მალუჯათი	ვოჯუჰათი
5 თუმანი	2 თუმანი 5150 დინარი
ტარუღობის სარგო (რუსუმი)	რასმ ალ-ჰასაბ
2 თუმანი 5000 დინარი	150 დინარი

ხსენებული შათრაზანის ადგილები წინათ მოჰამედ-ბეგ განჯელს და მის შემდეგ მანუჩარ-ბეგ უზბაშს და ალი-ბეგ დავუდ ხანის ჰქონდათ თიულად დამტკიცებული. ამის შემდეგ, თანახმად უკეთილშობილესი რაყამისა, ცხენის წლის სამთვეობის დასაწყისიდან, მოჰამედ-ბეგ განჯელის შვილების თიულად იქნა დამტკიცებული და სათიულო სიგელი (თიულნამჩე) არ წარმოუდგენიათ. რადგანაც ისინი ხორასანს ლაშქრობაში იყვნენ დანიშნული, მაგრამ არ წასულან, ამიტომ ღულამების დავთარში შეტანილი იქნენ როგორც ხარჯმოკლებულნი[2] და ხსენებული თიული მათ ჩამოერთვათ დივანისათვის და რჩება (ე. ი. არ არის გაცემული).

ხსენებული სიმაღლისა და აღმატებულების საფარველის (ელიზბარ-ბეგის) მიმართ უსაზღვრო ხელმწიფური წყალობის [მიპყრობის] გამო, აღნიშნული წლის ორთვეობის დასაწყისიდან შვიდი თუმნისა და 5150 დინარის თანხა ამასთან მოხსენებული ადგილების მალუჯათისა და ვოჯუჰათის ანგარიშში, რომელიც მოჰამედ-ბეგის შვილების თიულის [მოშლის] გამო არის დარჩენილი, ხსენებულს ვუწყალობეთ და ვუბოძეთ თიულად.

აღნიშნული ადგილების ქეთხუდები და გლეხები მოხსენებულ [ელიზბარ-ბეგს] თავის თიულდარად იცნობენ, წლითი-წლამდე მალუჯათს და სადივანო გადასახადებს და სასამართლო საქმეების [გარჩევას] ხსენებული თიულის ნაწილის თიულდარის კუთვნილებად აღიარებენ და არსებული წეს-ჩვეულების თანახმად ხსენებულს და მის რწმუნებულს გადასცემენ და არაფერს დაუკავებენ. დიდებული მუსტოფები სოფელ სონყორაბადის გადასახადის ნარჩენე-

---

[1] აქ გადამწერს გამოტოვებული უნდა ჰქონდეს რამდენიმე სიტყვა, რის გამოც უკანასკნელი წინადადების აზრი ბუნდოვანია.

[2] خراجی ვისაც ხარჯი არ ეძლევა (?).

ბის შესახებ დასწერენ უკეთილშობილეს ბრძანებულებას აზერბაიჯანის ვა[illegible]რის სახელზე, რომელმაც დაკვირვებით უნდა გამოიძიოს [საქმე] და სინამდვილე მოგვახსენოს, რათა მოხსენების შემდეგ რასაც დავადგენთ, ის ყველაფერი შეასრულონ. ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ, ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ და როცა ფარვანა უკეთილშობილესი მზისებრი ბეჭდით აღიჭურვება, ერწმუნონ. დაიწერა 1072 წლის [რაჯაბის თვეს][1].

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 36. პირი, ზომა: 50×20 სმ. გადაწერილია შექასთენარევი ნასთალიყით ოდნავ გაყვითლებულ თეთრ ქაღალდზე. საბუთის მეორე მხარეზე შემდეგი ბეჭდებია აღნიშნული: 1. موضع مهر اعتماد الدوله „ე'თემად-უდ-დოვლეს ბეჭდის ადგილი“. 2. موضع مهر قللرآقاسی „ყულარაღასის ბეჭდის ადგილი“. 3. موضع مهر مستوفی الممالک „მუსთოუფი ალ-მემალექის ბეჭდის ადგილი“. 4. موضع مهر ناظر „ნაზირის ბეჭდის ადგილი“. 5. مرقوم شد „დაიწერა. ბეჭდის ადგილი“. 6. صحّه „ხელის მოწერა“(?) 7. موضع مهروزیر غلامان „ღულამების ვაზირის ბეჭდის ადგილი“. 8. بقلم آمد „ჩაწერილია“. პირის სისწორის დამოწმება: و هو سواد مطابق اصل نزد رفعت پناه داود بیک است... „პირი დედანთან სწორია და დედანი აღმატებულების საფარველ დავუდ-ბეგთან არის...“ ამ მინაწერთან დასმულია ოვალური ბეჭედი, რომლის წარწერაში ვარჩევთ სიტყვას شاهنواز „შაჰნავაზი“. შემდეგ მოტანილია ასეთი ანგარიში მალუჯათისა და ვოჯუჰათის შესახებ:

۷ تومان ۵۱۵۰ دینار

مال	وجوهات
نهر کوران کوچک	نهر نورشین	رسوم داروغگی
۲ تومان ۴۱۸۱ دینار	۲ تومان ۵۸۵۹ دینار	۲ تومان ۵۰۰۰ دینار
	بیضه	۱۱۰ دینار

7 თუმანი 5150 დინარი

მალი		ვოჯუჰათი
პატარა ქურანის არხი	ნორაშენის არხი	ტარუღობის სარგო
2 თუმანი 4181 დინარი	2 თუმანი 5859 დინარი	2 თუმანი 5000 დინარი
	თეთრი[2].	110 დინარი

ამ ცნობების ზემოთ, მარცხენა მხარეზე, ირიბი სტრიქონებით წერია: هو از قرار رقم اشرف اقدس ارفع اعلی که اصل نزد تیولدار و سواد بجهت سند در دفتر ضبط شده و نوشت سیادت و وزارت و اقبال پناه عظمت و حشمت و جلالت دستگاه عالیجاه اعتماد الدوله العلیه العالیه

[1] თვის სახელი თარიღში აღდგენილია შემდეგი (№ 2) საბუთის მიხედვით, რომელშიც მოხსენიებულია ეს (№ 1) ფირმანი.

[2] ე. ი. ცარიელი, დაუწერელი ადგილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

...الخاقانيه „თანახმად უკეთილშობილესი, უწმინდესი, უმაღლესი ოჯახისა მისა, რომ[ლის] დედანი თიულდართან არის და პირი დავთარში იქნა ჩაწერილი, და სეიდობისა, ვაზირობისა და ბედნიერების საფარველის; დიდებისა, ბრწყინვალებისა და ძლიერების სფეროს, მაღალადგილოვანი ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობისა...“ აშიის გასწვრივ გაურკვეველი სომხური მინაწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

1668 წ. ოქტომბრის 3 — ნოემბრის 1. შაჰ-აბას II ფირმანი, რომლითაც ყარაბაღის ბეგლარბეგს ეკრძალება ელიზბარ-ბეგის თიულში უკანონოდ შესვლა

موضع مهر مبارک اشرف

فرمان همایون شد آنکه چون درینوقت رفعت و معالی پناه الزبار بیک کرجی غلام خاصه شریفه اشیک آقاسی باشی ایالت و شوکت پناه سلطنت و جلالت دستگاه عالیجاه نظاما للایاله و الشوکه و السلطنه و الاقبال شاهنواز خان والی کرجستان کارتیل بعرض رسانید که در باب نقصان محل تیول مشار الیه بعهدهٔ وزیر آذربایجان [مقرر] شده بود[1] *که بازدید نموده [نسخه] فرستد و مشارالیه بازدید نموده نسخهٔ آنرا* بدفترخانهٔ همایون فرستاده و بیکلربیکی قراباغ بهیچوجه کماشتکان اورا دخل در محل تیول نمیدهد و درینباب استدعاء حکم همایون نموده و از تصدیق مستوفیان عظام معلوم و مستفاد شد که مبلغ پانزده تومان تبریزی بدینموجب

۱۵ تومان

مالوجهات	وجوهات
۹ تومان ۹۸۰۱ دینار	و رسوم داروغکی و غیره ۵ تومان ۱۹۹ دینار

مالا[و]وجوهاتا از بابت موضع سنقراباد و توابع بتیول رفعت پناه الزبار بیک مشارالیه مقرر بوده و حسب الرقم اشرف بتاریخ شهر جمادی الثانی سنه ۱۰۷۲ از ابتداء دوماههٔ اودی ئیل مبلغ پنج تومان اصل جمع منکسر تیول رفعت پناه مزبور که عرض نموده که بعلت خرابی محل مزبور منکسر است دانسته بتیول مشارالیه شفقت شده بقید آنکه مستوفیان عظام از بابت قریه سنقرآباد و کوران کوچک که مشارالیه استدعا نموده و سایر محال مناسبه تیولنامچه در دست[2] دارند و مبلغ پنجتومان منکسر سنقراباد بدینموجب

---

[1] ვარსკვლავებს (*) შორის [მოთავსებული სიტყვები სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული.

[2] წერია: درست

ეროვნული ბიბლიოთეკა

نهر کوران کوچک	نهر نورشین
۲ تومان ۴۱۴۱ دینار	۲ تومان ۵۸۵۹ دینار

ازبابت کوران کوچک و نهر نورشین شطرازان از ابتداء دوماهۀ اودی ئیل تیول مشارالیه مقرر و پروانچۀ اشرف بتاریخ شهر رجب سنه ۱۰۷۲ بشرح مسطور باسم وزیر آذربایجان درباب منکسر سنقراباد صادر شده که از روی دقت تمام تحقیق و پروی نموده حقیقت واقعی‌را عرض نماید که بعد از عرض بدانچه مقرر شود عمل نمایند و تا غایت نوشته و سندی از وزیر مشارالیه بدفتر اوارجه نرسیده بنابرین مقرر فرمودیم که وکلاء عالیجاه بیکاربیکی قراباغ بخلاف حکم و حساب دخل در تیول مشار الیه ننماید و وزیر آذربایجان هرگاه مقدمه مزبوره‌را که حسب الحکم اشرف تشخیص آن بعهده او شده بود مشخص ساخته باشد بزودی حقیقت عرض نماید* و الا بزودی مشخص نماید* و دریناب قدغن دانسته در عهده شناسند تحریرا فی شهر ربیع الاول سنه ۱۰۷۴

უკეთილშობილესი, კურთხეული
ბეჭდის ადგილი

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ ამჟამად სიდიადისა და აღმატებულების საფარველმა ელიზბარ-ბეგ ქართველმა, მმართველობისა და დიდებულების საფარველის, ხელმწიფობისა და სიდიადის ძალის, მაღალადგილოვანის, მმართველობის, დიდების, ხელმწიფობისა და ბედნიერების მომწესრიგებელი ვალის შაჰნავაზ-ხანის ღულამმა (ღოლამე ხასეჲ შერიფე) და ეშიკაღასიბაშიმ მოგვახსენა, რომ ხსენებულის (ელიზბარ-ბეგის) თიულის ადგილის შესახებ აზერბაიჯანის ვაზირს ჰქონდა დავალებული, რომ განეხილა [საქმე] და გამოეგზავნა [ცნობა ამის შესახებ]. ხსენებულმა განიხილა და ამის ნუსხა უავგუსტოეს დავთარხანაში გამოგზავნა, [მაგრამ] ყარაბაღის ბეგლარბეგი არასგზით არ უშვებს მის კაცებს თიულის ადგილებში. ამის შესახებ [ელიზბარ-ბეგმა] ითხოვა უავგუსტოესი ბრძანებულება. დიდებული მუსტოფების დადასტურებიდან გამოირკვა, რომ თხუთმეტი თავრიზული თუმნის თანხა შემდეგი სახით:

15 თუმანი

მალუჯათი	ვოჯუჰათი
9 თუმანი 9801 დინარი	და ტარუღობის სარგო და სხვ. 5 თუმანი 199 დინარი

საქონლით და ფულით (მალან ვა ვოჯუჰათან) სონყორაბადის და მისდამი დაქვემდებარებული ადგილების ანგარიშში დამტკიცებული იყო თიულად ხსენებული სიდიადის საფარველის ელიზბარ-ბეგისათვის და 1072 წ. ჯომადა II თვის თარიღით [გამოცემული] უკეთილშობილესი რაყამის თანახმად, ხარის წლის ორთვეობის დასაწყისიდან ხუთი თუმანი ხსენებული სიდიადისა და აღმატებულების საფარველის თიულის გადასახადის ნარჩენების ძირითადი თანხისა, რომლის შესახებ მოგვახსენა, რომ აღნიშნული ადგილის დანგრევა—გავერანების გამოა შექმნილი [ეს] ნარჩენებიო, ცნობილი იქნა რა ხსენებულის თიულად, მას ვუწყალობეთ იმ პირობით, რომ დიდებულ მუსტოფებს

[1] ვარსკვლავებს შუა მოთავსებული სიტყვები სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული.

ხელთ ექნებათ სოფელ სონყორაბადის და პატარა ქურანის, რომელიც ხსენებულმა, და სხვა შესატყვისი ადგილების სათიულო სიგელები[1]...

სონყორაბადის გადასახადის ნარჩენების თანხა ხუთი თუმნისა შემდეგი სახით:

5 თუმანი

პატარა ქურანის არხი	ნორაშენის არხი
2 თუმანი 4141 დინარი	2 თუმანი 5859 დინარი

შათრაზანის პატარა ქურანის და ნორაშენის [გადასახადის თანხების] ანგარიშში, ხარის წლის ორთვეობის დასაწყისიდან ხსენებულის თიულად იქნა დამტკიცებული. აზერბაიჯანის ვაზირის სახელზე გამოვიდა 1072 წ. რაჯაბის თვის თარიღით უკეთილშობილესი ფარვანა, როგორც [აქ] არის აღწერილი, სონყორაბადის გადასახადების ნარჩენების შესახებ, რომ დიდი ყურადღებით გამოიძიოს და გამოიკვლიოს და სინამდვილე მოგვახსენოს, რათა მოხსენების შემდეგ ისე მოიმოქმედონ, როგორც დადგენილი იქნება. ხსენებულ ვაზირისაგან აქამდე არ შემოსულა ავარეჯეს დავთარში [არავითარი] წიგნი და საბუთი. ამის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ყარაბაღის მაღალდგილოვანი ბეგლარბეგი ბრძანებისა და კანონის საწინააღმდეგოდ ხსენებულის თიულში არ შევიდეს და თუ აზერბაიჯანის ვაზირს აღნიშნული საქმე, რომლის გარკვევა უკეთილშობილესი ბრძანებულებით მას ჰქონდა დავალებული, გამორკვეული ექნება, სასწრაფოდ მოგვახსენოს სინამდვილე, თუ არა და სასწრაფოდ გამოიძიოს. ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ და თავის მოვალეობად იცნონ [მისი შესრულება]. დაიწერა 1074 წ. რაბი I თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. პირი, გადაწერილი სხვა საბუთებთან ერთად შექასთენარევი ნასთალიყით ძალზე გაყვითლებული ქაღალდის გრაგნილზე, ფონ. Pđ, საბ. 324. ამავე საბუთის პირს წარმოადგენს Pđ ფონდის საბ. 230, მეტად დაზიანებული.

---

[1] ფირმანის ეს ნაწილი შემოტანილია წინა (№ 1) საბუთიდან და აქაც ბუნდოვანი რჩება უკანასკნელი წინადადების აზრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

1664 წ. სექტემბრის 22 — ოქტომბრის 21. შაჰ-აბას II ფირმანი, რომ ქურა-ნისა და ნორაშენის არხების თიულდარმა წინათ არსებული წესის მიხედვით აიღოს თავისი წილი თიულის მალუჯათი

هو

الملک لله

موضع مهر مبارک اشرف

فرمان همایون شد آنکه چون رفعت و معالی پناه عباس قلیبیک ولد مرحوم مرتضی قلیخان بعرض رسانید که نهر کوران وغیره مذکوره ذیل

نهر کوران نهر نورشین

از راه ملکیت متعلق بوالد او و مالوجهات ... ... تیول علی آقا داود خانی و غیره مقرر بوده و چون از تیولدار ستم و زیادتی برعایا[محال مزبور وا[قع میشده] والد مشارالیه حکم اشرف حاصل نموده که تیولدار هر ساله از قرار دیناری چهار دینار موافق معمول [الکا از] دیوان بدست بازیافت نموده تکلیف هست و بود ننمایند و استدعا[حکم همایون نمود که تیولدار حال نیز بدستور سایر تیولداران عمل نموده مزاحمت نرساند و از تصدیق مستوفیان عظام مستفاد شد که مالوجهات نهر کوران و نهر نورشین شطرازان بموجب پروانجات اشرف حسب الظهر بتیول و ضبط رفعت پناه الزبار بیک کرجی تایین رفعت و معالی پناه زینل بیک یوزباشی مقرر است و قبل ازین که مرحوم مزبور معروض داشته که نهر کوران کوچک شطر[ازان] ازراه ملکیت تعلق باو دارد و بتیول علی بیک داود خانی مقرر است و از مشارالیه نسبت برعایا زیادتی واقع میشود و استدعا نموده که تیولدار مزبور وجه تیول خودرا موافق دستور العمل بدست بازیافت نموده زیادتی ننماید و از دفتر تصدیق شده که مبلغ دو تومان و چهار هزار و یکصد و چهل یک دینار از بابت مالوجهات نهر مزبور بتیول علی بیک مزبور مقرر است و طلب تیولدار از قرار یک دینار چهار دینار با حاصل احداث بموجب ذیل میشود

۲ تومان ۴۱۴۱ دینار ۱[X]۴ ۹ تومان ۶۵۶۴ دینار

رسد نیم دینار که اکر احداث پرسش ننمایند ۸ تومان ۴۴۹۳ دینار

بازیافت نمیشود

۱ تومان ۲۰۷۰ دینار

پروانچه بتاریخ شهر ربیع الثانی سنه ۱۰۶۰ صادر گشته که تیولدار مزبور وجه تیول خود را بموجبی که مستوفیان عظام برآورد نموده اند بازیافت نموده بزواید مزاحمت بحال رعایا نرساند بنابرین مقرر فرمودیم که رفعت پناه مشارالیه مالوجهات رسد تیول خودرا از بابت محال مزبوره بموجبی که قبل ازین حسب الحکم مقرر شده از قرار یک دینار چهار دینار بازیافت نموده بخلاف حکم و حساب بزواید مزاحمت نرسانیده متعرض نشوند و درین باب قدغن دانسته در عهده شناسند تحریرا فی شهر ربیع الاول سنه ۱۰۷۵

ის (ღმერთი)
მეუფება ღვთისაა!

უკეთილშობილესი, კურთხეული
ბეჭდის ადგილი.

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ სიმაღლისა და აღმატებულების საფარველმა აბასყული-ბეგმა, განსვენებული მურთაზა ყული-ხანის შვილმა, მოგვახსენა, რომ ქვემოთ მოხსენებული ქურანის არხი და სხვ.

ქურანის არხი — ნორაშენის არხი

საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა მის მამას და მალუჯათი თიულად ჰქონდათ დამტკიცებული ალი აღა დავუდ-ხანის და სხვებს. რადგანაც თიულდარი ხსენებული ადგილების გლეხებს (რაიას) ჩაგრავდა და ავიწროებდა, ხსენებულის მამამ იშოვა (გამოიტანა) უკეთილშობილესი ბრძანებულება, რომ თიულდარმა ყოველ წელიწადს „ხელზე მიიღოს“ [თავისი სარგო] ერთ დინარში ოთხი დინარის ანგარიშით, თანახმად არსებული წეს-ჩვეულებისა, და „ჰასთო ბუდ“-ის წესს ნუ მიმართავს.

მან ითხოვა უავგუსტოესი ბრძანებულების [გამოცემა], რომ ახლანდელი თიულდარი აგრეთვე მოიქცეს სხვა თიულდართა წესის მიხედვით და ნუ დაჩაგრავს [გლეხებს].

დიდებული მუსტოფების [მიერ წარმოდგენილი] დამოწმებიდან გამოირკვა, რომ შათრაზანის ქურანისა და ნორაშენის არხების მალუჯათი, უკეთილშობილესი ფარვანების თანახმად, როგორც გამოირკვა, თიულად და „ზაბთად“ აქვს დამტკიცებული სიდიადის საფარველს ელიზბარ-ბეგ ქართველს, სიდიადისა და აღმატებულების საფარველის ზეინალ-ბეგ უზბაშის ხელქვეითს. ადრე განსვენებულმა მოგვახსენა, რომ შათრაზანის პატარა ქურანის არხი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მას და თიულად არის დადგენილი ალი-ბეგ დავუდ-ხანისათვის, რომელიც ჩაგრავს გლეხებს (რაიას). მან ითხოვა, რომ ხსენებულმა თიულდარმა თავისი თიულის ფული „ხელზე მიიღოს“, თანახმად დასთურ ალ-ამალისა და ნუ ავიწროებს [გლეხებს]. დავთრიდან დამოწმებული იქნა, რომ თანხა 2 თუმნისა და 4141 დინარისა ხსენებული არხის მალუჯათის ანგარიშში დამტკიცებულია თიულად აღნიშნული ალი-ბეგისათვის და თიულდარის [მიერ] მოთხოვნილი [თანხა], ერთ დინარში ოთხი დინარის ანგარიშის კვალობაზე, ეჰდასის შემოსავალთან ერთად, ასე გამოიხატება:

2 თუმანი 4141 დინარი — 9 თუმანი 6563 დინარი

———— . [1][X]4. ————

ნახევარი დინარის წილი, რადგან, თუ შემთხვევის გამოძიებას არ მოახდენენ, ამის ფული არ გადახდებათ.

8 თუმანი 4493 დინარი.

1 თუმანი 2070 დინარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1060 წ. რაბი' II თარიღით[1] გამოვიდა ფარვანა, რომ ხსენებულმა თიულდარმა თავისი თიულის ფული დიდებული მუსტოფების მიერ ნაანგარიშევის (ბერავერდის) მიხედვით აიღოს და გლეხებს (რაიას) ნუ შეავიწროებს.

ამის საფუძველზე ჩვენ დავადგინეთ, რომ ხსენებულმა ალმატებულების საფარველმა თავისი თიულის წილის მალუჯათი აღნიშნული ადგილების თანხებიდან აიღოს იმ საფუძველზე, რომელიც წინათ ბრძანებულების თანახმად იყო დადგენილი, ერთ დინარში ოთხი დინარის ანგარიშით, და ბრძანებისა და სამართლიანობის წინააღმდეგ [გლეხებს] ნუ შეავიწროებს და ნუ დაჩაგრავს. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ და თავის მოვალეობად აღიარონ [მისი შესრულება]. დაიწერა 1075 წ. რაბი' I თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 170. პირი, ზომა: 47×14 სმ. გადაწერილია დივანის ტიპის ხელით თეთრ ქაღალდზე. უკანა მხარეზე საბუთს აქვს შემდეგი მინაწერები: و صادت نوشته از قرار وزارت و اقبال پناه عظمت و حشمت واجلال دستگاه عالیجاه اعتماد الدوله العلیه المالیه الخاقانیه بیضه „სეიდობის, ვაზირობისა და ბედნიერების საფარველის; დიდებულებისა, ბრწყინვალებისა და დიდების ძალის; მაღალადგილოვანი ე'თემად-უდ-დოვლეს მიწერილობის თანახმად. თეთრი". ამ მინაწერის ქვეშ დასმულია ე'თემად-უდ-დოვლეს თოღრა, რომლის ქვეშ მიწერილია: محل مهر ایران مداری „ირან-მადარის (დიდი ვაზირის) ბეჭდის ადგილი". მარცხენა მხარეზე მიწერილია: سواد مطابق اصل است که مهر قوللر آقاسی... „ყულარაღასის ბეჭედი...". بمهر مبارک اشرف اقدس اعلی رسیده و اصل نزد بنده درگاه است بیضه مهر عباسقلی بیک „პირი სწორია დედანთან, რომელიც კურთხეული, უკეთილშობილესი, უწმინდესი, უმაღლესი ბეჭდით არის დაბეჭდილი. დედანი [ჩემთან], სასახლის მონასთან, არის. თეთრი. აბასყული-ბეგის ბეჭედი". ამ მინაწერის ქვემოთ აღნიშნულია ხუთი სარეგისტრაციო ბეჭდის ადგილი:

محل مهر نوشته شد ბეჭდის ადგილი. დაიწერა.	محل مهر بنظر رسید ბეჭდის ადგილი. განხილულ იქნა.	محل مهر مرقوم شد ბეჭდის ადგილი, დაიწერა.
محل مهرداروغه ტარუღას ბეჭდის ადგილი	محل مهر ثبت دفتر غلامان شد ბეჭდის ადგილი. ჩაიწერა ღულამების დავთარში.	محل مهر بقلم آمده ბეჭდის ადგილი. ჩაიწერა

ქვემოთ მიწერილია: هو سواد مزبور مطابق و موافق سواد مأخوذ عن للاصل است که بمهر ... نزد این جانب است بیضه „ის (ღმერთი). დაწერილი პირი სწორია იმ პირთან, რომელიც დედნიდან არის გადმოღებული და ბეჭედ [დასმული?] ჩვენთან არის. თეთრი". ამ მინაწერის ბოლოში დასმულია ოვალური ბეჭედი გაურკვეველი წარწერით.

[1] 1650 წ. აპრილის 3—მაისის 1 ჩვ. წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე გვერდის მეორე თავში შემდეგი ცნობებია მიწერილი:

٦ تومان ۲۹۵۷ دینار

نهــــــــــر نهــــــــــر

ک[وران] کـوچـک که بتیـول نورشین

مشاراليه مقرر است عن مال سوى ۳ تومان ۸۸۱٦ دینار

وجوهات

...بتیول مشار الیه
مقرر آنکه سوى
وجوهات

که از قرار براورد
بضبط مشاراليه مقرر
شده
۷ تومان ۹٦۰ دینار
الا اصل جمع

۲ تومان ۸۱۴۱ دینار ۲ تومان ۵۸۵۹ دینار اتومان ۲۹۵۷ دینار

بیــــــــــضه

6 თუმანი 2957 დინარი

ე. ი.
პატარა ქურანის არხი, ნორაშენის არხი
3 თუმანი 8816 დინარი

რომელიც ხსენებულის თიულად არის დადგენილი, მალის ანგარიშის კვალობაზე, მაგრამ ვოჯუჰათის გამოკლებით

2 თუმანი 8141 დინარი

ხსენებულის თიულის ანგარიშის კვალობაზე, მაგრამ ვოჯუჰათის გამოკლებით

2 თუმანი 5859 დინარი

რაც „ბერავერდით“ დადგენილი იყო ხსენებულის „ზაბთში“.

7 თუმანი 960 დინ., ძირითადი ჯამის გამოკლებით.

თეთრი 1 თუმანი 2957 დინარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4

1666 წ. დეკემბრის 28 — 1667 წ. იანვრის 26. შაჰ-სულეიმანის (სეფი II) ფირმანი ჩოხურ-საადის ბეგლარბეგის სახელზე, რომ სოფელ მელიქ-შაჰლუს მცხოვრებთ არავინ მიაყენოს უსამართლო ჩაგვრა და რომ ხსენებული ოლქის მმართველმა თავისი თიულის ფული სამართლიანობისა და კანონიერების საფუძველზე აიღოს.

هو
الملک لله

فرمان همایون شد آنکه درینوقت حاتم آقا غلام خاصه شریفه بعرض رسانید که قریه ملک‌شاهلو تومان نخجوان ملک مومی‌الیه است و حاکم آن محل زیادتی نموده بخلاف حساب مزاحمت بحال ایشان میرساند و استدعاء حکم اشرف درینباب بعهده عالیجاه بیکلربیکی چخورسعد نمود و مستوفیان عظام تصدیق نمودند که بلوک موز تومان نخجوان بمبلغ معین بتفصیل دفتر بموجود و نقصان ابوابجمع و رسد موجود که مفصل است مبلغ یکتومان و دو هزار و نهصد و هفتاد و چهار دینار[1] ازبابت مالوجهات ملک‌شاهلو بعد از وضع مبلغ دو هزار دینار رسد انعام خان احمد بتیول ایالت و شوکت پناه حشمت و نصفت دستگاه زینا للایاله و الشوکه و الاقبال علیقلی خان کنکرلو حاکم تومان نخجوان مقرر و رسد نقصان بعضی مفصل و بعضی مجمل است و در مفصلی باسم ملک‌شاهلو بنظر نمیرسد و مبلغ یکهزار و سیصد و هفتاد و پنج دینار[1] در بلوک مزبور مجملا بتیول ایالت و شوکت پناه مومی‌الیه مقرر شده و حقیقت اینکه از آنجمله چیزی رسد محل مزبور بوده یا نه و اگر بوده باشد چه مبلغ است ظاهر نمیشود و از قرار نسخه سیجقان ئیل و غیره وزیر آذربایجان که نقل آنرا محمد هادی نویسنده مشار الیه مهر نموده بدفتر سپرده مبلغ یکهزار و پانصد دینار[1] بصیغه تفاوت محل مزبور داخل نموده بنابرین مقرر فرمودیم که حاکم الکاء مزبور وجه تیول خودرا موافق حق و حساب ستاده بزواید مزاحمت نرساند بعهده عالیجاه بیکلربیکی چخور سعد که نگذارد که از احدی بخلاف حساب ستم و زیادتی برعایاء محل مزبور واقع شود درینباب قدغن دانسته هرساله حکم مجدد نطلبند و چون پروانچه بمهر مهرآثار اشرف رسد اعتماد نمایند تحریرا فی شهر رجب سنه ۱۰۷۷

[1] ეს თანხა განმეორებულია სტრიქონს ზემოთ სიაყის ნიშნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის (ღმერთი)

მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ ამჟამად ჩვენმა პირადმა ღულამმა (ღოლამე ხასეჲე შერიფე) ჰათემ-აღამ მოგვახსენა, რომ თუმანე-ნახჩევანის სოფელი მელიქ-შაჰლუ მისი მულქია და იქაური მმართველი ავიწროებს და უკანონოდ ჩაგრავს მათ (გლეხებს). მან ითხოვა ამის შესახებ უკეთილშობილესი ბრძანებულების [გამოცემა] ჩოხურ-საადის ბეგლარბეგის სახელზე. დიდებულმა მუსტოფებმა დაამოწმეს, რომ თუმანე-ნახჩევანის ბოლუქი მუზი განსაზღვრული თანხით ვრცელ დავთარში არის გადასახადების ჯამად (აბვაბჯამ'ად) [შეტანილი სახეზე] არსებულ [რაოდენობად] და ნარჩენებად. ნაღდის წილი, რომელიც დაწვრილებით [არის აღრიცხული], ერთ თუმანს და 2974 დინარს [შეადგენს სოფელ] მელიქ-შაჰლუს მალუჯათის ანგარიშში. ორი ათასი დინარის გამოკლების შემდეგ, ხან-აჰმედის ინამის წილი თიულად იქნა დადგენილი მმართველობისა და დიდებულების საფარველის, ბრწყინვალებისა და სამართლიანობის, მმართველობის, დიდებულების და ბედნიერების სამკაულის, თუმანე-ნახჩევანის მმართველის ალი ყული-ხან ქენგერლუსათვის, ხოლო ნარჩენების წილი ზოგი ვრცლად და ზოგი მოკლედ არის [მოცემული]. ვრცელში მელიქ-შაჰლუს სახელზე [არაფერი] არ არის [აღნიშნული].

1375 დინარის თანხა ხსენებულ ბოლუქში შეჯამებით მიეცა თიულად აღნიშნულ მმართველობისა და დიდებულების საფარველს და სინამდვილე ის არის, რომ არ ირკვევა — ამ რიცხვში ხსენებული ადგილის რაიმე წილი იყო, თუ არა. და თუ იყო, რა თანხას [შეადგენს ის].

აზერბაიჯანის ვაზირმა თაგვისა და სხვ. წლების ნუსხის თანახმად, რომლის პირი ხსენებულის მწერალმა მოჰამედ ჰადიმ ბეჭედდასმული გადასცა დავთარს, 1500 დინარი აღნიშნული ადგილის გახსხვავებად (თაჟავოთად) შემოიტანა. ამის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ხსენებული ოლქის მმართველმა თავისი თიულის ფული სამართლიანობისა და კანონიერების მიხედვით აიღოს და [გლეხებს (რაიას)] ნუ დაჩაგრავს. ჩოხურ-საადის მაღალადგილოვან ბეგლარბეგს ევალება არ დაუშვას, რომ ვინმემ უსამართლოდ დაჩაგროს და შეაწუხოს ხსენებული ადგილის გლეხობა (რაია). ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ, ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ და როცა ფარვანა [ესე] უკეთილშობილესი მზისებრი ბეჭდით აღიჭურვება, ერწმუნონ. დაიწერა 1077 წ. რაჯაბის თვეს.

ცსსა, ფონ. 1452, საბ. 17. დედანი, ზომა: 50×18,7 სმ. დაწერილია მოყვითალო ქაღალდზე დივანის ხელით. ინვოკაციო ყვითელი მელნით და შესავალი ფორმულა სინგურით არის გამოყვანილი. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის მრგვალი ბეჭედი წარწერით: بنده شاه ولایت صفی ثانی „სიწმინდის მეფის მონა სეფი მეორე“. ამის გარშემო აშიაზე 12 იმამის სახელებია ჩამოთვლილი. საბუთის მეორე მხარეზე დაკრულია სიმაგრისათვის ლურჯი და თეთრი ქაღალდის ნაჭრები, რომლებითაც სანახევროდ დაფარულია ამ მხარეზე დასმული სარეგისტრაციო ბეჭდები და მინაწერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

1667 წ. აგვისტოს 21 — სექტემბრის 19. შაჰ-სულეიმანის ფირმანი იარალიბეგ ბარათაშვილისათვის დანიშნული ჰამასალის ფულის აზერბაიჯანის გადასახადების თანხებიდან დაუბრკოლებრივ გაცემის შესახებ.

هو

الملک لله

*شاه بابا ام انارا الله برهانه

فرمان همایون شد آنکه چون حسب الحکم نواب خاقان خلد آشیان صاحبقرانی* که بتاریخ شهر ذی‌حجه الحرام سنه ۱۰۶۹ صادر کشته مبلغ چهل و هشت تومان و نه هزار دینار تبریزی[1] از بابت مالوجهات و وجوهات و تفاوة جزیه اکلیس که بهمه ساله عالیجاه والی کرجستان مقرر بوده و بباقی آمده از ابتداء هشتماهه تنکوز ئیل باسم وزیر آذربایجان بهمه ساله رفعت و معالی پناه زینا للرفعه یار علی بیک برات ایلی مقرر کشته که در سفر آذربایجان بخدمات مشغول باشد و درینولا رفعت و معالی پناه مزبور بعرض رسانید که وزیر مزبور وجه همه‌ساله اورا مهمسازی نمینماید و استدعاء حکم اشرف درین باب نمود و از دفتر غلامان تصدیق نموده اند که در رقم مطاع که بتاریخ شهر شوال [سنه] ۱۰۷۶ عز صدور یافته و ملاحظه نموده اند قید است که رفعت و معالی پناه یار علی بیک عریضه که درین باب استدعاء همه ساله بجهت خود بدرکاه جهان‌پناه فرستاده بود بنظر رسید بنابر توجّه خاطر همه ساله از بابت وجوهات الکاء آذربایجان باسم وزیر الکاء مزبور در وجه آن رفعت و معالی پناه شفقت فرمودیم بنابرین مقرر فرمودیم که وزارت و رفعت و معالی پناه عزت و عوالی دستگاه آصفی دستوری نتیجه‌الوزرائی ظهیراً للوزاره و الرفعه میرزا ابراهیم وزیر آذربایجان سال بسال وجه همه ساله رفعت و معالی پناه مزبوررا موافق مضمون رقم مطاع از بابت وجوهات آذربایجان که بضبط و تحویل او مقرر است مهمسازی نموده از قرار قبض مشارالیه بخرج مجری دارند و بخلاف حکم و حساب چیزی موقوف ندارد و در عهده شناسد و چون پروانچه بمهر اشرف رسد اعتبار و اعتماد نمایند تحریرا فی شهر ربیع الاول سنه ۱۰۷۸

---

[1] იგივე თანხა აღნიშნულია სიაყით სტრიქონს ზემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუფება ღვთისაა!

*შაჰი-მამაჩემი, ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

გამოვიდა უაღრესტოესი ფირმანი მასზე, რომ სამოთხეში განსვენებული ხელმწიფის საჰებ-ყერანის* ბრძანების თანახმად, რომელიც 1069 წ. ზულ ჰიჯჯას თვის თარიღით იყო გამოცემული, აზერბაიჯანის ვაზირს მიეწერა, რომ 48 თავრიზული თუმნისა და 9000 დინარის თანხა აქულისას მალუჯათისა, ვოჯუჭათისა და ჯიზიას განსხვავებიდან (თაფავოთე ჯიზია), რაც ყოველწლიურ ჯამაგირად (ჰამასალად) ჰქონდა დანიშნული საქართველოს ვალის და დარჩა [გაუცემელი], ღორის წლის რვათვეობის დასაწყისიდან ჰამასალად დაენიშნა სიდიადისა და აღმატებულების საფარველს იარალი-ბეგ ბარათაშვილს (ბარათ-ილის), რომელიც აზერბაიჯანის ლაშქრობაში უნდა მსახურობდეს.

ამჟამად ხსენებულმა სიდიადისა და აღმატებულების საფარველმა მოგვახსენა, რომ ხსენებული ვაზირი არ უხდის მას ჰამასალას თანხას და ითხოვა ამის შესახებ უკეთილშობილესი ბრძანებულება. ღულამების დავთრიდან დაადასტურეს, რომ 1076 წლის შავალის თვის თარიღით გამოცემულ ხელმწიფის სიგელში, რომელიც განხილულ იქნა, აღნიშნულია, რომ არზა, რომელიც სიდიადისა და აღმატებულების საფარველმა იარალი-ბეგმა ქვეყნის საფარველ კარზე გაგზავნა მისთვის ჰამასალას დანიშვნის შესახებ, განხილულ იქნა. [ჩვენი მწყალობელი] ყურადღების გამო, ჰამასალა აზერბაიჯანის ოლქის ვოჯუჭათის ანგარიშში [ბრძანებულებით], რომელიც ხსენებული ოლქის ვაზირს მიეწერა, იმ სიდიადისა და აღმატებულების საფარველს ვუწყალობეთ. ამიტომ ჩვენ დავადგინეთ, რომ ვაზირობის, სიმაღლისა და სიდიადის საფარველმა; დიდებისა და აღმატებულების ძალამ; ვაზირობის ასეფმა, ვაზირობის შედეგმა, ვაზირობისა და ამაღლების შემწემ მირზა იბრაჰიმმა, აზერბაიჯანის ვაზირმა, ხსენებული სიდიადისა და აღმატებულების საფარველის ჰამასალას თანხა ყოველ წელიწადს გადასცეს მას, თანახმად რაყამის შინაარსისა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა, აზერბაიჯანის ვოჯუჭათის ანგარიშში, რომელიც მას აქვს ჩაბარებული და ხსენებულის ხელწერილის საფუძველზე ხარჯებში გატარებულად იცნოს, ბრძანებისა და კანონის საწინააღმდეგოდ არაფერი არ დაუკავოს და თავის მოვალეობად აღიაროს [ამის შესრულება]. როცა ფარვანა უკეთილშობილესი ბეჭდით აღიჭურვება, ერწმუნონ და ენდონ მას. დაიწერა რაბი' I თვეს, 1078 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 9. დედანი, ზომა: 59₅×27₃ სმ. გადაწერილია კალიგრაფიული ნასთალიყით მოყვითალო ქაღალდზე. ტექსტის თავზე ოქროს ვარაყით და ლურჯი და წითელი ფერებით შემკულ ორნამენტში ჩასმულია შაჰის დიდი მრგვალი ბეჭედი, რომლის შუაგულში წარწერილია: شاه ولایت صفی بنده „სიწმინდის მეფის მონა სეფი მეორე“, ხოლო ამის გარშემო ამიაზე 12 იმამის სახელია აღნიშნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთის მეორე მხარეზე წარწერილია: هو از قرار نوشته سیادت و وزارت و اقبال پناه عظمت و حشمت و اجلا[ل] دستگاه عالیجاه اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه بیضه „ის (ღმერთი). სეიდობის, ვაზიროობისა და იღბლის საფარველის; სიდიადისა და დიდებულების ძალის, მაღალადგილოვანი ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობის თანახმად. თეთრი". ამის ქვეშ მოთავსებულია ე'თემად-უდ-დოვლეს თოღრა, ხოლო თოღრას ქვეშ — მისივე ბეჭედი წარწერით: عبده محمد ابن حبیب الله الحسنی ۱۰۶۱ „იბნ მოჰამედ მეჰდი ჰაბიბულლაჰ ალ-ჰასანი. 1061". ქვემოთ დასმულია შემდეგი სარეგისტრაციო ბეჭდები (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. მცირე, ელიფსური, წარწერით, რომელშიც იკითხება... صدر الدین محمد... „სადრ ედ-დინ მოჰამედ"... ქვეშ მიწერილი აქვს: نوشته شد „დაიწერა". 2. მცირე, ოვალური, წარწერით: غلام شاه ولایت فریدون „სიწმინდის მეფის მონა ფერიდუნი". ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر سرخط شد „ჩაიწერა სარხათის დავთარში". 3. ოვალური, წარწერით, რომელშიც ირჩევა სიტყვები: ۱۰۷۲ امام یا... ქვეშ მიწერილი აქვს: مرقوم شد „დაიწერა". 4. ოთხკუთხი, წარწერით, რომელშიც იკითხება: ۱۰۶۱ علی نظر... „...ნაზარალი 1061". ქვეშ არაფერი აქვს მიწერილი (ტარუღას ბეჭედია). 5. ოთხკუთხი, წარწერით: ۱۰۳۸ عبده ابو الفتح „მონა მისი აბულფათჰი. 1038". ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر غلامان شد „შეტანილ იქნა ღულამების დავთარში". 6. ოვალური, წარწერით: ۱۰۶۲ هاشم محمد آل بنده „მოჰამედის ოჯახის მონა ჰაშემი. 1062". ქვეშ მიწერილი აქვს: بقلم آمد „ჩაიწერა". 7. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: فریدون ... است غلام صفی ۱۰۷۷ „სეფის მონაა... ფერიდუნი. 1077".

საბუთი მდიდრულად არის მოხატული ოქროს ვარაყის ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით და ოქროს ვარაყისა და ფერადი ხაზებისაგან შემდგარ ჩარჩოებშია ჩასმული. ტექსტის ქაღალდს შემოვლებული აქვს ნარინჯისფერი, შავი წვრილი წერტილებით დაწინწკლული ქაღალდის ჩარჩო, რომელიც დაზიანებულია.

К 10.986 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6

1667 წ. სექტემბრის 20 — ოქტომბრის 18. შაჰ-სულეიმანის ბრძანებულება პაპუნა ციციშვილისათვის სოფელ ქვემო რიზაქის დამტკიცების შესახებ

*شاه طهماسب نورالله مضجعه
**جد اعلی امجدم نور الله مرقده
***جد بزرگوارم طاب ثراه
****شاه بابام انار الله برهانه

حکم جهانمطاع شد آنکه چون رقم نواب خاقان خلد آشیان صاحبقرانی بتاریخ شهر صفر سنه ۱۰۶۲ صادر شده بمضمون آنکه چون فیمابین رفعت پناه عزت دستگاه کمالا بابونه بیک ولد کیخسرو بیک سیسی اغلی و رفعت پناهان ملک قورخمس ولد ملک عطابیک و زاکم‌بیک و کمال بیک اولاد ملک میریمان بر سر املاک معینه منازعه بوده و از جانبین احکام مطاعه نواب جنت مکان علیین آشیانی* و نواب کیتی‌ستان فردوس مکانی** و نوشتجات خوانین کرجستان ابراز نموده بوده اند بنابر رؤ[ح] مناقشه طرفین بموجب رقم نواب خاقان رضوان مکانی*** که بتاریخ ۲۶ شهر صفر سنه ۱۰۴۶ عز صدور یافته مقرر شده که قریه ریزاک سفلا که یکی از محال مایه النزاع بوده اولاد ملک میریمان بتصرف رفعت پناه بابونه بیک مزبور دهند و زاکم بیک که قریه مزبور در تصرف او بوده حسب المسطور مقرر داند که من بعد در میانه اولاد سیسی اغلی و میریمان بیک در باب املاک و محالی که در تصرف کیخسرو بیک و اولاد بوده دعوی نبوده باشد مشروط بر آنکه از جانبین بمضمون مسطور بعمل آورده اگر دیگری از اولاد کیخسرو بیک سیسی اغلی را درباب املاک و محالی که در تصرف مشارالیهم است دعوی بوده باشد عهده جواب با بابونه بیک باشد و درین باب استدعاء امضاء نواب همایون ما نمودند بنابرین مقرر فرمودیم که رقم نواب خاقان رضوانمکانی را*** بامضاء نواب همایون ما [ممضی][1] دانسته زاکم بیک و سایر اولاد ملک میریمان قریه مزبوررا بتصرف بابونه بیک مشارالیه داده از جانبین حسب المسطور عملنمایند و اگر دیگری از اولاد کیخسرو بیک سیسی اغلی را در باب املاک و محالی که در تصرف مشارالیهم است دعوی بوده باشد عهده جواب با بابونه بیک باشد بابونه بیک مزبور

[1] ადგილი დაზიანებულია ქაღალდის გაცრეცის გამო.

المسطور مقرر داند بنابرین مقرر فرمودیم که رقم نواب خاقان خلد آشیان صاحبقرانی را که بشرح فوق صادر کشته من اوله الی آخره ممضی دانسته ازمضمون و مدلول آن تخلف نورزند و در عهده شناسند تحریرا فی شهر ربیع الثانی سنه ۱۰۷۸

*მაჰ-თაჰმასბი, ღმერთმა გაანათლოს მისი განსვენების ადგილი!

** დიდებული პაპის მამა ჩემი, ღმერთმა გაანათლოს მისი საფლავი!

***დიდებული პაპაჩემი, წმინდა იყოს მიწა მისი [საფლავისა]!

****შაჰი-მამაჩემი, ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, იმის შესახებ, რომ სამოთხეში განსვენებულმა ძლევამოსილმა ხაყანმა (შაჰ-აბას II) 1062 წლის საფარის თვეში გამოსცა შემდეგი შინაარსის რაყამი:

„რადგანაც ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილის შვილსა, სიმაღლის საფარველის, დიდებულის, სრულყოფილ პაპუნა-ბეგსა[1] [ერთის მხრით] და [მეორე მხრით] სიმაღლის საფარველების: მელიქ ათაბეგის შვილის მელიქ ყორხმასისა და მელიქ მირიმანის შვილების — ზაქემ-ბეგსა და ქემალ-ბეგს შორის გარკვეული მამულის (მულქის) გამო დავა იყო და [მოდავე] მხარეებს წარმოდგენილი ჰქონდათ ბრძანებულებანი, რომელთაც ემორჩილება ყველა, და რომელნიც გამოცემული იყო სამოთხეში განსვენებული ხელმწიფის*[2] და სამოთხეში დამკვიდრებული, ქვეყნის დამპყრობელი ხელმწიფის**[3] მიერ, აგრეთვე საქართველოს ხანების[4] [მიერ გაცემული] წიგნები, ამიტომ მხარეებს შორის დავის მოსასპობად, სამოთხეში დამკვიდრებული ხელმწიფის*** რაყამის საფუძველზე, რომელიც 1046 წ. საფარის თვის 26 თარიღით იყო გამოცემული, დადგენილ იქნა, რომ სოფელი ქვემო რიზაქი, ერთი იმ ადგილთაგანი, რომელთა გამოც იყო დავა, მელიქ მირიმანის შვილებმა გადასცენ სიმაღლის საფარველს პაპუნა-ბეგს სამფლობელოდ, ხოლო ზაქემ-ბეგმა, რომლის მფლობელობაშიც იყო ხსენებული სოფელი, დაწერილის თანახმად დადგენილად იცნოს [ის], რომ ამიერიდან აღარ უნდა იყოს დავა ციციშვილისა და მირიმან-ბეგის შვილებს შორის იმ მამულების (ამლაქ) და ადგილების გამო, რომელიც ქაიხოსრო-ბეგის და [მისი] შთამომავლობის მფლობელობაში იყო, იმ პირობით, რომ მხარეები შეასრულებენ დაწერილი [ბრძანებულებების] შინაარსს, ხოლო თუ ვინმე ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილის შთამომავლობიდან დაიწყებს დავას იმ მამულების და ადგილების შესახებ, რომელიც ხსენებულების მფლობელობაშია, მაშინ პასუხი პაპუნა-ბეგმა უნდა გასცეს.

ამ საკითხზე მათ ითხოვეს ჩვენი უავგუსტოესი ხელმოწერა. ამიტომ ჩვენ ვინებეთ დადგენა, რომ სამოთხეში დამკვიდრებული დიდებული ხაყანის რაყამი ჩაითვალოს ჩვენი უავგუსტოესი ხელმოწერით [დამტკიცებულად]. ზაქემ-

---

[1] სპარსულად: بیک بابوش ბაბუშნე ბეგ.

[2] შაჰ-თაჰმასბ (შაჰ-თამაზ) I.

[3] შაჰ-აბას I.

[4] ე. ი. ქართლ-კახეთის მეფეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგმა და მელიქ-მირიმანის სხვა შვილებმა აღნიშნული სოფელი უნდა გადაეცენ ხსენებული პაპუნა-ბეგის მფლობელობაში და ორივე მხარე უნდა მოქმედებდეს [აქ] დაწერილის თანახმად, ხოლო თუ ვინმე ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილის შთამომავლობიდან დაიწყებს დავას ხსენებულთა მფლობელობაში მყოფი მამულების (ამლაქ) და ადგილების გამო, პასუხის გაცემა პაპუნა-ბეგს დაევალება. ხსენებულმა პაპუნა-ბეგმა დაწერილის თანახმად იცნოს [ეს] დადგენილად".

ამიტომ ჩვენ ვინებეთ დადგენა, რომ ბრძანებულება, რომელიც, როგორც ზემოთ იყო განმარტებული, მისი უდიდებულესობის, ქვეყნის დამპყრობელი ხაყანის მიერ იქნა გამოცემული, აღიარებულ იქნეს თავიდან ბოლომდე [ჩვენს მიერ] ხელმოწერილად და [ვბრძანებთ, რომ არავინ] გაუწიოს წინააღმდეგობა მის შინაარსს და მითითებებს და თავის მოვალეობად აღიაროს [ამის შესრულება]. დაიწერა 1078 წ. რაბი II თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 155. დედანი, ზომა: 42×20$_{\frac{1}{2}}$ სმ. თხელი თეთრი აღმოსავლური ქაღალდი. დაწერილია წვრილი, შეჭასთენარევი კარგი ნასთალიკით. ტექსტის თავში დასმულია შაჰის მცირე ოთხკუთხი ბეჭედი ყოველგვარი შემკულობის გარეშე. ბეჭედს აწერია: صفی ولایت بنده شاه „სიწმინდის მეფის მონა სეფი".

მეორე მხარეზე საბუთს აქვს წარწერილი: هوا ز فرار نوشته سیادت و وزارت و اقبال پناه عظمت و جلالت دستگاه عالیجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه برضمن رقم سابق که نزد مؤدی استبیضه „თანახმად სეიდობის, ვაზირობის და ბედნიერების საფარველის; დიდებულებისა და ბრწყინვალების ძალის, მაღალადგილოვანი ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობისა, [იმ] წინა ბრძანებულების შინაარსის მიხედვით, რომელიც გადამხდელთან არის. თეთრი".

ამის ქვეშ დასმულია ე'თემად-უდ-დოვლეს ოვალური ბეჭედი და შემდეგი სარეგისტრაციო ბეჭდები (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. ელიფსური, რთული წარწერით, ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر... شد „ჩაიწერა ... დავთარში". 2. ელიფსური, ქვეშ მიწერილი აქვს: نوشته شد „დაიწერა". 3. ოვალური, წარწერით: غلام شاه ولایت فریدون „სიწმინდის მეფის მონა ფერიდუნი". ქვეშ მიწერილი აქვს: بنظر رسید „განხილულია". 4. მცირე, ოვალური, გაურკვეველი წარწერით. 5. მცირე, ოვალური, აგრეთვე გაურკვეველი წარწერით. 6. მცირე, ოვალური, წარწერით: بنده آل محمد هاشم „მოჰამედის ოჯახის მონა ჰაშემი". ქვეშ მიწერილი აქვს: بقلم آمد „დაიწერა".

საბუთის ტექსტის ქაღალდს შემოვლებული აქვს ნარინჯისფერი ქაღალდის ჩარჩო, რომელიც ალაგ-ალაგ დაზიანებულია. ტექსტიც რამდენიმე ადგილას დაზიანებულია ქაღალდის გაცრეცის გამო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

7

1670 წ. ნოემბრის 14 — დეკემბრის 13. შაჰ-სულეიმანის ფირმანი, რომ ჩოხურ-საადის ბეგლარბეგმა ნება არ მისცეს ყაჯარების ბაჰარლუს საზოგადოებას უკანონოდ ჩაუსახლდეს ჰარამილუს საზოგადოებას და შეავიწროოს ის

هو

الملک لله

*شاه بابام انارا الله برهانه

فرمان همایون شد آنکه چون از تصدیق مستوفیان عظام مستفاد شد که برینموجب

قریهٔ ——————
اوشی چخورسعد ازبابت مالوجهات
که بتیول او مقرر است
۴ تومان

قریهٔ ——————
حاجی‌له‌له تومان نخچوان که
بهمه‌ساله او مقرر است
۵ خروار

از بابت مالوجهات محال مزبوره بتیول و همه‌ساله امارت و حکومت پناه بهادر سلطان حرامیلو مقرر است و قبل ازین امارت پناه مزبور عرض کرده که سابقا والد او و جماعت حرامیلو نهر محال مزبوره را که از قدیم الایام آب آن از رود ارس جاری میشده و خراب شده بود آبادان نموده زراعت مینموده اند و الحال جماعت بحرلوی قاجار بحمایت محمد قلیخان بیکلربیکی سابق چخورسعد نهر مزبور را تصرف نموده در اراضی مزارعی که در تحت محلمزبور واقع است زراعت و قشلاق مینمایند و بدینجهت از تیول مزبور چیزی عاید او نمیشود و وزارت و رفعت و معالی پناه عزت و عوالی دستگاه آصفی ظهیرا للوزاره و الرفعه العزه میرزا ابراهیم وزیر آذربایجان و خادم مزار کثیر الانوار نواب خاقان خلد آشیان صاحبقران نیز تصدیق نموده که نهر قدیم آنرا که جماعت حرامیلوٴ مزبور فی‌الجمله تنقیه و حفر و آبادان نموده بودند در ایام ایالت بیکلربیکی سابق چخورسعد جماعت بحرلو بی اثبات حقیت بعنف و تعدی به ادعاٴ آنکه داخل قریه دوه‌لو و سایر محال است تصرف کرده زراعت مینمایند و جماعت حرامیلورا دخل نمیدهند و پروانچه بتاریخ شهر شوال سنه ۱۰۶۸ بعهده وزیر مشارالیه صادر کشته که مجددا بحقیقت رسیده تمکین خلاف حساب جماعت بحرلو نداده بدانچه موافق حق و حساب بوده باشد معمول کرداند و بعد ازان امارت پناه مزبور بعرض رسانیده که محال مزبوره از راه ملکیت بدو متعلق

تیول وهمه‌ساله مشارالیه مقرر است و قراکونه و خنجربیک و شاه‌محمد بیک و غیره جماعت بحرلو مدتیست که در حوالی محالمزبوره قشلامیشی مینمایند و نهری که از ارس جاری میشود و اراضی و صحاری محال مزبوره‌را متصرف شده اند و بحکمی که بشرح فوق گذشته اطاعت ننموده اند و استدعاء حکم اشرف بعهده عالیجاه بیکلربیکی بمحصّلی حاجی‌علی بیک تفنکچی تایین محمد صالح بیک مین باشی در باب مالوجهات سنوات و غیره نموده و تفنکچی آقاسی سابق در باب محصّلی حاجی علی بیک مزبور تصدیق نموده و پروانچه اشرف بتاریخ شهر جمادی الثانی سنه ۱۰۷۹ عز صدور یافته که عالیجاه بیکلربیکی بمحصّلی حاجی علی بیک مزبور بحقیقت مقدمه مزبوره رسیده بدانچه موافق حق و حساب بوده باشد معمول و مرتب داشته نوعی نماید که ستمی بر احدی واقع نشود و درینولا امارت پناه مزبور بعرض رسانید که محال مزبوره بتیول و همه ساله او مقرر است و جماعت بحرلو بتخصیص خاندانقلی و علیقلی و ساتیلمش و غیره در نهر و بند محالمزبوره قشلاق احداث نموده خسارت میرسانند و نوشته وزیر مزبور را مشعر بر آنکه جماعت بحرلوء قاجار چون قشلاقات در حوالی محال مزبوره دارند بنابر قرب‌جوار قریه و مزرعه‌را تصرف کرده‌اند و بامارت پناه مزبور از تیول و همه ساله چندان چیزی عاید نمیشود ابراز و استدعاء حکم اشرف درین باب بعهده عالیجاه بیکلربیکی چخور سعد نمود بنابرین چون وزیر مزبور بشرح مسطور تصدیق کرده که جماعت بحرلوء قاجار بنابر قرب قشلاق قریه و مزرعه مزبوررا تصرف نموده‌اند و بدانعلت تیول و همه ساله امارت پناه مزبور حسب الواقع عاید او نمیشود مقرر فرمودیم که عالیجاه بیکلربیکی مشارالیه منع تصرف خلاف حساب و زیادتی جماعت مزبور نموده نگذارد که در محل تیول مشارالیه مدخل نمایند درین باب قدغن دانسته از فرموده تخلف نورزد و در عهده شناسند تحریرا فی شهر رجب سنه ۱۰۸۱

მეუფება ღვთისაა!

*შაჰი—მამაჩემი. ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ დიდებული მუსტოფების მიერ დადასტურებიდან გამოირკვა, რომ

სოფელი უში ჩოხურ-საადისა, მალუჯათის ანგარიშში, რაც მას (ბაჰადურ-სულთანს) თიულად აქვს დამტკიცებული 4 თუმანი

თუმანე-ნახჩევანის სოფელი ჰაჯი-ლალა, რომელიც ჰამასალად აქვს დამტკიცებული (ბაჰადურ-სულთანს) 5 ხარვალი

ხსენებული ადგილების მალუჯათის ანგარიშში თიულად და ჰამასალად არის დამტკიცებული ხელისუფლებისა და მმართველობის საფარველის ბაჰადურ სულთან ჰარამილუსათვის.

ამას წინათ ხსენებულმა ხელისუფლების საფარველმა მოგვახსენა, რომ წინათ მისმა მამამ და ჰარამილუს საზოგადოებამ ხსენებული ადგილის არხი, რომლის წყალი ძველი დროიდანვე მდინარე არეზიდან მოედინება და რომელიც დანგრეული იყო, [ისევ] გამართეს და გააშენეს და ხვნა-თესვას ეწეოდნენ. ამჟამად ყაჯარის ბაჰარლუს საზოგადოება, ჩოხურ-საადის წინანდელი

ბეგლარბეგის მოჰამედ ყული-ხანის მფარველობით დაეუფლა ხსენებულ არხს, ხვნა-თესვას მისდევს იქ და საზამთრო ბინად გაიხადა ის საღალოდ გასაცემი მიწები (ერაზიჯე მოზარეი), რომელიც აღნიშნულ ადგილებში მდებარეობს, რის გამოც ხსენებული თიულიდან მას (ბაჰადურ სულთანს) არაფერი არ შემოსდის.

ვაზირობის, აღმატებულებისა და სიდიადის საფარველმა, დიდებისა და ამაღლების ძალამ, ასეფი[ს მსგავსმა], ვაზირობის მფარველმა მირზა იბრაჰიმმა, აზერბაიჯანის ვაზირმა და სამოთხეში დამკვიდრებული მისი უდიდებულესობის საჰებ-ყერანის ბრწყინვალე საფლავის მსახურმა, აგრეთვე დაამოწმა, რომ ის ძველი არხი, რომელიც ხსენებულმა ჰარამილუს საზოგადოებამ სრულიად გასწმინდა, გათხარა და ააშენა, ჩოხურ-საადის წინანდელი ბეგლარბეგის მმართველობის დროს, ბაჰარლუს საზოგადოებამ მიითვისა თავისი უფლების დაუმტკიცებლად, ძალით და უსამართლოდ, იმ საფუძველზე [თითქოს], რომ სოფელ დავალუს და სხვა ადგილებში შედის [ეს მიწებიო. ისინი] ხვნა-თესვას აწარმოებენ [იქ] და არ უშვებენ ჰარამილუს საზოგადოებას [ამ მიწებში].

1068 წ. შავალის თვის თარიღით გამოვიდა ბრძანებულება, რომლითაც ხსენებულ ვაზირს დაევალა ხელახლად გამოიძიოს სინამდვილე და არ მისცეს ბაჰარლუს საზოგადოებას უკანონობის ჩადენის შესაძლებლობა და ისე მოიქცეს, როგორც ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის [შესაფერისი] იქნება. ამის შემდეგ ხსენებულმა ხელისუფლების საფარველმა მოგვახსენა, რომ აღნიშნული ადგილები მას ეკუთვნოდა მულქის [უფლებებით] და თიულად და ჰამასალად არის დამტკიცებული მისთვის. ყარაგუნე, ხანჯარ-ბეგი, შაჰ-მოჰამედ-ბეგი და სხვანი ბაჰარლუს საზოგადოებიდან ერთი ხანია აღნიშნული ადგილების მიდამოებში დგებიან საზამთროდ, ისაკუთრებენ არხს, რომელშიც წყალი მდინარე არეზიდან მოდის, ხსენებული ადგილების სახნავ-სათეს მიწებს და ველებს ეპატრონებიან და არ ემორჩილებიან ბრძანებულებას, რომელიც ზემოთ წარმოდგენილი წესით იყო გამოცემულიო. მან ითხოვა, [რომ გამოცემულ იქნეს] უკეთილშობილესი ბრძანებულება მაღალადგილოვანი ბეგლარბეგის სახელზე, ჰაჯი ალი-ბეგ თოფანგჩის, მოჰამედ სალეჰ-ბეგ მინბაშის ხელქვეითის მოჰასილობით, [გასული] წლების მალუჯათისა და სხვ. შესახებ. წინანდელმა თოფანგჩიაღასიმ ხსენებული ჰაჯი ალი-ბეგის მოჰასილობა დაადასტურა და 1079 წ. ჯომადა II თარიღით გამოვიდა ბრძანებულება, რომ მაღალადგილოვანმა ბეგლარბეგმა ხსენებული ჰაჯი ალი-ბეგის მოჰასილობით აღნიშნული საქმე გამოიძიოს და როგორც ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას შეეფერება, ისე მოსაწესრიგებლად იცნოს და იმგვარად მოიქცეს, რომ არავინ დაიჩაგროს.

ამ ხანებში ხსენებულმა ხელისუფლების საფარველმა მოგვახსენა, რომ აღნიშნული ადგილები მის თიულად და ჰამასალად არის დამტკიცებული და ბაჰარლუს საზოგადოებას, განსაკუთრებით ხანდანყულის, ალიყულის, სათილმიშს და სხვებს ხსენებულ არხთან და კაშხალთან საზამთრო ბინები მოუწყვიათ და ზარალს გვაყენებენო. მან წარმოადგინა მოხსენებული ვაზირის წერილი, რომელიც იუწყება, რომ ყაჯარის ბაჰარლუს საზოგადოება, იმის გამო, რომ მას საზამთრო ბინები აქვს აღნიშნული ადგილების მიდამოებში, ახლო მეზობლად რადგანაც არის, სოფელს და სახნავ-სათეს მიწებს დაეპატრონა და ხსენებულ ხელისუფლების საფარველს თიულიდან და ჰამა-

სალადან არაფერი შემოუდისო. მან ითხოვა უკეთილშობილესი ბრძანებულების [გამოცემა] ამის შესახებ ბეგლარბეგის სახელზე.

ამის საფუძველზე, რადგანაც ხსენებულმა ვაზირმა, როგორც დაწერილია, დაადასტურა, რომ ყაჯარის ბაჰარლუს საზოგადოება საზამთრო ბინების სიახლოვის გამო დაეპატრონა აღნიშნულ სოფელსა და სახნავ-სათეს მიწებს და ამის გამო მოხსენებულ ხელისუფლების საფარველს თიული და ჰამასალა სინამდვილეში არ ეძლევა, — ჩვენ დავადგინეთ, რომ ხსენებულმა მაღალადგილოვანმა ბეგლარბეგმა აუკრძალოს აღნიშნულ საზოგადოებას უკანონოდ [მიწა-წყლის] მითვისება და შევიწროება და არ დაუშვას, რომ შეუვიდნენ მოხსენებულს თიულის ადგილებში. ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ, ნაბრძანებს წინააღმდეგობა არ გაუწიონ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1081 წ. რაჯაბის თვეს.

ცსსა, ფონ. 1452, საბ. 20. დედანი, ზომა: 82×24₆ სმ. დაწერილია კარგი ნასთალიკით შეყვითლებული თეთრი ქაღალდის ორ კეფზე. ტექსტი ჩასმულია ოქროს ვარაყის და ფერადი ხაზების ჩარჩოში. ასეთივე ჩარჩოა მარჯვენა ამიაზე. საბუთის ქაღალდს აგრეთვე შემოვლებული აქვს ნარინჯისფერი ქაღალდის ზოლები. შაჰის ბეჭედი, რომელიც ტექსტის თავზე ზის, ოქროს ვარაყით შესრულებულ ორნამენტში არის მოქცეული. ასეთსავე ორნამენტში ზის წითელი მელნით დაწერილი სტრიქონი შაჰის მამის ხსენებით. შაჰის ბეჭედს აქვს შუაგულში წარწერა: بنده شاه دین سلیمان است ۱۰۷۸ „სარწმუნოების მეფის მონაა სულეიმანი. 1078“. ამის გარშემო ამიაზე მოხსენებულია შიიტების 12 იმამი.

მეორე მხარეზე შემდეგი მინაწერია: و هو از قرار نوشته وزارت شوکت و ایالت پناه حشمت و عظمت و اجلال دستگاه عالیجاهی اعتضاد السلطنه البهیه السلطانیه اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه بیضه „ის (ღმერთი). თანახმად ვაზირობის, დიდებულების და მმართველობის საფარველის; სიდიადისა და ბრწყინვალების ძალის, მაღალადგილოვანის, სახელმწიფოს საყრდენის... ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობისა. თეთრი“.

ამის შემდეგ წარწერილია ე'თემად-უდ-დოვლეს რთული თოღრა და მის ქვეშ დასმულია მისივე ოვალური ბეჭედი. ქვემოთ შემდეგი სარეგისტრაციო ბეჭდებია მოთავსებული (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. ელიფსური ბეჭედი გაურკვეველი წარწერით. ქვეშ მიწერილი აქვს: بنظر رسید „განხილულ იქნა“. 2. მცირე, ოთხკუთხი, გაურკვეველი წარწერით. ქვეშ არაფერი აქვს მიწერილი. 3. მცირე, ოვალური, წარწერით: بنده آل محمد هاشم „მოჰამედის ოჯახის მონა ჰაშემი“. ქვეშ მიწერილი აქვს: بقلم آمد „დაიწერა“. ორი ბეჭედი თავისი მინაწერებით ნახევრად დაფარულია ნარინჯისფერი ქაღალდის ჩარჩოთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8

1671 წ. მაისის 10 — ივნისის 8. შაჰ-სულეიმანის ფირმანი საქართველოს ვალის ეშიკაღასიბაშის ელიზბარ-ბეგის შვილის დავით-ბეგისათვის თიულად 15 თავრიზული თუმნის დანიშვნის შესახებ

موضع مهر مبارک اشرف
ارفع اعلی

فرمان همایون شد آنکه بنابر شفقت بیغایت شاهانه در باره رفعت پناه داوودبیک ولد الزبار بیک ایشیک آقاسی باشی عالیجاه والی کرجستان از ابتداء هفتماهه تخاقوی ئیل مبلغ پانزده تومان تبریزی[1] از بابت مالوجهات و وجوهات محال مزبوره ضمن که بتیول والد او مقرر بوده و متوفی شده حسب الظهر بتیول رفعت پناه مزبور شفقت و مرحمت فرموده ارزانی داشتیم کدخدایان و رعایاء محال مزبوره مشارالیه‌را تیولدار باستقلال خود دانسته سال بسال مالوجهات و وجوهات و حقوق دیوانی رسد تیول مومی [الیه]را بدو واصل ساخته چیزی موقوف ندارند و قضایاء سانحه متعلقه بتیولدار رسد تیول مزبوررا بمشارالیه رفع نمایند که موافق حق و حساب غوررسی نموده بفیصل رساند حکام و عمال الکاء مزبور بخلاف حکم و حساب مدخل در تیول مشارالیه ننموده قلم و قدم کوتاه و کشیده دارند درین باب قدغن دانسته هرساله حکم مجدد نطلبند و چون پروانچه بمهر مهرآثار اشرف ارفع اعلی مزین و محلّی کردد اعتماد نمایند تحریرا فی شهر محرم الحرام سنه ۱۰۸۲[2]

კურთხეული, უკეთილშობილესი,
უმაღლესი ბეჭდის ადგილი

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ საქართველოს ვალის ეშიკაღასიბაშის ელიზბარ-ბეგის შვილის დავით-ბეგისადმი უსაზღვრო ხელმწიფური წყალობის [მიპყრობის] გამო, ჩვენ ვუწყალობეთ და ვუბოძეთ მას, თანახმად [საბუთის] „ზურგზე“ [აღნიშნულისა] ქათმის წლის შვიდთვეობის დასაწყისიდან თანხა 15 თავრიზული თუმნისა ამასთან მოხსენებული ადგილების მალუჯათისა და [სხვა] გადასახადების (ვოჯუჰათის) ანგარიშში, რაც მის მამას, რომელიც გარდაიცვალა, ჰქონდა დამტკიცებული.

---

[1] ეს თანხა განმეორებულია სიაყით სტრიქონს ზემოთ.

[2] წერია: ١١٠٨٢

ხსენებული ადგილების ქეთხუდებმა და გლეხებმა მოხსენებული [დავით-ბეგი] უნდა იცნონ სრულუფლებიან თიულდარად, აღნიშნული თიულის [მრნი] წილის მალუჯათი, ვოჯუჰათი და სადივანო გადასახადები ყოველ წელიწადს მას გადასცენ და არაფერი დაუკავონ და [სასამართლოს] საქმეები, რომელიც აღნიშნული თიულის წილის თიულდარს მიეკუთვნება [განსახილველად], ხსენებულს გადასცენ, რათა ჭეშმარიტებისა და გონიერების თანახმად გამოიძიოს და გადასწყვიტოს [ისინი]. აღნიშნული ოლქის მმართველები და ომალები, ბრძანებისა და კანონის წინააღმდეგ არ შეუვიდნენ ხსენებულს თიულში და „კალამი და ნაბიჯი დაიმოკლონ“. ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ, ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ და როცა ფარვანა უკეთილშობილესი, უმაღლესი, უდიდესი მზისებრი ბეჭდით იქნება შემკული და გაბრწყინვებული, ერწმუნონ. დაიწერა მოჰარემ ალ-ჰარამის თვეს, 1082 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 105. პირი, ზომა: 32×17,6 სმ. დაწერილია თეთრ (გაყვითლებულ) ქაღალდზე შექასთენარევი ნასკალიკით. მეორე მხარეზე მოთავსებულია ყარაბაღის შეიხ-ულ-ისლამის მიერ დამოწმება ამ პირისა და დავთრიდან მოტანილი ცნობები:

محل مهر عالیحضرت شیخ الاسلام قراباغ

معترف شد زبده الاشباه نظر بیک کرجی وکیل رفعت پناه داود بیک

ولد الزبار بیک بآنکه مبلغ شش تومان و ششهزار و هفتصد دینار تبریزی رسد چهار دانک نهر کوران کوچک از قرار دیناری چهار دینار وجه همه ساله قوی ئیل رفعت پناه مشارالیه تماما و کمالا باقباض و ایصال وکلاء ورثهٔ مرحمت و مغفرت پناه مرتضیقلیخان واصل و عاید مقر مزبور گردیده اخذ و بازیافت نمود تحریرا فی غره شهر جمادی الاول سنه ۱۱۰۳

„ყარაბაღის მაღალადგილოვანი შეიხ-ულ-ისლამის ბეჭდის ადგილი.

მსგავსთა შორის რჩეულმა ნაზარ-ბეგ ქართველმა, აღმატებულების საფარველის დავუდ-ბეგის, ელიზბარ-ბეგის შვილის რწმუნებულმა განაცხადა, რომ ექვსი თავრიზული თუმანი და 6700 დინარი პატარა ქურანის არხის 4 დანგის წილისათვის, ანგარიშით—ერთ დინარში ოთხი დინარი, ცხვრის წელიწადის ჰამასალას თანხა ხსენებული აღმატებულების საფარველისა, სრულად და უკლებლად, „მოტანით და ჩაბარებით“ შემოვიდა განსვენებული მურთაზა ყული-ხანის მემკვიდრეთა რწმუნებულებისაგან განმცხადებელთან და მან მიიღო. დაიწერა 1103 წ. ჯომადა I თვის პირველს“.

ამ ტექსტის მარჯვნივ მოთავსებულია დამოწმება საბუთისა და დასმულია შეიხ-ულ-ისლამის ბეჭედი, ხოლო მარცხენა მხარეზე მოტანილია სიაყით დავთრის შემდეგი ცნობები:

۳۰ تومان ششماهه

۱۵ تومان مقرر

۱۵ تومان

مالوجهات

۹ تومان ۴۸۰۱ دینار

ეროვნული ბიბლიოთეკა

سنقرابـــــــــــاد نهـــــــــــــــــــــــــــــــر

کوران و غیره شطرازان

نهـــــــر نهـــــــر

کوران کوچک نورشین

۴ تومان ۴۸۰۱ دینار ۲ تومان ۴۱۴۱ دینار ۲ تومان ۵۸۵۹ دینار

وجوهات

۷ تومان ۱۹۹ دینار

رسوم رسم الحساب

۸ تومان ۴۹۰۰ دینار ۲۹۹ دینار

بیضه

30 თუმანი ექვსთვეობისა
15 თუმანი გარდაკვეთით

15 თუმანი

მ ა ლ უ ჯ ა თ ი

9 თუმანი 4801 დინარი

სონყორაბადი — ქურანის არხი და შათრაზანის სხვა ადგილები

პატარა ქურანის არხი — ნორაშენის არხი

2 თუმანი 4141 დინ. — 2 თუმ. 5859 დინ.

4 თუმანი 4801 დინარი

ვ ო ჯ უ ჰ ა თ ი

7 თუმანი 199 დინარი

რუსუმი — რასმ ალ-ჰასაბ

8 თუმანი 4900 დინ. — 299 დინარი

თეთრი

იქვეა აღნიშნული ოთხი სარეგისტრაციო ბეჭდის ადგილი და მიწერილია: از قرار رقم اشرف ارفع اعلی که اصل نزد مودی است و سواد در دفترخانه همایون ضبط شده بیضه „თანახმად უმაღლესი, უდიდებულესი, უკეთილშობილესი რაყამისა, რომლის დედანი გადამხდელთან არის და პირი უავგუსტოეს დავთარხანაში არის დაცული. თეთრი“.

ამ საბუთის მეორე პირს წარმოადგენს იქვე, ხელნაწერთა ინსტიტუტში, დაცული Pd 101, რომელიც ისეთსავე ქაღალდზე და იმავე ხელით არის გადაწერილი, როგორც Pd 105, მხოლოდ უფრო დაზიანებულია და „ზურგზე“ მოთავსებული მინაწერი სხვა სახელების შემცველია, თარიღიც განსხვავებული (1102 წ. ჯომადა I=1691 წ. 31/I — 1/II) აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9

1671 წ. დეკემბრის 3 — 31. შაჰ-სულეიმანის ფირმანი ზაზა-ბეგისათვის დიდებული ხალათების ბოძების შესახებ

هو

حکم جهانمطاع شد آنکه رفعت و معالی پناه کمالا زازا بیک بشفقت شاهانه سرافراز کشته بداند که پیشکش مقرری که درین وقت بدرگاه جهان پناه فرستاده بود بنظر کیمیا اثر رسیده خلاع فاخره بان رفعت و معالی پناه شفقت فرمودیم بتوجهات شاهانه مستمال باشد تحریرا فی شهر شعبان المعظم سنه ۱۰۸۲

ის (ღმერთი).

გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ სიდიადისა და აღმატებულების საფარველმა, სრულყოფილმა ზაზა-ბეგმა, ხელმწიფური წყალობით განდიდებულმა, უწყოდეს, რომ გარდაკვეთილი (მუყარარი) ფეშქაში, რომელიც ამ ხანებში გამოეგზავნა ქვეყნის საფარველ კარზე, [მიღებული და] წარმოდგენილი იქნა [ჩვენს წინაშე] და იმ სიდიადისა და აღმატებულების საფარველს ვუბოძეთ დიდებული ხალათები. დარწმუნებული იყოს ხელმწიფის კეთილგანწყობილებაში. დაიწერა 1082 წ. დიდებული შა'ბანის თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pქ, საბ. 43. დედანი, ზომა: 26×18 სმ. თეთრი (გაყვითლებული) ქაღალდი. გადაწერილია კარგი ნასთალიკით. ტექსტის თავზე ზის შაჰის მცირე ბეჭედი თავისებური ფორმისა, რომელსაც აქვს ასეთი წარწერა: است سلیمان دین شاه بنده „სარწმუნოების მეფის მონაა სულეიმანი“. საბუთის მეორე მხარეზე მიწერილია: هو العلیه العالیه بالمشافه „ის. თანახმად უმაღლესი ზეპირი ბრძანებისა“. ამის მარჯვნივ, კიდეზე: ثبت مجموعه شد „ჩაიწერა კრებულში“. ამავე მხარეზე მიწერილია: „ზაზას... ს[ა]ხლთ.: ხუცეს:. რაყამი.: ფეშქაში.: რომა:. გაეგზავნა:. ხალათი მოსვლოდა“.

საბუთი დაბეჭდილია წიგნში: „მაკარ ხუბუა. საქართველოს მუზეუმის ფირმანები და ჰოქმები“, გვ. 18, საბ. 9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10

1672 წ. თებერვლის 29 — მარტის 29. შაჰ-სულეიმანის ფირმანი ყაფლან-ბეგ ბარათაშვილის ძის ასლან-ბეგისა და მისი ძმებისათვის მამის სათიულო ადგილების დამტკიცების შესახებ

هو
الملک لله

شاه عباس اعلی الله فی الخلد مقامه*

فرمان همایون شد آنکه ایالت و سلطنت پناه شوکت و حشمت دستگاه عالیجاه زبده السلاطین العظام نظاما للایاله و السلطنه و الاقبال شاهنواز خان والی کرجستان کارتیل بنوازشات بلانهایات شاهانه[1] و تلطفات بلاغایات پادشاهانه[1] عز افتخار یافته بداند که درین وقت رفعت پناه اصلان بیک ولد قپلان بیک براتلی بدرگاه جهان پناه آمده احکام نواب گیتی ستان فردوس مکانی* بتواریخ مختلفه که بنابر حسن خدمت و دولتخواهی قپلان بیک مزبور جا و منصب و محال تیول اسلمس بیک عم و پدر او بمشارالیه شفقت شده بوده ابراز و استدعاء امضای همایون باسم‌خود و نابونه بیک و وقتان بیک و طهماسب بیک و کرکین بیک برادران نمود نواب کامیاب همایون ما[1] نیز احکام نواب گیتی ستان‌را بامضای اشرف مقرون و جا و منصب و محال تیول مزبوررا بمشار الیه و برادران مزبوره او شفقت فرموده ارزانی داشتیم که رعایاء متفرقه خودرا جمع نموده بفراغبال در خدمت آنعالیجاه بخدمات مرجوعه قیام و اقدام نمایند میباید که آنعالیجاه بتصرف ایشان گذاشته مانع نشود و رعایت و مراقبت و امداد و اعانت ایشان‌را در هرباب لازم دانسته رعایاء متفرقه ایشانرا در هرجا و هر محل و نزد هرکس بوده باشند مستمال ساخته بجا و مقام خود باز آورد و مقرر نمایند که احدی دخل در محال تیول ایشان ننموده پیرامون نگردد درینباب قدغن دانسته تقصیر ننماید تحریرا فی شهر ذی قعده الحرام سنه ۱۰۸۲

ის (ღმერთი).
მეუფება ღვთისაა!

*შაჰ-აბასი, ღმერთმა დაუმკვიდროს მას ადგილი სამოთხეში!

გამოვიდა უაგვუსტოესი ფირმანი მასზე, რომ მმართველობისა და ხელმწიფობის საფარველმა, დიდებისა და ძლიერების ძალამ, მაღალადგილო-

[1] წერია წითლით.

ვანმა, დიდებულ ხელმწიფეთა [შორის] რჩეულმა; მმართველობის, ხელმწიფობისა და იღბლის მომწესრიგებელმა, ქართლის საქართველოს ვალიმ შაჰნავაზ-ხანმა, უსაზღვრო შაჰური წყალობით და უსასრულო ხელმწიფური შეწყნარებით გამორჩეულმა უწყოდეს, რომ ამ ხანებში აღმატებულების საფარველმა ასლან-ბეგმა, ყაფლან-ბეგ ბარათაშვილის შვილმა, მოვიდა რა ქვეყნის საფარველ კარზე, წარმოადგინა ქვეყნის დამპყრობელი, სამოთხეში დამკვიდრებული ხელმწიფის* სხვადასხვა თარიღით [გამოცემული] ბრძანებულებები, [რომლებიდანაც ჩანდა], რომ კეთილი სამსახურისა და ერთგულების გამო, ხსენებულ ყაფლან-ბეგს ნაწყალობევი ჰქონდა მისი მამის და ბიძის ასლამაზბეგის ადგილი, თანამდებობა და სათიურო ადგილები. [ასლან-ბეგმა] ითხოვა უავგუსტოესი დამტკიცება [ამისა] თავისა და თავის ძმების: პაპუნა-ბეგის, ვახტანგ-ბეგის, თამაზ-ბეგის და გიორგი-ბეგის სახელზე.

ჩვენმა უავგუსტოესობამ აგრეთვე დავამტკიცეთ [უკეთილშობილესი ხელმოწერით] ქვეყნის დამპყრობელი ხელმწიფის ბრძანებულებები და აღნიშნული თანამდებობა და სათიურო ადგილები ხსენებულ [ასლან-ბეგს] და მის ძმებს ვუწყალობეთ და ვუბოძეთ, რათა თავისი გაფანტული გლეხები (რაია) მოაგროვონ და დამშვიდებულად ემსახუროთ იმ მაღალადგილოვანს. საჭიროა, რომ იმ მაღალადგილოვანმა არ დააბრკოლოს ისინი [ნაწყალობევის] დაუფლებაში და ყურადღების მიქცევა, ზრუნვა, დახმარება და შველა მათი ყოველ შემთხვევაში საჭიროდ იცნონ. მათი გაფანტული გლეხები (რაია) სადაც, რა ადგილსაც და ვისთანაც არ უნდა იყვნენ, უნდა დააიმედონ და თავის ადგილსა და სამყოფელოში დააბრუნონ და დაადგინონ, რომ არავინ შევიდეს მათ თიულში და მის გარშემო არ იტრიალოს. ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ და დაუდევრობას ნუ გამოიჩენენ. დაიწერა 1082 წლის კურთხეული ზულ-ყადას თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 102. დედანი, ზომა: $54_3 \times 25_4$ სმ. დაწერილია შეჭასთენარევი კალიგრაფიული ნასთალიყით თხელ თეთრ ქაღალდზე. ტექსტის თავზე, ოქროს ვარაყით და ლურჯი და წითელი ფერებით შემკულ ორნამენტში ჩასმულია შაჰის დიდი მრგვალი ბეჭედი, რომლის შუაგულში წერია: بنده شاه دین سلیمان است „სარწმუნოების მეფის მონაა სულეიმანი“, ხოლო აშიაზე 12 იმამის სახელია მოტანილი.

მეორე მხარეზე საბუთს მიწერილი აქვს: هوحسب الامر الاعلی ازقرار نوشته وزارت و شوکت و اقبال پناه عظمت و حشمت و اجلال دستگاه عالیجاه اعتضاد السلطنه البهیه السلطانیه اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه بیضه „ის (ღმერთი). თანახმად უზენაესი ბრძანებისა. ვაზირობისა, სიდიადისა და ბედნიერების საფარველის, დიდებისა, ბრწყინვალებისა და პატივის ძალის, მაღალადგილოვანის, სახელმწიფოს შემწის ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობის თანახმად. თეთრი“.

ამ მინაწერის ქვეშ დასმულია ე'თემად-უდ-დოვლეს ოვალური ბეჭედი წარწერით: لا اله الا الله الملک الحق المبین عبده علی... „არა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა, ნათელი ჭეშმარიტების მეუფისა. მონა მისი ალი“... საბუთს „ზურგზე“ დასმული აქვს შემდეგი სარეგისტრაციო ბეჭდები (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. მცირე, ოვალუ-

რი, გაურკვეველი წარწერით. ქვეშ მიწერილი აქვს: دفتر سرخط دشد „შეტანილია სარხათის დავთარში“. 2. ოვალური, წარწერით: ۱۰۸۷... محمد افوض امری الی الله „მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისათვის. მოჰამედ... 1087“. ქვეშ მიწერილი აქვს: دشد نوشته „დაიწერა“. 3. ოვალური, გაურკვეველი წარწერით, ხოლო ქვეშ მიწერილი აქვს بنظر رسید „განხილულ იქნა“. 4. მცირე, ოვალური, წარწერით: ۱۰٦۱ سنه ... بنده زرار علی کذاب دارد „გამსჭვალულია ალის ორგულთა მიმართ ბოროტებით... მონა... წელსა 1061“. ქვეშ მიწერილი აქვს حرّه ...5. მცირე, ოვალური, წარწერით: هاشم محمد آل بنده ۱۰٦۱ „მოჰამედის ოჯახის მონა ჰაშემი. 1061“. ქვეშ მიწერილია: آمد بقلم „დაიწერა“.

საბუთის ქაღალდი მოხატულია ოქროს ვარაყის და წითელი და ლურჯი ფერებით შემკული ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით და შემოვლებული აქვს ნარინჯისფერი ქაღალდის ჩარჩო, რომელიც აგრეთვე მოხატულია მოშავო ფერის ყვავილებით.

საბუთი დაბეჭდილია მ. ხუბუას წიგნში: „საქართველოს მუზეუმის ფირმანები და ჰოქმები“, გვ. 20, საბ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11

1683 წ. აპრილის 28 — მაისის 27. შაჰ-სულეიმანის ფირმანი მოლა აბულ-ყასემისათვის ახილი ფაიდარის ჩობანბეგის თანხებიდან ყოველწლიურ ჯამაგირად 9 თუმნისა და 8900 დინარის დანიშვნის შესახებ.

هو

الملک لله

فرمان همایون شد آنکه ضابط وجوه چوبان‌بیکی اخیلی پایدار از ابتدأ اود ئیل مبلغ نه تومان و هشت هزار و نهصد دینار از بابت وجوه مزبور در وجه مواجب همه‌ساله رفعت‌پناه عالیجناب ملا ابو القاسم قریه اخیلی پایدار علاّمه خاصه شریفه قدسی رفعت و معالی پناه مقرر شده و بعرض سنجر بیک یوزباشی وانیجی[1] عوض آنکه همه ساله برادرش از بابت قریه سالور برکشاط اران داشته و از دفتر غلامان نوشته اند که از ابتدأ چهار ماهه یونت ئیل تغییر یافته بتیول عبد الله بیک ولد موسی بیک مقرر شده و عالیجاه میرشکار باشی تصدیق مناقب ملازمت تجویز نموده حسب الظهر سابق مقرر دانسته سال بسال از قرار تصدیق دفتر غلامان و توجیه رسانند و از قرار قبض بخرج مجری ملا مومی الیه معین شده و درین باب قدغن دانسته هر ساله حکم مجدد طلب ندارند و در عهده شناسند تحریرا فی شهر جمادی الاول سنه ۱۰۹۴

ის (ღმერთი).

მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ ახილი ფაიდარის ჩობან-ბეგის ფულის ზაბეთმა უწყოდეს, რომ ხარის წლის დასაწყისიდან 9 თუმანი და 8900 დინარი ხსენებული [ჩობანბეგის] ანგარიშში დაუმტკიცდა ყოველ-წლიურ ჯამაგირად აღმატებულების საფარველს, სოფელ ახილი ფაიდარის დიდად პატივცემულ მოლა აბულყასემ ყუდსის, მეცნიერს, სანჯარ-ბეგ ვანი-ჯის[1] უზბაშის მოხსენებით, იმის ნაცვლად, რაც მის ძმას ჰქონდა ჰამასალად არანის ბარგუშატის სოფელ სალურის ანგარიშში. ღულამების დავთრიდან მოიწერეს, რომ ცხენის წლის ოთხთვეობის დასაწყისიდან დათხოვნილ იქნა და [აღნიშნული თანხა] მუსა-ბეგის შვილის აბდულა-ბეგისთვის იქნა თიულად

[1] წაკითხვა საეთოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებული. მაღალადგილოვანმა მირშექარბაშიმ დაადასტურა, რომ [მოლა აბულყასემი] შეეფერება [ხსენებულ] სამსახურს. [საბუთის] „ზურგზე“ აღნიშნულ საფუძველზე დამტკიცებულად იცნონ [ეს], ყოველ წელიწადს თოუჯიჰისა და ღულამების დავთრის მიერ დამოწმების თანახმად გადასცენ [მოლა აბულყასემს წლიური ჯამაგირი] და ხელწერილის საფუძველზე მოხსენებული მოლას ხარჯებში გატარებულად იცნონ. ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ, ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1094 წლის ჯომადი I თვეს.

ცსსა, ფონ. 1452, საბ. 21. დედანი, ზომა: 43 × 26 სმ. მოყვითალო ქაღალდზეა დაწერილი კარგი ნასთალიყით, მაგრამ რამდენიმე ადგილი ძნელად იკითხება ქაღალდის ძალიან დაჭმუჭვნის და ზოგან გაცრეცის გამო. ტექსტის თავზე ზის შაჰის დიდი მრგვალი ბეჭედი, რომლის წარწერაში იკითხება: است سلیمان [دین] ناه شه بنده „[სარწმუნოების] მეფის მონაა სულეიმანი“. მეორე მხარეზე საბუთს მთლიანად გადაკრული აქვს სიმაგრისათვის თეთრი ქაღალდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

1685 წ. ნოემბრის 28 — დეკემბრის 27. შაჰ-სულეიმანის ფირმანი ელიზბარ-ბეგის შვილიშვილების ზაალ-ბეგისა და ქაიხოსრო-ბეგისათვის მათი პაპის ნაქონი სოიურღალის ბოძების შესახებ

محل مهر سلیمان شاه فرمان. همایون شد آنکه چون حسب الحکم اشرف بتاریخ سنه ۱۰۷۷ بر طبق رقم خاقان خلد آشیان صاحبقرانی محالمزبوره ذیل

قریه کومس قریه مناستر قریه غوبان
قریه والاس قریه اصورص قریه جباله

بلا مبلغ بقید[1] اینکه از سرکار اوارجه نوشته اند که از دفاتری که در نظر است بنظر نمیرسد[2] که الکای کرجستان جمع مفصلی و مجملی داشته باشد که حقیقت محالمزبوره عرض شود بسیورغال الزبار بیک مقرر شده بود و درینولا بعرض رسید که الزبار بیک مزبور متوفی شده بنابر شفقت بیغایت شاهانه در باره رفعت پناهان زال بیک و کیخسرو بیک ولدان سهراب بیک نوادههای الزبار بیک از تاریخ یانزده ماهه اود ئیل محال مزبورهرا بسیورغال ایشان شفقت و مرحمت فرموده ارزانی داشتیم عالیجاه والی کرجستان کارتیل مالوجهات قرایای مزبورهرا بایشان کذاشته امداد و اعانتی که لازم باشد بتقدیم رساند درینباب قدغن دانسته هر ساله حکم مجدّد نطلبند و چون پروانچه بمهر مهر آثار اشرف اقدس امجد اعلی رسد اعتماد نمایند تحریرا فی شهر محرم سنه ۱۰۹۷

(შემდეგ გვერდზე)

حسب الامرالاعلی ازقرار نوشته وزارت و شوکت و اقبال پناه حشمت و عظمت و اجلال دستکاه عالیجاه اعتضاد[3] للسلطنه السلطانیه البهیه آصفجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه برطبق[4] نوشته عالیجاه بیکلربیکی قراباغ[5] ثبت .....

ملاحظه شد

مطابق بالاصل نوشتم من میرزا محمد اغالروف

---

[1] წერია: بقدر

[2] წერია: نمیرسند

[3] წერია: اعتماد

[4] წერია: صبق

[5] წერია: قندهار

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულეიმან-შაჰის ბეჭდის
ადგილი.

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ 1077 წ. თარიღით [გამოცემული] უკეთილშობილესი ბრძანებულების თანახმად, სამოთხეში დამკვიდრებული ხაყანის საჰებყერანის[1] სიგელის შესატყვისად, ქვემოთ მოხსენებული ადგილები:

სოფელი კუმისი, სოფელი მონაᲑტერი, სოფელი ღოუბანი,
სოფელი ვალასი (?), სოფელი ასურეთი[2], სოფელი ჯაბალა

სოიურღალად იყო დადგენილი ელიზბარ-ბეგისათვის[3] თანხის აღუნაშვნელად, რადგან ავარეჯეს სარქრიდან მოიწერეს, რომ წარმოდგენილი დავთრებიდან არ ირკვევა, რომ გადასახადების აკრეფის ვრცელი და მოკლე ნუსხა უნდა ჰქონდეს საქართველოს ოლქს, რათა აღნიშნული ადგილების სინამდვილე იქნეს მოხსენებული.

ამჟამად მოგვახსენეს, რომ აღნიშნული ელიზბარ-ბეგი გარდაიცვალა. ელიზბარ-ბეგის შვილიშვილების და ზურაბ-ბეგის შვილების — აღმატებულების საფარველების ზაალ-ბეგისა და ქაიხოსრო-ბეგისადმი უსაზღვრო ხელმწიფური მოწყალების [მიპყრობის] გამო, ჩვენ ვუწყალობეთ და ვუბოძეთ მათ ხსენებული ადგილები ხარის წლის თერთმეტთვეობის დასაწყისიდან სოიურღალად. ქართლის მაღალადგილოვანმა ვალიმ ხსენებული სოფლების მალუჯათი მათ დაუტოვოს და დახმარება და შემწეობა, რაც საჭირო იქნება, აღმოუჩინოს. ამის შესახებ ბრძანება იცოდნენ, ყოველ წელს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ და როცა ფარვანა უკეთილშობილესი, უწმინდესი, უსახელოვანესი, უმაღლესი მზისებრი ბეჭდით აღიჭურვება, ერწმუნონ. დაიწერა მოჰარემ ალ-ჰარამის თვეს, 1097 წ.

(შემდეგ გვერდზე)

თანახმად უზენაესი ბრძანებისა. ვაზირობისა, სიდიადისა და ბედნიერების საფარველის; დიდებისა, ბრწყინვალებისა და პატივის ძალის; მაღალადგილოვანის, სახელმწიფოს საყრდენის, ასეფისებრი [პატივისმქონე ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობის თანახმად, მაღალადგილოვანი ყარაბაღის ბეგლარბეგის მოწერილობის შესატყვისად, ჩაიწერა ... განხილულ იქნა...

დედნის შესატყვისად დავწერე მე, მირზა მოჰამედ აღალაროვმა (აღნიშნულია აგრეთვე 8 ბეჭდის ადგილი).

ცსსა, ფონ. 1450 წ. 57, საბ. 60. პირი, გადაწერილი უზენაესი მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს.

---

[1] შაჰ-აბას II

[2] წერია اصوا ასურეს.

[3] იხ. შაჰ-აბას II ფირმანის პირი 1071 წ. მოჰარემის თვისა — „სპარსული ისტორიული საბუთები“ წ. I, ნაკვ. 1, საბ. № 32

ეროვნული ბიბლიოთეკა

13

1687 წ. მაისის 13 — ივნისის 11. შაჰ-სულეიმანის ფირმანი ელიზბარ-ბეგ ქართველის შვილიშვილის, აღმატებულების საფარველის ქაიხოსრო-ბეგის შაჰის ღულამების რიგებში მიღების და მისთვის 50 თავრიზული თუმნის ჯამაგირად დანიშვნის შესახებ.

بنابر توجه خاطر اشرف در بارهٔ رفعت پناه کیخسرو بیک نواده الزبار بیک کرجی از ابتداء یازده ماهه توشقان ئیل ۱۰۹۸ مشار الیه‌را در سلک غلامان سرکار خاصه شریفه منتظم و مبلغ پنجاه تومان تبریزی[1] مواجب در وجه مشار الیه شفقت و مرحمت فرموده ارزانی داشتیم مستوفیان عظام کرام دیوان اعلی رقم این عطیه‌را در دفاتر خلود ثبت نموده سال بسال بدستور امثال و اقران تنخواه دهند و در عهده شناسند تحریرا فی شهر رجب المرجب [سنه] ۱۰۹۸

ელიზბარ-ბეგ ქართველის შვილიშვილის, აღმატებულების საფარველის ქაიხოსრო-ბეგისადმი უკეთილშობილესი [ხელმწიფური] ყურადღების მიპყრობის გამო, ჩვენ ჩავრიცხეთ ის კურდღლის წლის თერთმეტთვეობის დასაწყისიდან ხელმწიფის საკუთარი სარჩოის (სერჭარე ხასეჲე შერიფე) ღულამების რიგებში და ჯამაგირად ვუწყალობეთ და ვუბოძეთ 50 თავრიზული თუმანი.

უმაღლესი დივანის დიდებულმა და კეთილშობილმა მუსტოფებმა ამ ბოძებულების სიგელი სამარადისო დავთრებში შეიტანონ და წლითი-წლამდე აძლიონ „თანხაჰ“ (ჯამაგირი) იმ წესით, [რა წესითაც] ღებულობენ [ქაიხოსრო-ბეგის] მსგავსნი და თანასწორნი, და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1098 წ. რაჯაბ ალ-მორაჯაბის თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pđ, საბ. 37. დედანი, ზომა: $55 \times 24_5$ სმ. დაწერილია შექასთენარევი ლამაზი ნასთალიყით თეთრ აღმოსავლურ ქაღალდზე. ტექსტის თავზე დასმულია მცირე ოთხკუთხი ბეჭედი წარწერით: ۱۰۷۷ است سلیمان ولایت شاه هند „სიწმინდის მეფის მონა სულეიმანია. 1077[2]“. საბუთის მეორე მხარეზე წარწერილია: هو حسب الامر الاعلی از قرار نوشته وزارت و شوکت و اقبال پناه حشمت و عظمت و اجلال دستگاه عالیجاه اعتضاد السلطنه السلطانیه البهیه آصفجاهی اعتماد

[1] ეს თანხა განმეორებულია სიაყით სტრიქონს ზემოთ.

[2] ბეჭდის თარიღია, უდრის 1666/1667 წ.

الدولة العليه العاليه الخاقانيه برطبق نوشته معتمد الخاقان ریش‌سفید حرم علیه عالیه بیضه „ის (ღმერთი). უმაღლესი ბრძანების თანახმად. ვაზირობის, მლე-ვამოსილების და იღბლის საფარველის; დიდების, დიდებულების და პატივის ძალის; მაღალადგილოვანის, სახელმწიფოს საყრდენის ე'თე-მად-უდ-დოვლეს მოწერილობის თანახმად, ჰარამხანის რიშსეფიდის, მო'თამად ალ-ხაყანის წიგნის შესატყვისად. თეთრი“.

ამ მინაწერის ქვეშ დასმულია ე'თემად-უდ-დოვლეს ოვალური ბეჭედი, ხოლო უფრო ქვემოთ შემდეგი 5 სარეგისტრაციო ბეჭედი ზის (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. ოთხკუთხი, წარწერით, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს ... الله علی متوکل ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفترخالص شد „ჩაიწერა ხალესის დავთარში“. 2. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: یا صاحب الزمان „ო, ჟამთა მფლობელო!“ ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر... شد „ჩაიწერა ... დავთარში“. 3. ოთხ-კუთხი, რომლის წარწერაში ვარჩევთ: ۱۰۹۸ عبده امامقلی „...მონა მისი იმამყული. 1098“. 4. ოვალური, წარწერით: ... محمد عبده معز ۱۰۸۸ 5. ოვალური, წარწერით: ۱۰۸۸ باقر محمد آل بنده „მოჰამედის ოჯახის მონა ბაყერი 1088“ ბეჭედს ქვეშ რთული წარწერა აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14

1688 წ. ივლისის 30 — აგვისტოს 27. შაჰ-სულეიმანის ფირმანი მურთაზა ყული-ბეგის ყორჩების რიგებში მიღების და მისთვის ჯამაგირად ხუთი თავრიზული თუმნის დანიშვნის შესახებ.

هو

از ابتداء بارس ئیل مرتضی قلی بیک ولد کلبعلی بیک ارادت را که از جمله جمعی است که در سفر خیر اثر نزد عالیجاه بیکلربیکی و سردار لشکر ظفر اثر آذربایجان حاضر شده و عالیجاه مزبور ملاحظه لیاقت و کمانداری او نموده در نسخه که بدرگاه معلی فرستاده اسم مشارالیه بقید اوسط داخل است در سلک قورچیان عظام تابین رفعت پناه ساروخان بیک یوزباشی قراکوزلو منتظم گردانیده مبلغ پنج تومان تبریزی[1] مواجب در وجه مشارالیه شفقت و مرحمت فرموده ارزانی داشتیم مستوفیان عظام کرام دیوان اعلی رقم اینعطیهرا در دفاتر خلود ثبت نموده سال بسال بدستور مقرر تنخواه دهند مقرر آنکه در اسفار سواره مکمل یراق حاضر شود و در عهده دانند تحریرا فی شهر شوال المکرم سنه ۱۰۹۹

ის (ღმერთი)

მურთაზა ყული-ბეგი, შვილი ქალბალი-ბეგ ერადეთისა, რომელიც იყო იმათ რიცხვში, ვინც მაღალადგილოვან ბეგლარბეგს და აზერბაიჯანის ძლევამოსილი ლაშქრის სარდალს ახლდა ბედნიერ ლაშქრობაში, და რომლის უნარიანობა და მშვილდოსნობა იხილა ხსენებულმა მაღალადგილოვანმა, შეტანილ იქნა სასახლეში გაგზავნილ ნუსხაში „საშუალოს“ ნიშნით, ჩაირიცხა დიდებული ყორჩების რიგებში აღმატებულების საფარველის ყარაგუზლუს უზბაშის სარუხან-ბეგის ხელქვეითად და ჯამაგირად ვუწყალობეთ და ვუბოძეთ ჯიქის წლის დასაწყისიდან ხუთი თავრიზული თუმანი. მაღალი დივანის დიდებულმა, კეთილშობილმა მუსტოფებმა ამ ბოძებულების სიგელი ჩასწერონ სამარადისო დავთრებში და ყოველ წელიწადს მისცენ [ეს] „თანხაჰ“ განსაზღვრული წესით. დადგენილია, რომ ლაშქრობებში [მურთაზა ყული-ბეგი] ცხენით და იარაღით [სრულად] აღჭურვილი უნდა გამოცხადდეს. თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1099 წ. შავალის თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pđ, საბ. 443. დედანი, ზომა: $36_8 \times 19$ სმ. დაწერილია შექასთენარევი წვრილი, მოხდენილი ნასთა-

[1] ეს თანხა განმეორებულია სიაყით სტრიქონს ზემოთ.

ლიკით თხელ თეთრ ქაღალდზე. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის მრგვალი ბეჭედი წარწერით: بنده شاه سلیمان دین است „სარწმუნოების მეფის მონა არის სულეიმანი“. ამის გარშემო აშიაზე წერია; مهر مسوده دیوان اعلی „უმაღლესი დივანის მიწერილობის ბეჭედი“. საბუთს შემოვლებული აქვს ოქროს ვარაყის და ფერადი ხაზების ჩარჩო. შაჰის ბეჭედი ოქროს ვარაყის ვარდულშია ჩასმული. საბუთის ქაღალდს ყვითელი ქაღალდის ზოლები აქვს შემოვლებული.

საბუთის მეორე მხარეზე მიწერილია: هو حسب الامر الاعلی از قرار نوشته وزارت و شوکت و اقبال پناه حشمت و عظمت و اجلال دستگاه عالیجاه اعتضاد السلطنه البهیه السلطانیه آصفجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه بر طبق نوشته عالیجاه مجلس‌نویس خاصه شریفه بیضه ის (ღმერთი). თანახმად უმაღლესი ბრძანებისა. ვაზირობისა, ძლიერებისა და ბედნიერების საფარველის; დიდებისა, დიდებულებისა და პატივის ძალის; მაღალადგილოვანის, სახელმწიფოს საყრდენის... ასეფის პატივით მოსილი ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობის მიხედვით, მისი უდიდებულესობის მაღალადგილოვანი მეჯლისნავისის მოწერილობის თანახმად. თეთრი“. ამავე გვერდის მეორე თავში არის ორი მინაწერი (მარჯვნიდან მარცხნივ); 1. قورچیان „ყორჩები...“ 2. در دفاتر خلود ثبت نمایند „სამარადისო დავთრებში ჩასწერონ“. საბუთს მეორე გვერდზე, ე'თემად-უდ-დოვლეს ბეჭდის გარდა, დასმული აქვს კიდევ შემდეგი სარეგისტრაციო ბეჭდები: 1. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: بنده شاه صفی ساروخان ۱۰۷۸ „შაჰ-სეფის მონა სარუხანი. 1078“. ქვეშ მიწერილი აქვს რთული მონოგრამა. 2. ოთხკუთხი, წარწერით متوکل علی الله ...۱۰۸۹ „ვსასოებ ღმერთსა... 1089“. ქვეშ მიწერილია: ثبت دفترخالص شد „ჩაიწერა ხალესის დავთარში“. ამის გვერდით წერია: ثبت دفتر سرخط شد „ჩაიწერა სარხათის დავთარში“, ხოლო ბეჭედი დასმული აქ არ არის. უკანასკნელი ბეჭედი ელიფსურია, წარწერით بنده آل محمد باقر „მოჰამედის ოჯახის მონა ბაყერი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15

1691 წ. აგვისტოს 26—სექტემბრის 23. შაჰ-სულეიმანის ფირმანი შაალ-ბეგ ციციშვილისათვის ნაწყალობევი ხუთი კომლი აზნაურისა და ორმოცდაათი კომლი გლეხის დამტკიცების შესახებ

هو

[فرمان همایون شد] آنکه چون از سرکار اوارجه آذربایجان تصدیق نمودند که برطبق عرض زازه[1] بیک ولد بابونه بیک پروانچه مطاعه بتاریخ شهر ربیع الاول سنه ۱۰۷۸ صادر شده مضمون آنکه چون زازه[1] بیک ولد بابونه بیک حکم شریف نواب خاقان خلد آشیان صاحبقرانی که بتاریخ شهر ربیع الاول سنه ۱۰۶۹ صادر شد ابراز نمود مضمون آنکه چون بابونه بیک ولد کیخسرو سیسی اغلی سواد حکم که بتاریخ شهر ربیع الاول سنه ۱۰۶۲ عز صدور یافته ظاهر ساخت بقید آنکه بموجب پروانجات[2] کیتی ستان فردوس مکانی موازی پنج خانوار ازناور و پنجاه خانوار رعیت از جمله ازناوران و رعایای الکاء کارتیل که قبل از این بپارسدان سیسی اغلی تعلق داشته بکیخسرو[3] بیک سیسی اغلی شفقت شد ازناوران و رعایا الکاء مزبور خودرا بمشارالیه متعلق دانسته از سخن و صلاح حسابی او بیرون نروند و رعایت و مراقبت اورا لازم دانند وحکام ذوالاحترام ولایت کرجستان حسب المسطور مقرر دانسته بخلاف حکم و حساب دخل در جماعت مزبور ننمایند و استدعای حکم امضا نمود و مقرر شد که رستم خان والی کرجستان حکم نواب کیتی ستان فردوس مکانی‌را من اوله الی آخره ممضی و منفذ داند بنابرین مقرر فرمودیم که شاهنواز خان والی کرجستان کارتیل حسب المسطور مقرر دانسته حکم مزبوررا من اوله الی آخره ممضی و منفذ داند و از آنقرار عمل نمایند و در این باب استدعای حکم اشرف نمود بنابرین[4] مقرر فرمودیم که مشار الیه حکم اشرف مزبور[ر]ا بامضای نواب کامیاب همایون ممضی و منفذ دانسته از آنقرار عملنمایند و در اینوقت رفعت پناه زال بیک ولد بابونه بیک سیسی اغلی بدرگاه معلی آمده استدعاء امضای نواب کامیاب همایون باسم خود نمود بنابر شفقت درباره مشارالیه مقرر

---

[1] წერია: رازه

[2] წერია: پرانجات

[3] წერია: کیخسرو

[4] წერია: بنای

ეროვნული ბიბლიოთეკა

فرمودیم که ازناوران و رعایا آنجا از سخن و صلاح حسابی او بیرون نروند و سلطنت و ایالت و شوکت پناه حشمت و عظمت و جلالت دستگاه نصفت و ایالت پناه عالیجاه خلف السلاطین عظام معز السلطنه و الایاله و الشوکت و الاقبال نظر علی خان والی کرجستان کارتیل مضمون پروانچه[1] نواب کیتی ستان فردوس مکانی را که بامضاء نواب خاقان خلد آشیان و نواب کامیاب همایون رسیده من اوله الی آخره در باره مشارالیه ممضی و منفذ دانسته بخلاف حکم و حساب دخل در جماعت مزبوره ننماید و چون پروانچه بمهر اشرف رسد اعتبار و اعتماد نمایند تحریرا فی [شهر] ذی حجه سنه ۱۱۰۲

ის (ღმერთი)

[გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი] მასზე, რომ აზერბაიჯანის ავარეჯეს სარჭრიდან დააადასტურეს, რომ პაპუნა-ბეგის შვილის ზაზა-ბეგის მოხსენების თანახმად, 1078 წ. რაბი' I თვის თარიღით გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ყველა და რომელიც შემდეგი შინაარსისა არის:

„პაპუნა-ბეგის შვილმა ზაზა-ბეგმა წარმოადგინა მისი უდიდებულესობის, სამოთხეში დამკვიდრებული საჰებ-ყერანის უკეთილშობილესი ბრძანებულება, რომელიც 1069 წ. რაბი' I თარიღით იყო გამოცემული[2], ასეთი შინაარსისა: „პაპუნა-ბეგმა, ქაიხოსრო ციციშვილის შვილმა, წარმოადგინა იმ ბრძანებულების პირი, რომელიც 1062 წ. რაბი' I თვის თარიღით იყო გამოცემული და რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქვეყნის დამპყრობელი, სამოთხეში განსვენებული [შაჰის] ბრძანებულებების საფუძველზე ხუთი კომლი აზნაური და ორმოცდაათი კომლი გლეხი ქართლის აზნაურებიდან და გლეხებიდან (რაიადან), რომლებიც ადრე ფარსადან ციციშვილს ეკუთვნოდნენ, ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილს ეწყალობა. აღნიშნული ოლქის აზნაურებმა და გლეხებმა უნდა იცნონ, რომ ეკუთვნიან ხსენებულ [ქაიხოსრო-ბეგს], მის სამართლიან სიტყვას და რჩევას არ უნდა გადაუხვიონ და საჭიროდ უნდა აღიარონ მისი პატივისცემა და ყურადღება. საქართველოს ველაიეთის პატივცემული მმართველები, დაწერილის თანახმად დადგენილად იცნობენ რა ამას, ხსენებულ პირთ ნუ შეუვლენ ბრძანებისა და კანონის წინააღმდეგ.

[პაპუნა-ბეგმა] ითხოვა აღნიშნული ბრძანებულების დამტკიცება. დადგენილ იქნა, რომ საქართველოს ვალიმ როსტომ-ხანმა სამოთხეში განსვენებული, ქვეყნის დამპყრობელი [შაჰის] ბრძანებულება თავიდან ბოლომდე ხელმოწერილად და დამტკიცებულად იცნოსო. ამის საფუძველზე ჩვენ დავადგინეთ, რომ ქართლის ვალიმ შაჰნავაზ-ხანმა, თანახმად დაწერილისა, დადგენილად იცნოს [ეს] და ხსენებული ბრძანებულება თავიდან ბოლომდე ხელმოწერილად და დამტკიცებულად იცნოს და ამის თანახმად იმოქმედოსო. მან ამის შესახებ ითხოვა უკეთილშობილესი ბრძანებულების [გამოცემა]. ამის საფუძველზე ჩვენ დავადგინეთ, რომ ხსენებულმა აღნიშნული უკეთილშობილესი ბრძანებულება მისი უავგუსტოესობის, ბედნიერი ხელმწიფის მიერ ხელმოწერილად და დამტკიცებულად იცნოს და ამის მიხედვით მოიქცნენ“.

[1] წერია: برانچه

[2] იხ. შაჰ-აბას II ფირმანი პაპუნა-ბეგ ციციშვილისათვის მამამისის თიულის დამტკიცების შესახებ.—სპარსული ისტორიული საბუთები საქ. წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 1, გვ. 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად აღმატებულების საფარველმა ზაალ-ბეგმა, პაპუნა-ბეგ[ის] [ძე]ლის შვილმა, მოვიდა რა უმაღლეს სასახლეში, ითხოვა, რომ მისმა უავგუსტოესობამ, ბედნიერმა ხელმწიფემ მის სახელზე დაამტკიცოს [ეს წყალობის წიგნი].

ხსენებული [ზაალ-ბეგის] შეწყალების გამო დავადგინეთ, რომ იქაური აზნაურები და გლეხები არ გადავიდნენ მის სამართლიან სიტყვას და რჩევას და ხელმწიფობის, მმართველობის და დიდების საფარველმა; ბრწყინვალების, დიდებულების და ძლიერების ძალამ; მაღალადგილოვანმა, დიდებული ხელმწიფეების შთამომავალმა, სახელმწიფოს განმამტკიცებელმა, დიდებულმა და ბედნიერმა ნაზარალი-ხანმა, ქართლის საქართველოს ვალიმ, შინაარსი ქვეყნის დამპყრობელის, სამოთხეში დამკვიდრებული [შაჰის] ბრძანებულებისა, რომელიც სამოთხეში განსვენებული ხაყანის და უავგუსტოესი, ბედნიერი ხელმწიფის მიერ იქნა ხელმოწერილი, თავიდან ბოლომდე ხსენებულისათვის დამტკიცებულად (ხელმოწერილად) და დამოწმებულად იცნოს და ბრძანებულებისა და სამართლიანობის წინააღმდეგ აღნიშნულ პირებს ნუ შეუვლენ და როცა ბრძანებულებაზე უკეთილშობილესი ბეჭედი დაისმება, ერწმუნონ და ენდონ მას. დაიწერა ზულ ჰიჯჯას თვეს, 1102 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 233. პირი, ზომა: $28_4 \times 14_7$ სმ. გადაწერილია შექასთენარევი წვრილი ნასთალიკით თეთრ (გაყვითლებულ) ქაღალდზე. მეორე მხარეზე მიწერილია: حسب الامر الاعلی از قرار نوشته شرافت و وزارت و اقبال پناه حشمت و عضمت و اجلال دستگاه عالیجاه وحید الز[ما]نی اعتضاد السلطنه البهیه السلطانیه اعتماد الدوله العلیه لعالیه الخاقانیه..... بیضه „უმაღლესი ბრძანების თანახმად კეთილშობილების, ვაზირობის და ბედნიერების საფარველის; დიდებისა, დიდებულების და პატივის ძალის; მაღალადგილოვანის, ჟამთა [შინა] ერთადერთის, სახელმწიფოს საყრდენის..... ე'თემად-უდდოვლეს... მოწერილობის თანახმად. თეთრი". აქვე აღნიშნულია: صحه شد ملاحظه „განხილულ იქნა". „ხელის მოწერა" (?). ქვემოთ მიწერილია: შა[ჰ] სულე[ი]მ[ა]ნისა ჯ[ი]ნსი რაყამისა სავლია (?)".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16

1693 წ. ნოემბრის 30 — დეკემბრის 28. შაჰ-სულეიმანის ფირმანი თბილისის ციხის მცველთა ერთი ჯგუფისათვის კუთვნილი ჯამაგირის გაცემის შესახებ.

هو
الملک لله

فرمان همایون شد آنکه جماعت مذکوره ضمن مبلغ هشت تومان و هشت هزار و چهار صد و پنجاه دینار[1] ازبابت وجوهات بشرحی که در تحت اسم هریک نوشته شده در وجه مواجب سنوات مذکوره ذیل

۱۸ تومان — ۱۷ تومان ۶۸۵۰ دینار
قوی ئیل — پیچی ئیل
۲ تومان ۱۰۵۰ دینار... — و تخاقوی ئیل بدستور

۵ تومان ۸۹۵۰ دینار — ۱۱ تومان ۷۹۰۰ دینار

نقی‌ولد یوسف تایین رفعت پناه ساروخان بیک یوزباشی بلوک رفعت و معالی پناه عبد الرزاق بیک توپچی باشی جلو که از سرکار توبخانه نوشته اند که از جمله مستحفظین قلعه مبارکه تفلیس است و از قرار طومار عرض یونت ئیل حاضر بوده و بعد از آن طومار عرض بدفتر نرسیده و از قرار وکالت‌نامچه که یوزباشی مزبور تصدیق اعتبار وکیل کرده و رفعت و معالی پناه میرزا افتخار مین‌باشی و عالیجاه والی تصدیق حضور نموده اند در باب اخذ مواجب سنوات مذکوره محمد معصوم ولد صفی‌خان تفنکچی بلوک خلیل بیک مینباشی را وکیل نموده و بتجویز عالیجاه توپچی باشی رسیده و طلب جهت موقوفی ندارد حسب الظهر مقرر دانسته رسانندو از قرار قبض بخرج مجری دانند و در عهده شناسند تحریرا فی شهر ربیع الثانی سنه ۱۱۰۵

ის (ღმერთი).
მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი იმის შესახებ, რომ თანხა რვა თუმნისა და რვაათას ოთხას ორმოცდაათი დინარისა გადასახადების (ვოჯუჭა-

[1] ეს თანხა განმეორებულია სიაყით სტრიქონს ზემოთ.

თის) ანგარიშში [წარმოადგენს] ამასთან მოხსენებულ პირთა ჯგუფის [ჯამათის) ჯამაგირს, როგორც თვითეულის სახელის ქვეშ წერია, ქვემოთ მოხსენებული წლებისათვის:

18 თუმანი	
ცხვრის წელიწადი	17 თუმანი 6850 დინარი
2 თუმანი 1050 დინარი...	მაიმუნის წელიწადი
	და ქათმის წელიწადი წესისამებრ
5 თუმანი 8950 დინარი	11 თუმანი 7900 დინარი

ნაყი, აღმატებულების საფარველის ბოლუქის უზბაშის სარუხან-ბეგის ხელქვეითის იუსუფის შვილი [და] ჯილავის თოფჩიბაში აღმატებულებისა და სიდიადის საფარველი აბდალ-რეზაყ-ბეგი, [რომელთა შესახებ] თოფხანის სარჭრიდან მოიწერეს, რომ თბილისის კურთხეული ციხის მცველთა [რიგებს] ეკუთვნიან და ჯარის დათვალიერების ცხენის წლის თუმარის (ნუსხის) თანახმად ადგილზე იყვნენ. იმის შემდეგ [კი] ჯარის დათვალიერების თუმარი დავთარში არ შემოსულა.

თანახმად რწმუნებულების წიგნისა, რომლითაც ხსენებული უზბაში ადასტურებს რწმუნებულის სანდოობას და აღმატებულებისა და სიდიადის საფარველი მირზა ეფთეხარ მინბაში და მაღალადგილოვანი ვალიც ამოწმებენ მათს [სამსახურში] ყოფნას, ხსენებული წლების ჯამაგირის აღებაზე რწმუნებულება მოჰამედ მა'სუმმა ბოლუქის თოფანგჩის სეფი-ხანის შვილს ხალილ-ბეგ მინბაშის მისცა. მაღალადგილოვანმა თოფჩიბაშმა თანხმობა განაცხადა. მოთხოვნილი [ჯამაგირის გაცემის] დაბრკოლება-შეჩერებისათვის მიზეზი არ არსებობს. თანახმად [საბუთის] „ზურგზე“ აღნიშნულისა, დადგენილად იცნონ [ეს და] გადასცენ [კუთვნილი ჯამაგირი], ხელწერილის საფუძველზე ხარჯებში გატარებულად იცნონ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1105 წ. რაბი' II თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 10. დედანი, ზომა: 37$_5$×16 სმ. დაწერილია თეთრ (გაყვითლებულ) ქაღალდზე შექასთენარევი ნასთალიყით. ინვოკაციო ოქროს ვარაყით, ხოლო შესავალი ფორმულა სინგურით არის დაწერილი. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის დიდი მრგვალი ბეჭედი წარწერით: ۱۰۸۸ بنده شاه دین سلیمان است „სარწმუნოების ხელმწიფის მონაა სულეიმანი. 1078“. ამის გარშემო 12 იმამის სახელია მოტანილი. საბუთის უკანა მხარეზე მეტად ხვეული ხელით წარწერილია: از قرار نوشته شرافت و وزارت و اقبال پناه حشمت و رفعت و عظمت و جلالت دستگاه عالیجاه اعتضاد السلطنه السلطانیه البهیه آصفجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه...

ამის ქვეშ ზის ე'თემად-უდ-დოვლეს მცირე ოვალური ბეჭედი, ხოლო ქვემოთ დასმულია შემდეგი სარეგისტრაციო ბეჭდები (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. მცირე, ოთკუთხი, რომლის წარწერაში იკითხება სახელი سلیم „სელიმი“. ქვეშ მიწერილი აქვს: نوشته شد „დაიწერა“. 2. ოთხკუთხი, წარწერით: و من یتوکل علی الله فهو حسبه عبده امامقلی ۱۰۹۸ „და ვინც მიენდობა ალლაჰს, მეოხებას ჰპოვებს მისგან. მონა მისი იმამყული. 1098“. 3. მცირე, ოთხკუთხი, გაურკვეველი წარწერით. ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر سرکار توپخانه مبارکه شد „ჩაიწერა კურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხეული თოფხანას სარქრის დავთარში“. 4. ოვალური, წარწერით: بقلم آمد محمد آل بنده „მოჰამედის ოჯახის მონა ბაყერი“. ქვეშ მიწერილი აქვს: آمد بقلم „დაიწერა“. ამის ზემოთ ზის კიდევ ერთი ოთხკუთხი ბეჭედი მეტად რთული წარწერით და აგრეთვე რთული მინაწერით.

საბუთს ამავე მხარეზე აქვს შემდეგი მინაწერები:

۱۷ تومان ٦٨٥٠ دینار

. . . . . .

۸ تومان ٦۴٥٠ دینار

رعایـــــــــــــــــــــــــــــــا

محال مزبوره کوکچه دنکیز که بتیول

و انعام و همه ساله زازا بیک ولد بابونه

بیک سیسی اغلی غلام مقرر بوده و متوفی

شده و از هشتماهه قوی ئیل بتیول و

همه ساله زال بیک کرجی مقرر شده عن

رسد سنوات لغایت چهار ماهه قوی ئیل

۸ تومان ٦۴۰۴ دینار

۸ تومان...

مستاجـــــــر

. . . . . .

قریـــــــــــــــه قریـــــــــــــــه

حسن کندی کرموج

. . . ۷ تومان ۸۴٥٠ دینار ... مبلغ ده دینار تبریزی است

„17 თუმანი 6850 დინარი.

. . . . . .

8 თუმანი 6450 დინარი

გლეხები (რაია)

გოგჩა-დენგიზის ხსენებული ადგილებისა, რომლებიც თიულად, ინამად და ჰამასალად ჰყავდნენ დამტკიცებული ღულამ პაპუნა-ბეგ ციციშვილის შვილს ზაზა-ბეგს. [ის] გარდაიცვალა და ცხვრის წლის რვათვეობიდან თიულად და აჰმასალად დაუმტკიცდა ზაალ-ბეგ ქართველს ამ წლების წილის მიხედვით, ცხვრის წლის ოთხთვეობის დასასრულამდე. 8 თუმანი 6404 დინარი

სოფელი ჰასანქენდი სოფელი ქარმუჯი

... 7 თუმანი 8450 დინარი

იჯარადარი

...თანხა ათი თავრიზული დინარისა არის.

ერთს კუთხეში შემდეგი წარწერაა: „ქ... ბერლოსა: სამი: თუმანია: მიბარებია: კრამუნელებს (?): თუმანსა: ოცდაათი: შაურნაკლებ: მასუმს: აუღია“.

საბუთი გამოცემულია მ. ხუბუას წიგნში: „საქ. მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები“ გვ. გვ. 30 და 104—106.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17

1695 წ. თებერვლის 15 — მარტის 16. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი განსვენებული მოჰამედ-ბეგ საადლუს შვილის ყურჩან-ბეგის აღების რიგებში ჩარიცხვის და მისთვის თავრიზული 11 თუმნისა და 6051 დინარის თიულად მიცემის შესახებ.

هو

بنابر شفقت بیغایت شاهانه در بارهٔ رفعت و معالی پناه نظاما للرفعة المعالی قربان بیک ولد مرحوم محمد بیک سعدلو از تاریخ شهر رمضان المبارک سنه ۱۱۰۵ مشارالیه‌را در عوض والد در سلک آقایان عظام منتظم و مبلغ یازده تومان و ششهزار و پنجاه و یک دینار تبریزی تیولی که در وجه والد او مقرر بوده بدستور در وجه مشارالیه شفقت و مکرمت فرمودیم که در اسفار سانحه موازی دو نفر مرد سپاهی سواره مکمل یراق حاضر سازد مستوفیان عظام کرام دیوان اعلی رقم اینعطیه‌را در دفاتر خلود ثبت نموده درباب تیول پروانچه مطاعه بقیود لازمه مسوده نمایند و در عهده شناسند تحریرا فی شهر رجب المرجب سنه ۱۱۰۶

ის (ღმერთი)

განსვენებული მოჰამედ-ბეგ საადლუს შვილის, სიდიადისა და აღმატებულების საფარველის ყურბან-ბეგის მიმართ ხელმწიფური უსაზღვრო წყალობის [მიპყრობის] გამო, ჩვენ ჩავრიცხეთ ის დიდებული აღების რიგებში მამამისის ნაცვლად და ვუწყალობეთ და ვუბოძეთ წესის მიხედვით თიულად 1105 წ. რამაზანის კურთხეული თვიდან 11 თუმანი და 6051 დინარი თავრიზული კურსით, რაც მამამისისთვის იყო დამტკიცებული, რათა ლაშქრობის შემთხვევაში ორი კაცი მოლაშქრე ცხენით, სრულად შეიარაღებული, წარმოადგინოს. მაღალი დივანის დიდებულმა და კეთილშობილმა მუსტოფებმა ამ ბოძებულების სიგელი სამარადისო დავთრებში შეიტანონ, თიულის შესახებ დასწერონ საჭირო აღნიშვნებით ფარვანა, რომელსაც ემორჩილება ყველა, და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1106 წ. რაჯაბ ალ-მორაჯაბის თვეს.

ცსსა, ფონ. 1452, საბ. 82. დედანი, ზომა: 39×26₂ სმ. დაწერილია კარგი ნასთალიკით თხელ თეთრ ქაღალდზე. შაჰის მცირე ოთხკუთხი ბეჭედი წარწერით: سلطان حسین حق ولی مولی بر فرمان بنده „ჭეშმარიტების მეუფის მორჩილი მონა სულთან ჰუსეინი“ ჩასმულია ოქროს ვარაყის და შავი ფერის ფოთლებისაგან შედგენილ უხეშ ორნამენტში.

ტექსტს შემოვლებული აქვს ოქროს ვარაყის და წითელი და შავი ხაზებისაგან შემდგარი ჩარჩო. ასეთივე ჩარჩოებშია ჩასმული თითოეული სტრიქონი. საბუთის ქაღალდს შემოვლებული აქვს მოწითალო ფერის ქაღალდის ზოლები.

მეორე მხარეზე შემდეგი მინაწერები და ბეჭდებია მოთავსებული: هو حسب الامر نواب خاقان طوبی آشیان قدس مکانی از قرار نوشته شرافت و وزارت و اقبال پناه حشمت و عظمت و اجلال دستگاه عالیجاهی وحید الزمانی اعتضاد السلطنه البهیه السلطانیه آصفجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه بر طبق نوشته ایالت و شوکت پناه حشمت و جلالت دستگاه عالیجاه صوفی زاده قدیمی و دولتخواه صمیمی اشیک آقاسی باشی دیوان اعلی وحاکم ری بیضه „ის (ღმერთი). თანახმად უმშვენიერეს ადგილს დამკვიდრებული მისი უდიდებულესობის ბრძანებისა კეთილშობილების, ვაზირობის და ბედნიერების საფარველის; ბრწყინვალების, დიდებულების და პატივის ძალის; მაღალადგილოვანის, ჟამთა [განმავლობაში] ერთადერთის, სახელმწიფოს საყრდენის... ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობის თანახმად. მმართველობისა და დიდებულების საფარველის; ბრწყინვალებისა და დიდების ძალის, ძველი სუფიზადეს და გულწრფელი ერთგულის, მაღალი დივანის ეშიკაღასიბაშის, რეის მმართველის მოწერილობის შესატყვისად... თეთრი".

ამის ქვეშ დასმულია ე'თემად-უდ-დოვლეს მცირე მრგვალი ბეჭდი წარწერით: لا اله الا الله الملک الحق المبین محمد طاهر „არა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა, ნათელი ჭეშმარიტების უფლისა. მოჰამედ თაჰერი". საბუთს აქვს კიდევ შემდეგი სარეგისტრაციო ბეჭდები (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. მცირე ოვალური ბეჭედი გაურკვეველი წარწერით, ქვეშ აგრეთვე საკმაოდ გაურკვევლად მიწერილი აქვს: ثبت دفترسرخط شد „ჩაიწერა სარხათის დავთარში". 2. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: بنده شاه دین است ابوالحسن ۱۰۹۶ „სარწმუნოების ხელმწიფის მონაა აბულ-ჰასანი. 1096". ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر خالص شد „ჩაიწერა ხალესის დავთარში". 3. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით, რომელშიც იკითხება: سلیم ۱۰۸۵ „სელიმ... 1085". ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر... شد „ჩაიწერა ...დავთარში". 4. მცირე, ელიფსური, წარწერით: بنده آل محمد باقر „მოჰამედის ოჯახის მონა ბაყერი". ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر توجیه دیوان اعلی شد „ჩაიწერა უმაღლესი დივანის თოუჯიჰის დავთარში".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18

1695 წ. აპრილის 15 — მაისის 14. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი, რომლითაც ქართლის მეფეს ნაზარალიხანს ეუწყება, რომ ყარაბაღის ოლქში არ აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი, რომელიც შეიძლებოდა მიეცათ თიულად და ჰამასალად ასლან-ბეგ და ლუარსაბ-ბეგ ბარათაშვილებისათვის, რასაც ითხოვდა ნაზარალიხანი

هو

حکم جهانمطاع شد آنکه سلطنت و ایالت پناه حشمت و جلالت دستگاه شهامت و بسالت انتباه عالیجاه سلاله السلاطین العظام زینا للسلطنه و الایاله و الحشمه و الجلاله و الشوکه و الاقبال نظر علیخان والی کرجستان کارتیل بشفقت شاهانه سرافراز گشته بداند که عریضهٔ که درینوقت در باب استدعاء محل سقناق جهة رفعت پناهان اصلان بیک و لوارصاب بیک برات ایلی بدرگاه جهان پناه فرستاده بود بنظر کیمیا اثر رسیده در آن باب از دفتر حقیقت طلب شده قلمی نموده اند که در الکاء قراباغ محلی که بتیول و همساله ایشان مقرر شود باقی نیست بتوجهات پادشاهانه مستمال باشد تحریرا فی شهر رمضان المبارک سنه ١١٠٦

ის (ღმერთი)

გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ ხელმწიფობისა და მმართველობის საფარველი; ძლიერებისა და დიდებულების ძალა; ქველობისა და მამაცობის სიმხნევე; მაღალადგილოვანი, დიდებული ხელმწიფეების შთამომავალი; ხელმწიფობის, მმართველობის, დიდების, ძლიერებისა, დიდებულებისა და ბედნიერების მშვენება, ქართლის საქართველოს ვალი ნაზარალიხანი, მეფური წყალობით განდიდებული იქნეს და უწყოდეს, რომ არზა, რომელიც ამ ხანებში გამოგზავნილი იყო ქვეყნის საფარველ კარზე თხოვნით იმის შესახებ, რომ აღმატებულებისა და სიდიადის საფარველების—ასლან-ბეგ და ლუარსაბ-ბეგ ბარათაშვილებისათვის მიეცათ [თიულად] ადგილი სიღნაღი, [ეს არზა მიღებული და] განხილულია. ამ საკითხის შესახებ დავთრიდან გამოთხოვნილ იქნა [ცნობები] ნამდვილი მდგომარეობის შესახებ და იქიდან მოიწეროს, რომ ყარაბაღის ოლქში არ არის დარჩენილი [თავისუფალი] ადგილი, რომელიც შეიძლებოდა მისცემოდა მათ თიულად და ჰამასალად. ხელმწიფის ყურადღებაში დარწმუნებული იყვნენ. დაიწერა 1106 წლის კურთხეული რამაზანის თვეში.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd. საბ. 107. დედანი, ზომა 29×19₂ სმ. დაწერილია თხელ თეთრ ქაღალდზე წვრილი, ლამაზი ნასთალიკით. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის მცირე ოთხკუთხი ბეჭედი წარწერით: بنده فرمان بر سلطان حسین ولی حق „ჭეშმარიტების მეუფის მორჩილი მონა სულთან ჰუსეინი“ მეორე მხარეზე მიწერილია: هو بالمشافه العليه العاليه „თანახმად უმაღლესი ზეპირი ბრძანებისა“. ამის ქვეშ დასმულია ოვალური ბეჭედი წარწერით: لا الله الا الله الحق طاهر محمد عبده المبين „არა არს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ნათელი ჭეშმარიტების უფლისა. მონა მისი მოჰამედ თაჰერი“.

საბუთი გამოცემულია წიგნში: „მ. ხუბუა. საქართველოს მუზეუმის ფირმანები და ჰოქმები, გვ. 32, № 17.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

19

1695 წ. მაისის 15 — ივნისის 12. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი ჰათემ-ბეგის შვილის ჩელები-ბეგისათვის ჰამახალად 2 თუმნისა და 9340 დინარი ნაღდი ფულისა და 246 ბათმანი მარცვლეული პურის დადგენის შესახებ

هو

الملک لله

فرمان همایون شد آنکه چون درینوقت جلبی بیک ولد حاتم بیک غلام خاصه شریفه تابین رفعت و معالی پناه علیمردان بیک یوزباشی بعرض رسانید که قریه ملک شاهلو تومان نخجوان ملک مشارالیه است و محضری در باب مالکیت خود بمهر جمعی ابراز و استدعا نمود که مساوی نصف طلب نقدی مشارالیه از رسد ملک او و چوبان بیکی تومان نخجوان و آنچه جنس در قریه مذکوره باقیست از قرار اضافه ده نیم که بررسد قریه مذکوره جمع شود بهمه ساله او مقرر کردد بقید آنکه از همه ساله او که برطرف شود بعلت اضافه چیزی جمع و حواله ننمایند و از سرکار اوارجه آذربایجان و ضابطه تصدیق نمودند که حقیقت وجوهاتی که مشارالیه استدعا نموده برین موجب است

مالوجهات
قریه ملک شاهلو تومان نخچوان عن رسد همه سالهٔ رضا قلی غلام که متوفی شده

وجوه
چوپانبیکی تومان نخچوان عن رسد ایضاً

نقد
۵۴۴۴ دینار

مواشی
۱۵۸۴ دینار

مراعی
۳۸۶۰ دینار

مادهکاو . . .
۱۰۰ رأس . ۳۰ رأس
۸۲۴ ۷۲۰

مراعی . . . باغات
۶ رأس . . . انکور
۱۹۲۰ . . . . . .

طاحونه
حجر ایضاً

۱ تومان ۲۴۹۸ دینار

ეროვნული ბიბლიოთეკა

... بابت مزروعی ۲۳۴

کندم جـــــــــــو

۷ خروار ۳۰ خروار

و اصل و اضافه که مشار الیه قبول نموده بموجب ذیل میشود

نقـــــــــــد جنـــــــــــس

۲۳۶

۱ تومان ۹۳۴۰ دینار کندم جو

۲۰۴ ۳۱

اصـــــــــــل اضافـــــــــــه

نقـــــــــــد جنـــــــــــس ده‌نیم که بر قریه ملک شاهلو جمع میشود

۲۳۴

نقـــــــــــد جنـــــــــــس

اتومان ۷۹۴۲ کندم جو ۱۲ خروار

۲۰۴ ۳۰ کندم جو

مالوجهـــــات وجوه ۱۳۹۸ ۲ خروار ۳ خروار

ملک شاهلو چوپانبیکی

نقـــــد جنـــــس

۵۴۶۴ دینار ۲۳۴ اتومان ۲۴۹۸ دینار

کندم جو

۲۰۴ ۳۰

و از سرکار غلامان نوشته اند که مشارالیه بسفر خراسان مامور و از تاریخ ۴ ش محرم سنه ۱۱۰۶ لغایت ششماه بجهت تحصیلداری مرخص شده و عالیجاه قوللر آقاسی تجویز نموده بنابرین از تاریخ شهر ذی‌حجّه سنه ۱۱۰۵ ایت ئیل مبلغ دو تومان و نه هزار و سیصد و چهل دینار[1] نقد و مقدار دویست و چهل و شش من[2] غله از بابت مالوجهات قریه مذکوره و چوبان‌بیکی تومان نخجوان حسب الظهر بهمه ساله او مقرر فرمودیم رعایاء محل مزبور و مستاجر وجوه مذکوره مشارالیه‌را همه ساله‌دار خود دانسته وجه همه ساله اورا سال بسال از قرار تصدیق دفتر غلامان و توجیه و قبض مهمسازی نمایند مستوفیان عظام بعد از اتمام تحصیلداری و مراجعت او بسفر اگر بازیافتی داشته باشد از مواجب او ضبط نمایند و بعد از آنکه محل مزبور از همه‌ساله او برطرف شود بعلت اضافه چیزی جمع ننمایند و تتمه طلب مشار الیه‌را که من بعد استدعاء همه ساله نمایند هرگاه موافق دستور توان داد و مقرر...[3] جنس بهمه ساله او دهند و اگر خلاف ادعا و عدم مالکیت او ظاهر شود از دیوان و محل طلبی ننمایند که همه‌ساله و تنخواه داده نخواهد شد و درینباب قدغن دانسته هر ساله حکم مجدّد نطلبند و در عهده شناسند تحریرا فی شهر شوال سنه ۱۱۰۶

---

[1] თანხა განმეორებულია სტრიქონს ზემოთ სიაყით.

[2] ეს ოდენობაც განმეორებულია სტრიქონს ზემოთ სიაყის ნიშნებით.

[3] ერთი სიტყვა არ იკითხება ჭაღალდის გახევის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის (ღმერთი)
მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ ამჟამად ჰათემ-ბეგის შვილმა ჩელები-ბეგმა, [ჩვენმა] პირადმა ღულამმა (ღულამე ხასეჯე შერიფე) და სიმაღლისა და აღმატებულების საფარველის უზბაშ ალი მერდან-ბეგის ხელქვეითმა მოგვახსენა, რომ თუმანე-ნახჩევანის სოფელი მელიქ-შაჰლუ მისი მამული (მულქი) არის, და წარმოადგინა ერთი ჯგუფის მიერ ბეჭდების დასმით დამოწმებული გადაწყვეტილება (განაჩენი) მისი მფლობელობის უფლებების შესახებ. მან ითხოვა, რომ ნახევარი იმისა, რაც მას ერგება მისი მულქის წილიდან და თუმანე-ნახჩევანის ჩობანბეგის [ფულიდან] და რაც საქონლიდან (პროდუქტებიდან) არის ხსენებულ სოფელში დარჩენილი, ეზაფე ათიდან ნახევრის კვალობაზე, რაც ხსენებული სოფლის წილის ჯამ'ში შეიქნება, მას დაუმტკიცდეს ჰამასალად ისე, რომ მისი ჰამასალადან, რომელიც მოიხსნება, ეზაფესათვის არაფერს ჯამ'ში [არ შეიტანენ] და ჰავალეს არ გასცემენ.

აზერბაიჯანის ავარეჯეს და ზაბეთეს სარქრებიდან დაამოწმეს, რომ იმ თანხების მდგომარეობა, რომელსაც ითხოვს ხსენებული [ჩელები-ბეგი], ასეთია:

მ ა ლ უ ჯ ა თ ი

თუმანე-ნახჩევანის სოფელ მელიქ-შაჰლუსი, გარდაცვლილი რეზაყული ღულამის ჰამასალის წილიდან

ნ ა ღ დ ი ფ უ ლ ი
5444 დინარი

საქონელი (პირუტყვი)
1584 დინარი

ძროხა ...
100 სული 30 სული
864 720

საძოვრები და სხვ.
3860 დინარი

საძოვრები ...ვენა-
6 სული ...ხები
1920 ... ...

წისქვილი

დოლაბი, აგრეთვე

ჩობანბეგის ფული

თუმანე-ნახჩევანის წილიდან, აგრეთვე

1 თუმანი 2498

მ ა რ ც ვ ლ ე უ ლ ი პ უ რ ი

... ნათესები 234

ხორბალი
7 ხარვალი

ქერი
30 ხარვალი

ძირითადი თანხა და დამატება (ეზაფე), რომელიც ხსენებულმა მიიღო, ასეთია:

ნაღდი

1 თუმ. 9340 დინ.

საქონელი (პროდუქტ.)
236

ხორბალი 204
ქერი 31

ძ ი რ ი თ ა დ ი

ნაღდი

1 თუმ. 7942 დინ.

[სოფ.] მელიქ-შაჰლუს მალუჯათი

ნაღდი 5444 დინ.
საქონელი 234
ხორბალი 204
ქერი 30

საქონელი (პროდუქტ.)
234

ხორბალი 204
ქერი 30

ჩობანბეგის ფული

1 თუმ. 2498 დინ.

დამატებითი (ეზაფე)

ათიდან ნახევარი, რომელიც სოფელ მელიქ-შაჰლუს [გადასახადთა] ჯამში შედის:

ნ ა ღ დ ი 1398

საქონელი (პროდუქტ.)
12 ხარვალი

ხორბალი 2 ხარვ.
ქერი 3 ხარვ

ღულამების სარქრიდან მოიწერეს, რომ ხსენებული [ჩელები-ბეგი] დანიშნული იყო ხორასანს ლაშქრობაში და 1106 წ. მოჰარემის თვის 4-დან[1] ექვსი თვით გაშვებულ იქნა თაჰსილდარობისათვის და მაღალადგილოვანმა ყულარაღასიმ ნება დართო. ამის საფუძველზე ძაღლის წელიწადის, 1105 წ. ზულ ჰიჯჯას თვიდან[2], 2 თუმანი და 9340 დინარი ნაღდი ფული და 246 ბათმანი მარცვლეული პური ხსენებული სოფლის მალუჯათიდან და თუმანე-ნახჩევანის ჩობანბეგიდან მის ჰამასალად დაგვიდგენია. ხსენებული ადგილის გლეხები (რაია) და აღნიშნული ფულის იჯარადარი, იცნობენ რა ხსენებულს თავის ჰამასალადარად, მისი ჰამასალას ფულს ყოველ წელიწადს გადასცემენ მას ღულამებისა და თოუჯიჰის დავთრის დადასტურებისა და ხელწერილის საფუძველზე.

დიდებულმა მუსტოფებმა, იმის შემდეგ, როცა ის მოათავებს თაჰსილდარობას და დაბრუნდება ლაშქარში, თუ ექნა რამე დასაბრუნებელი, მისი ჯამაგირიდან დაუკავონ და იმის შემდეგ, რაც ხსენებული ადგილი მისი ჰამასალასაგან განთავისუფლდება, ეზაფესათვის რამე არ შეუტანონ ჯამ'ში. ნაშთი ხსენებულის [მიერ] მოთხოვნილი ფულიდან, ამიერიდან რომ მოითხოვენ ჰამასალას, თუ წესის თანახმად შესაძლებელი იქნება მიცემა, ნატურით მისცენ მას ჰამასალა და, თუ მისი პრეტენზიების საწინააღმდეგოდ გამოირკვა, რომ მას არ აქვს საკუთრების უფლება, დივანიდან და იმ ადგილიდან ნუ მოითხოვენ [ფულს], რადგანაც მას არ მიეცემა ჰამასალა და „თანხაჰ". ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1106 წ. შავალის თვეს.

ცსსა, ფონ. 1452, საბ. 22. დედანი, ზომა: $53_5 \times 18_5$ სმ. დაწერილია შექასთენარევი ნასთალიკით თეთრ (გაყვითლებულ) ქაღალდზე. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის მრგვალი ბეჭედი, რომელსაც ტალღისებრი წრეწირი აქვს. ბეჭდის შუაგულში წერია: وارث ملک سلیمان جهان سلطان شاه حسین „ქვეყნის სულეიმანის სამეფოს მემკვიდრე შაჰსულთან ჰუსეინი". ამის გარშემო კი წარწერილია: اگر کند بدرقه [ما]همراهی تو لطف چرخ بردوش کشد غاشیه [ما]شاهی „თუ [ჩვენი] თანამგზავრი იქნება შენი წყალობა, ცის სფერო მხარზე მოიგდებს ჩვენდამი მორჩილების სამეფო მოსასხამს". ინვოკაციო ოქროს ვარაყით, ხოლო შესავალი ფორმულა წითელი მელნით არის დაწერილი. მეორე მხარეზე საბუთს ექვსი სარეგისტრაციო ბეჭედი უზის და შემდეგი მინაწერი აქვს: از قرار نوشته شرافت و وزارت و اقبال پناه حشمت و اجلال دستگاه عالیجاه وحید الزمان اعتضاد السلطنه اعتماد الدوله العلیه العالیه „კეთილშობილებისა, ვაზირობისა და იღბლის საფარველის, დიდებულების და ძლევამოსილების ძალის, მაღალადგილოვანის, ჟამთა [შინა] ერთადერთის, სახელმწიფოს ბურჯის, ე'თემად-უდ-დოვლეს... მოწერილობის თანახმად". სარეგისტრაციო ბეჭდების რიგის ქვეშ შემდეგი ანგარიშია მოტანილი:

[1] 1694 წ. აგვისტოს 25.
[2] 1694 წ. 24/VII.— 21/VIII.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

هو

٦ تومان ١٣٢٠ دينار ...
٥ تومان ٨٦٨٠ دينار

نقد جنس

٢٤٦ خروار

اتومان ٩٣٤٠ دينار

كندم	جو
٢١٥	٣١

رعايا

مستاجر

وجوه چوبانبيكى تومان نخچوان

ملک شاهلو تومان نخچوان

نقد جنس

٥٧٤٨	٢٤٦

كندم	جو
٥٢٤٤	٥٠٤

٢٨٤٢ دينار ... ٣١

١ تومان ٢٤٩٨ دينار

ე. ი.

ის (ღმერთი)

6 თუმანი 1320 დინარი...

5 თუმანი 8680 დინარი

ნ ა ღ დ ი საქონელი (პროდუქ.)

1 თუმანი 9340 დინ. 246 ხარვალი

ხორბალი	ქერი
215	31

ი ჯ ა რ ა დ ა რ ი თუმანე-ნახჩევანის ჩობანბეგის ფულისა

1 თუმანი 2498 დინ.

თუმანე-ნახჩევანის [სოფ.] მელიქ-შაჰლუს გლეხები (რაია)

ნ ა ღ დ ი საქონელი (პროდუქტ.)

5748 246

ხორბალი	ქერი
5244	504

2842 დინ. . . . 31

ეროვნული ბიბლიოთეკა

20

1695 წ. აგვისტოს 12 — სექტემბრის 10. შაჰ-სულთან ჰუსეინის ბრძანებულება ამირ ჰამზა-ხანიხათვის ყაითაყის ოლქის მმართველობისა და უცმიხ თანამდებობის მიცემის შესახებ

سواد من الاصل از شاه سلطان حسین من عنوان الکتاب باسم اوسمی امیر همزه خان

مهر

بندهٔ فرمان‌بر مولی[1] حق
سلطان حسین

حکم جهانمطاع شد آنکه چون کوهسار دولت پایدار برقرار و مرغزار مملکت ابد قرار این دُوده ستُوده شوکت و اقتدار بمیامن مرحمت دادار جهاندار پیوسته شیم ریز و طراوت خیز کشته جیب و دامان بنده‌کان اخلاص نشان که اباً عن جد بمحاسن خدمتکذاری دراین آستان اسمی و رسمی داشته اند از نقود مکارم فراوان مالامال و دماغ عیشیشان از تواتر وصول مراحم بی پایان طرب انکیز و بی ملال بوده و میباشد ازانجا که در دارالّضرب صدق این مدّعا درهم احوال امارت[2] و شوکت پناه و حشمت و جلالت دستکاه نظاما الأیاله و الشّوکة و الاقبال امیر همزه خان سکّه قبول یافته و سبیکه اعتقادش از شعله فروزان امتحان و آزمو[د]ن همایون مأ یافته بود تابشی از مشاعل الطاف شاهی و پرتوی از مصابیح اعطاف پادشاهی روشنی بخش ساحت امنیّت مشارالیه کردانیده از ابتداء هفتماهه تنکوز ئیل[3] منصب جلیل الشان ایالت و اوسمیکری قیتاق‌را بدستوری که در وجه اوسمی سابق مقّرر بود بایالت و شوکت پناه مومی الیه شفقت و عنایات فرموده ارزانی داشتیم که بواجبی در

---

[1] წერია: مولای
[2] წერია: امالت
[3] წერია: ائیل

ეროვნული ბიბლიოთეკა

خطط و حرارت الکا مساعی جمیله بظهور رسانیده حسن سعی و اهتمام خودرا در هر باب بر نواب کامیاب همایون ما ظاهر سازد و ریش‌سفیدان و سرخیلان جماعت قیطاق ایالت و شوکت پناه مزبور[1] را اوسمی و حاکم بالاستقلال خود دانسته اطاعت و انقیاد اورا لازم شمرند و از سخن و صلاح حسابی مشار الیه که مقرون بصلاح و دولت ابدیت باشد بیرون نروند مستوفیان عظام کرام دیوان اعلا رقم[2] اینعطیه‌را در دفاتر خود ثبت نموده از شایبه[3] تغییر و تبدیل مصون شناسند تحریرا [فی شهر] محرم الحرام سنه ۱۱۰۷

შაჰ-სულთან ჰუსეინის [ფირმანის] დედნის პირი, ამირ ჰამზა-ხან უცმის სახელზე გაცემული

ბეჭედი:

ჰეშმარიტების მეუფის მორჩილი მონა

სულთან ჰუსეინი

გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, მასზე, რომ, რადგანაც [ჩვენი] ფუძემაგარი სახელმწიფოს მთიანეთი მტკიცედ დგას და სამარადისო ქვეყნის მდელო ამ ქებული, ძლიერი და დიდებული ოჯახისა, წყალობის ბედნიერებით სამართლიან ქვეყნის მპყრობელად და მარადჟამ სინორჩის შემქმნელად გამხდარა—უბე და კალთა მისი ერთგული მონებისა, რომელნიც მამა-პაპიდან კეთილად ემსახურებიან ამ ზღურბლს[4], [და] კეთილშობილების მრავალი ნაღდი ფულისაგან ცხოვრების მხიარულად მატარებელთა გუნება უსასრულო წყალობათა განუწყვეტელი მიღებით სიხარულის მომგვრელი და უდარდელი იყო და არის.

ვინაიდან მთხოვნელის გულწრფელობის ზარაფხანაში ამ მმართველობისა და დიდებულების საფარველის და ბრწყინვალებისა და დიდების ძალის, მმართველობის დიდებულებისა და ბედნიერების მომწესრიგებლის ამირ ჰამზა-ხანის გარემოებათა დირჰემმა მიღების (შეწყნარების) სიქა მოიპოვა და მისი რწმენის ზოდმა მისი უავგუსტოესობის [მიერ გამართული] გამოცდისა და გამობრძმედების ელვარე ალში ბრწყინვალება შეიძინა, კაშკაშა [სინათლემ] შაჰური მოწყალების ჩირაღდნებიდან და სხივებმა ხელმწიფურ წყალობათა ლამპრებიდან გაანათეს ხსენებული [ამირ ჰამზა-ხანის] უსაფრთხოების (მშვიდობით ყოფნის) სივრცე,—ამიტომ ღორის წლის შვიდთვეობის დასაწყისიდან ყაითაყის მმართველობისა და უცმიობის დიდებული თანამდებობა იმ წესით, რა წესითაც წინანდელ უცმისათვის იყო დადგენილი, ხსენებულ მმართველობისა და დიდებულების საფარველს ვუბოძეთ და ვუწყალობეთ, რათა,

---

[1] წერია: مذبور

[2] წერია: رقم

[3] წერია: شبه

[4] ე. ი. შაჰის სასახლეს. იგულისხმება სეფიანთა დინასტია.

როგორც ჯერ არს, მეცადინეობა გამოიჩინოს ოლქის დაცვასა და შენახვაში და თავისი კეთილი ცადება და მეცადინეობა ყველაფერში ჩვენი უავგუსტოესობისათვის ცხადი გახადოს.

ყაითაყის ხალხის (ჯამაათის) პატივცემულმა პირებმა და თავკაცებმა ხსენებული მმართველობისა და დიდების საფარველი იცნონ თავის სრულუფლებიან უცმიდ და მმართველად (ჰაქემად), მისადმი მორჩილება და გამგონობა საჭიროდ აღიარონ და მის გონიერ სიტყვას და რჩევას, რაც სამარადისო სახელმწიფოსათვის საკეთილდღეო იქნება, არ გადაუხვიონ. მაღალი დივანის დიდებულმა მუსტოფებმა ამ ბოძებულების სიგელი სამარადისო დავთრებში შეიტანონ და შეცვლისა და გადასხვაფერების მანკისაგან დაცულად და დაფარულად იცნონ. დაიწერა 1107 წ. მოჰარემ ალ-ჰარამის თვეს.

ცსსა, ფონ. 1452, საბ. 58. პირი, გადაწერილი თეთრ ქაღალდზე ნასთალიკით. აკინძულია სხვა პირებთან ერთად ცალკე დავთარში. საბუთი გამოირჩევა სეფიანთა ხანის სხვა სპარსულენოვან ფირმანებისაგან თავისი მაღალფარდოვანი და ღვარჭნილი ენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

21

1695 წ. სექტემბრის 11 — ოქტომბრის 9. შაჰ-სულთან ჰუსეინის ბრძანებულება ქიზიყის მოურავის აბელ-ბეგის შაჰის პირადი ღულამების რიგებში ჩარიცხვის და მისთვის ყოველწლიურ ჯამაგირად 30 თავრიზული თუმნის დანიშვნის შესახებ.

هو

حکم جهانمطاع شد آنکه بنابر شفقت شاهانه در باره رفعت و معالی پناه ابول بیک ماوراو قسق از ابتداء ششماهه تنکوز ئیل مشارالیه‌را حسب الاستدعاء ایالت و شوکت پناه حشمت و جلالت دستگاه عالیجاه امیرالامراء العظام زینا للایاله و الشوکه و الحشمه و الجلاله و الاقبال کلبعلی خان زیاداغلی قاجار مصاحب سردار جنود ظفر ورود کرجستان و بیکلربیکی قراباغ و حاکم کاخت در سلک غلامان خاصه شریفه منتظم و مبلغ سی تومان تبریزی مواجب همه ساله [ازبابت] وجوه ضبطی وزیر آذربایجان در وجه مومی الیه عنایت و مکرمت فرمودیم مستوفیان عظام کرام دیوان اعلی رقم اینعطیه را در دفاتر خلود ثبت نموده از شایبه تغییر و تبدیل مصون و محروس شناسند و در باب همه‌ساله پروانچه اشرف مسوده نمایند تحریرا فی شهر صفر ختم بالخیر و الظفر سنه ۱۱۰۷

ის (ღმერთი).

გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ სიდიადისა და ალმატებულების საფარველის, ქიზიყის მოურავის აბელ-ბეგისადმი[1] მეფური წყალობის მიპყრობის გამო, ჩვენ ჩავრიცხეთ ის [შაჰის] პირადი ღულამების (ღოლამანე ხასეჲე შერიფე) რიგებში და ვუწყალობეთ და ვუბოძეთ ყოველწლიურ ჯამაგირად აზერბაიჯანის ვაზირის გამგებლობაში (ზაბთში) არსებული თანხებიდან ოცდაათი თავრიზული თუმანი, ღორის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან, თანახმად მმართველობისა და დიდების საფარველის, ბრწყინვალებისა და ძლევამოსილების ძალის, მაღალადგილოვანის, დიდებულ ამირათი-ამირას, საქართველოს ძლევამოსილი ჯარის სარდლის, ყარაბაღის ბეგლარბეგის და კახეთის მმართველის ქალბალი-ხან ზიად-ოღლი ყაჯარის თხოვნისა.

---

[1] წერია: ابول بیک „აბულ-ბეგ“.

მაღალი დივანის დიდებულმა და კეთილშობილმა მუსტოფებმა ამ ბრძნებულების სიგელი სამარადისო დავთრებში შეიტანონ, შეცვლისა და გადასხვაფერების მანკისაგან დაცულად და დაფარულად იცნონ ის და ყოველწლიური ჯამაგირის (ჰამასალას) შესახებ უკეთილშობილესი ფარვანა დასწერონ. დაიწერა და დასრულდა კეთილად 1107 წ. საფარის თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 44. დედანი, ზომა: 33×23$_8$ სმ. დაწერილია შექასთენარევი კალიგრაფიული ნასთალიკით თეთრ (შეყვითლებულ) ქაღალდზე. საბუთი მდიდრულად არის მოხატული ოქროს ვარაყით შესრულებული ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით. თავში (ზემო ამიაზე) მდიდრული უნვანი არის ოქროს ვარაყით და წითელი და მწვანე ფერებით მოხატული ორნამენტით. შაჰის მცირე ოთხკუთხი ბეჭედი ამ უნვანში არის ჩასმული, მაგრამ არა შუაში, არამედ ცოტა გვერდზე, მარჯვნივ. ბეჭდის წარწერა ასეთია: بندهٔ فرمان بر مولی حق سلطان حسین ۱۱۰۲ „ჭეშმარიტების მეუფის მორჩილი მონა სულთან-ჰუსეინი“. საბუთის ქაღალდს შემოვლებული აქვს ამიად ყვითელი ფერის ქაღალდი.

მეორე მხარეზე საბუთს წარწერილი აქვს: هو بالمشافهه العليه العاليه „ის. უმაღლესი ზეპირი ბრძანების თანახმად“. ამის ქვეშ დასმულია ე'თემად-უდ-დოვლეს ოვალური ბეჭედი. ამ ბეჭდის მარჯვნივ მიწერილია: ثبت دفتر غلامان شد „ჩაიწერა ღულამების დავთარში“. رسومات وضع میشود „რუსუმი (სარგო) გამოეკლება“. მეორე ბეჭედი, ოთხკუთხი, ქვეშ მიწერილი არ აქვს, დასმულია შუაში. ქვემოთ, მარჯვნივ, მიწერილია: ثبت نمایند „ჩასწერონ [დავთარში]“.

საბუთი გამოცემულია წიგნში: მ. ხუბუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, № 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22

1695 წ. ნოემბრის 9 — დეკემბრის 7. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი მელიქ სელიმისათვის შორაგელისა და შერაბხანეს ოლქების მელიქობის დამტკიცების შესახებ.

هو

الملک لله

فرمان همایون شد آنکه چون درینولا ملک سلیم ولد ملک خان باب ملک ناحیه شوره‌کل و شرابخانه وایلی بعرض رسانیدند که محل مزبور خراب و باير بوده و بحسن سعی والد او بحلیه آبادی در آمده و بیکلربیکیان سابق چخور سعد در ازاء خدمت مزبوره ملکی آنجا را بمشارالیه مرجوع و مقدار چهل و شش خروار و سی و هشت من و نیم دانک اجناس از بابت مالوجهات و منال قریه اندون و مزرعه ادریاد و سوده‌کن شوره‌کل و شرابخانه وایلی بهمه ساله والد مشارالیه مقرر نموده بودند که مقدار مزبوررا صرف معیشت خود و بخدمت مزبور قیام نمایند و والد او متوفی شده و نوشته از عالیجاه بیکلربیکی سابق چخور سعد بقید اینکه از ابتداء اودی ئیل ملکی مزبوررا بوالد مشار الیه مرجوع و مقدار چهل و شش خرواروسی و هشت من و نیم دانک اجناس از بابت حاصل قریه اندون و ادریاد و سوده‌کن ناحیه شوره‌کل و شرابخانه وایلی در وجه او مقرر نموده بوده که صرف معیشت خود نمایند ابراز و موازی ده عدد اشرفی برسم پیشکش قبول و استدعاء حکم اشرف در باب ملکی مزبور که بوالد مشارالیه مرجوع بوده باسم خود نمود و از سرکار اوارجهٔ آذربایجان و توجیه و سرخط تصدیق نمودند که مالوجهات شوره‌کل و شرابخانه ایلی ناحیه چخورسعد بمبلغ و مقداری مختلف در نسخه مداخل قوی ئیل لغایت تنکوز ئیل مرحوم صفی قلیخان بیکلربیکی سابق چخور سعد داخل و در وجه عالیجاه بیکلربیکی حال مقرر است و در باب ملکی ناحیه مزبوره ثبت حکمی بنظر نمیرسد بنابرین از ابتداء یازده ماهه ایت ئیل ملکی شوره‌کل و شرابخانه ایلی را بدستور والد بمشارالیه مفوض و مرجوع فرمودیم که هرگاه اکثر رعایا از حسن سلوک او مسلوکین بوده باشند بامر مزبور و لوازم آن قیام و اقدام نماید مستوفیان عظام موازی ده عدد اشرفی که پیشکش نموده در سال اول باسم او ابوابجمع[و]حواله نمایند و درین باب قدغن دانسته در عهده شناسند تحریرا فی شهر ربیع الثانی سنه ۱۱۰۷

ის (ღმერთი).

მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ ამჟამად შორაგელისა და შერაბხანეს და ელის ოლქის (ნაჰიეს) მელიქ-ხან ბაბას შვილმა მელიქ სელიმმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვახსენა, რომ ხსენებული ადგილი დანგრეული და დაუმუშავებელი იყო და მისი მამის დიდი მეცადინეობით აშენდა [ისევე]. ჩოხურ-საადის წინანდელმა ბეგლარბეგებმა აღნიშნული სამსახურის საზღაურად იქაური მელიქობა ხსენებულს მისცეს და ოდენობით 46 ხარვალი, 38 ბათმანი და ნახევარი დანგი პური (პროდუქტები) შორაგელის და შერაბხანეს... სოფელ ანდუნის და ადრიადის და სუდეგანის სახნავ-სათესი მიწების მალუჯათისა და მენალის ანგარიშში ჰამასალად დაუნიშნეს, რათა აღნიშნული ოდენობა [პურისა] თავის საცხოვრებელ სახსრად [გამოიყენოს] და ხსენებულ სამსახურში იდგეს. მამამისი გარდაიცვალა და [მელიქ სელიმმა] წარმოადგინა ჩოხურ-საადის წინანდელი ბეგლარბეგის წიგნი (წერილი), [რომელშიც] აღნიშნული იყო, რომ ხარის წლის დასაწყისიდან ხსენებული მელიქობა აღნიშნულის მამას მიეცა და ოდენობით 46 ხარვალი, 38 ბათმანი და ნახევარი დანგი პური შორაგელისა და შერაბხანას და ელის ნაჰიეს სოფელ ანდუნის და სუდეგანის მოსავლიდან მისთვის იქნა დადგენილი, რათა თავის საცხოვრებელ სახსრად გამოიყენოს. მან იკისრა ათი ცალი ოქროს (აშრაფის) წარმოდგენა ფეშქაშის წესით და ითხოვა თავის სახელზე [ის] უკეთილშობილესი ბრძანებულება ხსენებული მელიქობის შესახებ, რომელიც აღნიშნულის მამისადმი იყო გაცემული.

აზერბაიჯანის ავარეჯეს სარქრიდან, თოუჯიჰიდან და სარხათიდან დაამოწმეს, რომ ჩოხურ-საადის ნაჰიეს შორაგელისა და შერაბხანეს... მალუჯათი თანხის აღნიშვნით და სხვა და სხვა ოდენობით შედიოდა ჩოხურ-საადის წინანდელის წინა ბეგლარბეგის, განსვენებული სეფი ყული-ხანის შემოსავლის ნუსხაში ცხვრის წლიდან [დაწყებული] ღორის წლამდე და ახლანდელი მაღალადგილოვანი ბეგლარბეგისათვის არის დადგენილი, ხოლო ხსენებული ოლქის (ნაჰიეს) მელიქობის შესახებ ბრძანებულება აღნუსხული არ ყოფილა.

ამის საფუძველზე ძაღლის წლის თერთმეტთვეობის დასაწყისიდან შორაგელისა და შერაბხანეს... მელიქობა ხსენებულს ჩავაბარეთ და მივეცით იმ წესის მიხედვით, რა წესითაც მამამისს [ჰქონდა], რომ თუ გლეხების (რაიას) უმრავლესობა მისი კარგი მოქცევით დაცული იქნება [შევიწროებისაგან], ხსენებულ საქმეზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე იდგეს და იღვაწოს. დიდებულმა მუსტოფებმა ათი ცალი ოქრო (აშრაფი), რომელიც ფეშქაშად წარმოადგინა მან, პირველ წელს მის სახელზე ჩასწეროთ გადასახადად და მისცენ ჰავალე ამის ანგარიშში. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ და თავის მოვალეობად აღიაროთ [ამის შესრულება]. დაიწერა 1107 წ. რაბი' II თვეს.

ცსსა, ფონ. 1452, საბ. 83. დედანი, ზომა: 70×20,4 სმ. დაწერილია შექასთენარევი ნასთალიკით თხელ თეთრ ქაღალდზე. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის დიდი მრგვალი ბეჭედი წარწერით: وارث ملک جهان سلطان سلیمان حسین „ქვეყნიერების სულეიმანის სამეფოს მემკვიდრე სულთან ჰუსეინი“, ხოლო ამის გარშემო აშიაზე 12 იმამის სახელია მოხსენებული. საბუთის მეორე მხარეზე 7 სარეგისტრაციო ბეჭედია დასმული. საბუთის ქაღალდს ნარინჯისფერი ქაღალდის ჩარჩო აქვს შემოვლებული. საბუთი მოხატულია ოქროს ვარაყის ფოთლოვანი ორნამენტით, სტრიქონები აგრეთვე ოქროს ვარაყის ჩარჩოებშია ჩასმული. შაჰის ბეჭედი ოქროს ვარაყით და წითელი და ლურჯი ფერებით შესრულებულ ვარდულში ზის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23

1696 წ. მარტის 6 — აპრილის 3. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი იესე-ბეგის შვილის რევაზ-ბეგის მამის ნაცვლად შაჰის სარქრის მსახურად ჩარიცხვის და მისთვის ჯამაგირად 12 თავრიზული თუმნის დანიშვნის შესახებ

حکم جهانمطاع شد آنکه بنابر شفقت شاهانه در باره رفعت پناه ریواس بیک ولد عیسی بیک از ابتداء سجقان ئیل مشارالیه‌را در عوض والد در سلک ملازمان سرکار خاصه شریفه منتظم و مبلغ دوازده تومان تبریزی[1] مواجب که در وجه عیسی بیک مزبور مقرر بوده بدستور بمومی الیه عنایت فرمودیم مستوفیان عظام رقم این عطیه را در دفاتر خلود ثبت نموده از شایبه تغییر و تبدیل مصون و محروس شناسند و در عهده دانند تحریرا فی شهر شعبان المعظم سنه ۱۱۰۷

გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ აღმატებულების საფარველის იესე-ბეგის შვილის რევაზ-ბეგისადმი ხელმწიფური წყალობის მიპყრობის გამო, თაგვის წლის დასაწყისიდან ხსენებული [რევაზ-ბეგი] ჩავრიცხეთ [შაჰის] საკუთარი სარქრის (სერქარე ხასეჲე შერიფე) მსახურად (მულაზიმად) და წესისამებრ ვუწყალობეთ ჯამაგირად 12 თავრიზული თუმანი, რომელიც მოხსენებულ იესე-ბეგს ჰქონდა დანიშნული.

დიდებულმა მუსტოფებმა ამ ბოძებულების სიგელი სამარადისო დავთრებში შეიტანონ, შეცვლისა და გადასხვაფერების მანკისაგან დაცულად და დაფარულად იცნონ და თავის მოვალეობად აღიარონ [მისი შესრულება]. დაიწერა შა'ბანის თვეს 1107 წ.

ცსსა, ფონ. 1452 საბ. 23. დედანი, ზომა: 32×26 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე წვრილი ლამაზი ნასთალიკით. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის დიდი ოთხკუთხი ბეჭედი წარწერით: بندهٔ فرمان بر مولی حق سلطان حسین ۱۱۰۶ „ჭეშმარიტების მეუფის მორჩილი მონა სულთან ჰუსეინი. 1106“, რომელიც წითელი, მწვანე, შავი ფერისა და ოქროს ვარაყის ხაზებისაგან შემდგარ ჩარჩოშია ჩასმული. ასეთივე ხაზების ორმაგი ჩარჩო აქვს შემოვლებული საბუთის ტექსტს. საბუთის ქაღალდი ჩაწებებულია ყვითელი ფერის ქაღალდის ჩარჩოში. უკანა მხარეზე ჩანს მხოლოდ ე'თემად-უდ-დოვლეს ბეჭედი, რომლის ზემოთ აღნიშნულია; بالمشافهة العلیه العالیه „უმაღლესი ზეპირი ბრძანების თანახმად“. გვერდზე მიწერილია: ثبت دفتر توجیه دیوان اعلی شد „ჩაიწერა მაღალი დივანის თოუჯიჰის დავთარში“, ثبت دفتر سرخط شد—„ჩაიწერა სარხათის დავთარში“. მეორე თავში მიწერილია წვრილად ორჯერ: هو ثبت نمایند—„ის (ღმერთი). ჩასწერონ“.

[1] ეს თანხა განმეორებულია სიაყით სტრიქონს ზემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24

1696 წ. მარტის 6 — აპრილის 3. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი როსტომ-ბეგ კახელის შვილის პაატა-ბეგის გარდაცვლილი მამის ნაცვლად შაჰის სარჭრის ღულამების რიგებში ჩარიცხვის და მისთვის ჯამაგირად 12 თავრიზული თუმნის დანიშვნის შესახებ

هو

از ابتداء شش ماهه پیچی ئیل رفعت پناه بابه بیک ولد رستم بیک کاختی را در عوض والد او که متوفی شده در سلک غلامان سرکار خاصه شریفه منتظم و مبلغ دوازده تومان تبریزی[1] مواجب و همه ساله که در وجه والد او مقرر بوده در وجه مشار الیه شفقت فرمودیم مستوفیان عظام رقم این عطیه را در دفاتر خلود ثبت نموده در باب همه ساله پروانچه مطاعه مسوده نمایند و در عهده شناسند تحریرا فی شهر شعبان المعظم سنه ۱۱۰۷

ის (ღმერთი)

მაიმუნის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან აღმატებულების საფარველი პაატა-ბეგი, შვილი როსტომ-ბეგ კახელისა, მისი გარდაცვლილი მამის ნაცვლად ჩავრიცხეთ [შაჰის] სარჭრის ღულამების რიგებში და ჯამაგირად და ჰამასალად დავუნიშნეთ თორმეტი თავრიზული თუმანი, რომელიც მამამისს ჰქონდა დამტკიცებული. დიდებულმა მუსტოფებმა ამ ბოძებულების სიგელი სამარადისო დავთრებში შეიტანონ, ყოველწლიური ჯამაგირის (ჰამასალას) შესახებ საქვეყნოდ პატივსაცემი ფარვანა დასწერონ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა დიდებული შა'ბანის თვეს, 1107 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 11. დედანი, ზომა: 45×27,5 სმ. დაწერილია შექასთენარევი ნასთალიკით თხელ აღმოსავლურ ქაღალდზე. ტექსტის თავზე დასმულია [illegible] ოთხკუთხი გუმბათიანი ბეჭედი წარწერით: دیوان مسوده رهم „დივანის მიწერილობის ბეჭედი".

საბუთი წარმოადგენს შაჰის სამდივნოში დამზადებულ პირს, დუბლიკატს, რაზედაც პირველ სტრიქონზე ირიბად წარწერილი სიტყვა مثنی „პირი, დუბლიკატი" მიუთითებს.

საბუთი მოხატულია ოქროს ვარაყით შესრულებული ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით. მეორე მხარეზე მიწერილია: هو حسب الامر

[1] ეს თანხა სტრიქონს ზემოთ სიაყით არის განმეორებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

الاقاقا قرار نوشته شرافت و وزارت و اقبال پناه حشمت و عظمت و اجلال دستگاه عالیجاهی وحید الزمانی اعتضاد السلطنه البهیه السلطانیه آصفجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه „უმაღლესი ბრძანების თანახმად, კეთილშობილების, ვაზიროზბის და იღბლის საფარველის; დიდებულების, დიდების და ძლევამოსილების ძალის; მაღალადგილოვანის, ჟამთა [შინა] ერთადერთის, სახელმწიფოს ბურჯის, ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობის თანახმად“. ამ მინაწერის ქვეშ დასმულია ე'თემად-უდ-დოვლეს მცირე ოვალური ბეჭედი. საბუთს ამავე მხარეზე უზის შემდეგი ორი სარეგისტრაციო ბეჭედი (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: بنده شاه دین امت ابو الحسن ۱۰۹٦ „სარწმუნოების მეფის მონაა აბულ ჰასანი. 1096“. ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر خالص شد „ჩაიწერა ხალესის დავთარში“: 2. მცირე, ელიფსური, წარწერით: بنده آل محمد باقر, „მოჰამედის ოჯახის მონა ბაყერი“. ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر توجیه دیوان اعلی شد „ჩაიწერა მაღალი დივანის თოუჯიჰის დავთარში“. ამ გვერდის მეორე თავში წვრილად მიწერილია: ثبت نمایند هو „ის (ღმერთი). ჩასწერონ“. საბუთის ქაღალდს შემოვლებული აქვს ყვითელი ქაღალდის ჩარჩო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25

1696 წ. მარტის 6 — აპრილის 3. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი, რომლითაც გივი ამილახვრის ძმისშვილს იოთამ-ბეგს ეწყალობა ამილახვრის თანამდებობა და მთელი ის გასამრჯელო, რომელიც ამ სამსახურისათვის წინათ გივი ამილახვარს ეძლეოდა

ჟა

حکم جهانمطاع شد آنکه بنابر شفقت شاهانه در باره رفعت پناه یوتم بیک برادرزاده کیو امیلاخور سابق از ابتداء سیجقان ئیل خدمت مزبوررا بموی الیه عنایت و مکرمت و آنچه بهر جهت در ازاء خدمت مزبور در وجه کیو مشارالیه مقرر بود بدستور بمشار الیه مرحمت فرمودیم مستوفیان عظام رقم اینعطیه را در دفاتر خلود ثبت نموده از شایبه تغییر و تبدیل مصون و محروس شناسند و در عهده دانند تحریرا فی شهر شعبان المعظم سنه ۱۱۰۷

ის (ღმერთი)

გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, მასზედა, რომ წინანდელი ამილახვრის გივის ძმისშვილის იოთამ-ბეგის ხელმწიფური შეწყალების გამო, ჩვენ ვუწყალობეთ მას თაგვის წლის დასაწყისიდან ხსენებული სამსახური (ამილახვრობა) და ის, რაც აღნიშნული სამსახურის ასანაზღაურებლად ეძლეოდა ხსენებულ გივს, მას ვუწყალობეთ. დიდებულმა მუსტოფებმა ამ ბოძებულების სიგელი სამარადისო დავთრებში შეიტანონ, შეცვლისა და გადასხვაფერების მანკისაგან დაცულად და დაფარულად იცნონ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1107 წ. დიდებული შა'ბანის თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pđ, საბ. 129. დედანი, ზომა: 31×19 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე ლამაზი ნასთალიკით. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის ოთხკუთხი ბეჭედი წარწერით: بنده فرمان حسین سلطان حق ولی „ჭეშმარიტების მეუფის ჰუსეინ სულთან მორჩილი მონა“. საბუთის მეორე მხარეზე მიწერილია: هو بالمشافه العلیه العالیه „უმაღლესი ზეპირი ბრძანების თანახმად“. ამის ქვეშ ზის ე'თემად-უდ-დოვლეს ოვალური ბეჭედი წარწერით: لا اله الا الله الملک الحق المبین عبده محمد طاهر „არა არის ღმერთი, გარდა ალლაჰისა, ნათელი ჭეშმარიტების მეუფისა. მონა მისი მოჰამედ თაჰერი“. ამის გვერდზე, მარჯვენა აწიის კიდეზე, მიწერილია: ثبت دفتر توجیه دیوان شد علی „ჩაიწერა მაღალი დივანის თოუჯიჰის დავთარში“. ქვემოთ მიწერილია: „თათრული წიგნი არის, სა[ა]მილახვროს წყალობის წიგნი“. იქვე ორჯერ წერია: هو ثبت نمایند „ის (ღმერთი). ჩასწერონ [დავთარში]“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26

1696 წ. ივლისის 31 — აგვისტოს 29. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი ამირ ჯენასისათვის შორაგელისა და შარაბხანეს ოლქების (ნაჰიების) მელიქობის ბოძების შესახებ, რომელიც წინათ მის ძმისშვილს მელიქ-სელიმს ჰქონდა ნაწყალობევი

هو

الملک لله

فرمان همایون شد آنکه چون درینوقت امیر جناس عم ملک سلیم ملک شرابخانه و شوره‌کل ... ایلی بدرگاه معلی آمده بعرض رسانید که ملکی نواحی مزبوره بموجب پروانچه مطاع ببرادرزاده او و مقدار چهل و شش خروار و سی و هشت من و یکدانک اجناس از بابت مال و منال قریه اندون و مزرعهٔ ادریاد و سوده‌کین مزبوره در وجه مشارالیه مقرر بوده که صرف معیشت خود نماید و حال جمعی بر سر آب و زمین قریهٔ مزبوره آمده مزاحمت بحال ایشان میرسانند و استدعاء حکم اشرف درین باب بعهدهٔ عالیجاه بیکاربیکی چخورسعد نمود و از سرکار اوارجهٔ آذربایجان تصدیق نمودند که در باب ملکی مزبور پروانچه مطاع بتاریخ شهر ربیع الثانی سنه ۱۱۰۷[1] باین شرح صادر شده که چون درینولا سلیم ولد ملک خان باب ملک ناحیه شوره‌کل و شرابخانه ایلی بعرض رسانیده که محال مزبوره خراب و بایر بوده و بحسن سعی والد او بحلیه آبادانی در آمده و بیکاربیکیان سابقه چخور سعد در ازاء خدمت مزبوره ملکی آنجا را بمشارالیه مرجوع و مقدار چهل و شش خروار و سی و هشت من و یکدانک[2] اجناس از بابت مالوجهات و منال قریه اندون و مزرعهٔ ادریاد و سوده‌کین شوره‌کل و شرابخانه ایلی بهمه ساله مشار الیه مقرر نموده بوده اند که مقدار مزبوررا صرف معیشت خود و بخدمات مزبوره قیام نماید و والد او متوفی شده و نوشته از عالیجاه بیکاربیکی سابق چخور سعد بقید آنکه از ابتداء تنکوز ئیل ملکی مزبوررا بوالد مشارالیه مرجوع و مقدار چهل و شش خروار و سی و هشت من[1] و یکدانک اجناس از بابت حاصل قریه اندون و ادریاد و مزرعه سوده‌کین ناحیه شوره‌کل و شرابخانه وایلی در وجه او مقرر نموده بوده که صرف معیشت خود نماید ابراز و استدعاء حکم اشرف در باب ملکی مزبور

---

[1] იხ. აქვე სად. 22.

[2] იგივე თანხა განმეორებულია სიაყით სტრიქონს ზემოთ.

که والد مشارالیه مرجوع بوده باسم خود نموده و از سرکار اوارجه آذربایجان و توجیه و سرخط تصدیق نمودند که مالوجهات شوره‌کل و شرابخانه و ایلی نواحی چخورسعد بمبلغ و مقداری مختلف در نسخهٔ مداخل قوی ئیل لغایت تنکوز ئیل مرحوم صفی قلی بیک بیکربیکی سابق چخور سعد داخل و در وجه عالیجاه بیکربیکی حال مقرر است و در باب ملکی نواحی مزبوره ثبت حکمی بنظر نمیرسد از ابتداء یازده ماهه ایت ئیل ملکی شوره‌کل و شرابخانه و ایلی بدستور والد بمشارالیه مرجوع شد که هرگاه اکثر رعایا ازحسن سلوک او مسلوکین بوده باشند بامر مزبور و لوازم آن قیام و اقدام نماید بنابرین مقرر فرمودیم که عالیجاه بیکربیکی چخور سعد نگذارد احدی بخلاف حکم و حساب مزاحمت بحال ایشان رسانیده دخل در ملکی ملک سلیم مزبور نماید و در عهده شناسند تحریرا فی شهر محرم الحرام سنه ۱۱۰۸

ის (ღმერთი)

მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ ამჟამად ამირ ჯენასი, შარაბხანეს და შორაგელის ელის(?) მელიქის სელიმის ბიძა, მაღალ კარზე მოვიდა და მოგვახსენა, რომ თანახმად მისი ძმისშვილის[ადმი გაცემული] ფარვანისა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა, ხსენებული ოლქების (ნაჰიების) მელიქობა და 46 ხარვალი, 38 ბათმანი და ერთი დანგი პური სოფელ ანდუნ, ადრიად და სუდეგანის სახნავ-სათესი მიწების მალისა და მანალის ანგარიშში ხსენებულისათვის იყო დადგენილი, რათა თავის საცხოვრებელ სახსრად გამოეყენებინა. ახლა აღნიშნული სოფლის მიწა-წყალზე მოვიდა ერთი ჯგუფი [ხალხისა] და ავიწროებს მათ. მათ ითხოვეს, რომ ამის შესახებ ჩოხურ-საადის მაღალადგილოვანი ბეგლარბეგის სახელზე გამოცემული იქნეს ბრძანებულება.

აზერბაიჯანის ავარეჯეს სარქრიდან დაამოწმეს, რომ ხსენებული მელიქობის შესახებ 1107 წლის რაბი' II თვის თარიღით გამოცემული იქნა ფარვანა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა, რომ „ამჟამად სელიმმა, შორაგელისა და შარაბხანეს ელის ოლქის (ნაჰიას) მელიქის; მელიქ-ხან ბაბის შვილმა მოგვახსენა, რომ ხსენებული ადგილები დანგრეული და დაუმუშავებელი იყო და მისი მამის დიდი მეცადინეობით [ისევ] გაშენდა. ჩოხურ-საადის წინანდელმა ბეგლარბეგებმა აღნიშნული სამსახურის საზღაურად იმ ადგილის მელიქობა ხსენებულს მისცეს და 46 ხარვალი, 38 ბათმანი და ერთი დანგი პური (პროდუქტი) დაუნიშნეს ჰამასალად შორაგელის და შარაბხანეს სოფელ ანდუნის და ადრიად და სუდეგანის სახნავ-სათესი მიწების მალუჯათის და მანალის ანგარიშში, რათა აღნიშნული რაოდენობა [პროდუქტებისა] თავის საცხოვრებელ სახსრად მოიხმაროს და ხსენებულ სამსახურში იდგეს. მამამისი გარდაიცვალა და მან წარმოადგინა ჩოხურ-საადის წინანდელი მაღალადგილოვანი ბეგლარბეგის წიგნი იმის შესახებ, რომ ღორის წლის დასაწყისიდან ხსენებული [ადგილების] მელიქობა მის მშობელს ჰქონდა მიღებული და 46 ხარვალი, 38 ბათმანი და ერთი დანგი პური (პროდუქტები) შორაგელისა და შარაბხანეს ელის სოფელ ანდუნ, ადრიად და სუდეგანის სახნავ-სათესი მიწების მოსავლიდან მისთვის იყო დადგენილი, რათა თავის საცხოვრებელ სახსრად გამოიყენოს, და ითხოვა, რომ ხსენებული მელიქობის შესახები უკეთილშობილესი ბრძანებულება, რომელიც მის მამას ჰქონდა მიღებული, მის სახელზე [ყოფილიყო გამოცემული].

აზერბაიჯანის ავარეჯეს სარქრიდან, თოუჯიჰიდან და სარხათიდან [illegible] ადასტურეს, რომ ჩოხურ-საადის ოლქების (ნაჰიების) შორაგელისა და [illegible] ეს ელის მალუჯათი თანხის აღნიშვნით და სხვადასხვა ოდენობით შედიოდა ჩოხურ-საადის წინანდელი ბეგლარბეგის, განსვენებული სეფი ყული-ბეგის შემოსავლის ნუსხაში, [დაწყებული] ცხვრის წლიდან ღორის წლამდე, და ახლანდელი მაღალადგილოვანი ბეგლარბეგისათვის არის დადგენილი, ხოლო ხსენებული ოლქების (ნაჰიების) მელიქობის შესახებ ბრძანებულება აღნუსხული არ ყოფილა. ძაღლის წლის თერთმეტთვეობის დასაწყისიდან შორაგელის, შარაბხანეს და ელის მელიქობა ხსენებულს მიეცა იმავე წესით, რა წესითაც მამამისს ჰქონდა, რომ თუ გლეხების (რაიას) უმრავლესობა მისი კარგი მოქცევით დაცული იქნება [შევიწროებისაგან], მაშინ ხსენებულ საქმეზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე იდგეს და იღვაწოს. ამის საფუძველზე ჩვენ დავადგინეთ, რომ მაღალდგილოვანმა ჩოხურ-საადის ბეგლარბეგმა არ დაუშვას, რომ ვინმემ ბრძანებისა და სამართლიანობის საწინააღმდეგოდ ისინი შეავიწროოს და ხსენებული მელიქ სელიმის სამელიქოში შევიდეს. თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1108 წ. მოჰარემ ალ-ჰარამის თვეს.

ცსსა, ფონ. 1452. საბ. 84. დედანი, ზომა: $62_3 \times 23_2$ სმ. დაწერილია თხელ თეთრ ქაღალდზე შექასთენარევი ნასთალიკით. ტექსტის თავზე ზის ოქროს ვარაყის ვარდულში შაჰის იგივე დიდი მრგვალი ბეჭედი, რომელიც წინა საბ. 26-საც აქვს დასმული. მეორე მხარეზე რთულად გამოყვანილი სარეგისტრაციო მინაწერია, რომლის ქვეშ შუაში ე'თემად-უდ-დოვლეს მცირე ოვალური ბეჭედი ზის. მის მარჯვნივ კიდეზე მიწერილია صحه და ملاحظه شد „...განხილულ იქნა“. ქვემოთ ორი სარეგისტრაციო ბეჭედია დასმული: 1. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: افوض امری الی الله عبده ... علی ۱۱۰۷ „მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისათვის. მონა მისი... ალი. 1107“. 2. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: بنده شاه دین است ابو الحسن ۱۰۹۶ „სარწმუნოების მეფის მონაა აბულჰასანი. 1096“. ქვეშ მიწერილი აქვს: بیضه „თეთრი“. საბუთი მოხატულია ოქროს ვარაყის ფოთლოვანი ორნამენტით, სტრიქონები აგრეთვე ოქროს ვარაყის ჩარჩოებშია ჩასმული. საბუთის ქაღალდს შემოვლებული აქვს ყვითელი ქაღალდის აშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27

1696 წ. ოქტომბრის 28 — ნოემბრის 25. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი შაჰის საკუთარი სარქრის მსახურთა რიგებში ჩარიცხული დემეტრე-ბეგისათვის კუთვნილი ჯამაგირის მიცემის შესახებ.

هو

الملک لله

فرمان همایون شد آنکه جماعت مذکوره ضمن مبلغ هشت تومان و ششهزار و ششصد و نوزده دینار تبریزی[1] از بابت وجوهات [بشرحی] که در تحت اسم هر یک نوشته شده [در وجه مواجب هفتماهه][2] سجقان ئیل رفعت پناه دمادرا بیک کاختی شیرەجی که از سرکار توجیه و سرخط نوشته اند که حسب الرقم اشرف از ابتداء هفتماهه سنه مزبوره در سلک ملازمان سرکار خاصه شریفه منتظم و مبلغ پانزده تومان تبریزی مواجب در وجه مشارالیه شفقت شده و بعلت رسد هفتماهه سنه مزبوره را صاحب طلب است و جهت موقوفی ندارد حسب الظهر مقرر دانسته رسانند و از قرار قبض بخرج مجری دانند و در عهده شناسند تحریرا فی شهر ربیع الثانی سنه ۱۱۰۸

ის (ღმერთი)

მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ ამასთან მოხსენებულ პირთა ჯგუფი თავრიზული 8 თუმნისა და 6619 დინარის თანხას სახელმწიფო გადასახადებიდან, თვითეული მათგანის სახელის ქვეშ აღნიშნული წესის მიხედვით, მისცემენ აღმატებულების საფარველს დემეტრე-ბეგ კახელს, შირეჯის, რომ[ლის შესახებ] თოუჯიჰისა და სარხათის სარქრიდან მოიწერეს, რომ [შაჰის] უკეთილშობილესი სიგლის თანახმად ის ჩარიცხულია ხსენებული წლის შვიდთვეობის დასაწყისიდან [ხელმწიფის] საკუთარი სარქრის მსახურთა (სარქარე ხასეჯე შერიფე) (მულაზიმთა) რიგებში და ჯამაგირად ნაწყალობევი აქვს 15 თავრიზული თუმანი. მას ერგება ხსენებული წლის შვიდთვეობის წილი და [ამ თანხის გაცემის] შეჩერებისათვის საფუძველი არ არსებობს. [საბუთის] „ზურგზე“ აღნიშნულის თანახმად დადგენილად იცნობენ რა ამას, გადასცემენ [აღნიშ-

[1] იგივე თანხა განმეორებულია სიაყის ნიშნებით სტრიქონს ზემოთ.

[2] თითქმის მთელი სტრიქონი დაზიანებულია ქაღალდის დახევის გამო და რამდენიმე სიტყვა ძნელად იკითხება.

ნულ თანხას], ხელწერილის საფუძველზე ხარჯში გატარებულად იცნობენ და თავის მოვალეობად აღიარებენ [ამის შესრულებას]. დაიწერა 1108 წ. რაბი' II თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pქ, საბ. 12. დედანი, ზომა: 37,7×17 სმ. დაწერილია შექასთენარევი ნასთალიყით თეთრ ქაღალდზე. ტექსტის თავში დასმულია შაჰის დიდი მრგვალი ბეჭედი წარწერით: وارث ملک سلیمان جهان سلطان حسین „ქვეყნიერების სოლომონის სამეფოს მემკვიდრე სულთან ჰუსეინი“. ამის გარშემო აშიაზე 12 იმამის სახელებია მოცემული.

საბუთის უკანა მხარეზე შემდეგი მინაწერია: هو از قرار نوشته شرافت و وزارت و اقبال پناه حشمت و عظمت و جلالت دستگاه عالیجاه وحید الزمانی اعتضاد السلطنه السلطانیه البهیه آصفجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه بیضه „ის (ღმერთი). კეთილშობილებისა, ვაზირობისა და ბედნიერების საფარველის; ბრწყინვალებისა, დიდებულებისა და სიდიადის ძალის; მაღალადგილოვანის, ჟამთა [შინა] ერთადერთის, სახელმწიფოს ბურჯის, ასეფის პატივის მქონე ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობის თანახმად“. ამ მინაწერის ქვეშ ე'თემად-უდ-დოვლეს რთული თოღრაა გამოყვანილი და მის ქვეშ მცირე ოვალური ბეჭედია დასმული გაურკვეველი წარწერით. საბუთს უკანა მხარეზე ხუთი სარეგისტრაციო ბეჭედი უზის და იქვე შემდეგი ცნობებია მოტანილი:

هو

۱۵ تومان رسد هفتماهه

. . . .

. . . .

۸ تومان ٦٦١٩ دینار ۸ تومان ٦٦١٩ دینار

رفعت پنـــــــــــــــــاه رعایـــــــــــــــــــــــــا

زال بیک ولد بابونه بیک تیولدار قریه سنقراباد کنجه از بابت رسد همه قریه حسن کندی و کرموج من ساله فرهاد بیک که بجهة غیبت ضبط محال کوکچه‌دنکیز که تعهد باقی شده از بابت قوی ئیل سنوات محالمزبوره نموده از بابت رسد همه‌ساله جانی بیک و غیره غلامان عن رسد لوی ئیل لغایت قوی ئیل

ის (ღმერთი).

15 თუმანი შვიდთვეობის წილისა.

. . .

. . .

8 თუმანი 6619 დინარი

„აღმატებულების საფარველი ზაალ-ბეგი, პაპუნა-ბეგის შვილი, გოგჩა-დანგიზის ოლქის სოფლების—ჰასან-ქენდისა და ქარმუჯის

„გლეხობა (რაია) განჯის სოფელ სონყორაბადისა, ფერჰად-ბეგის ჰამასალას წილის ანგარიშში, რომელიც ჩამორთმეული იქნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიულდარი, რომელმაც დაივალდებულა ხსენებული ადგილების [გასული] წლების ნარჩენები ჯანიბეგის და სხვა ღულამების ჰამასალას წილიდან, ნიანგის წლის წილიდან ცხვრის წლამდე".

[ფერჰად-ბეგის] იქ არ ყოფნის გამო. ცხვრის წლის ანგარიშში".

მარჯვენა კუთხეში მიწერილია: صحه شد عمل چنین روز در „შეტანილია დღიურში...".

ამავე გვერდზეა მინაწერი: „თუმანი რვა მილატუნი ვ. ქ. გ. თუმანი მოგვებარა". იქვე: نمایند ثبت هو „ის (ღმერთი). ჩასწერონ [დავთარში]". ამის მარცხენა მხარეზე მიწერილია გაურკვეველი پیچیدبیک

საბუთი დაბეჭდილი იყო მ. ხუბუას მიერ წიგნში: „საქართვ. მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები", №20, გვ. 36, 106—108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28

1697 წ. აპრილის 23 — მაისის 21. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი თბილისის კურთხეული ციხის მცველების ალი მერდანისა და აბდარ-რეზაყ-ბეგ თოფჩიბაშის ჯამაგირის შესახებ.

هو

المکلک لله

موضع مهر مهر انوار لشرف اعلی

فرمان همایون شد آنکه جماعت مذکوره ضمن مبلغ بیست و چهار تومان و یکهزار و سیصد دینار نقد و مقدار شانزده خروار و نود من جنس از بابت وجوهات بشرحی که درتحت اسم هریک نوشته شده در وجه مواجب سنوات مذکوره ذیل

۲۸ تومان
توشقان ئیـــــــــــــــــل
۷ تومان ۱۲۲۵ دینار رسومات
٦ تومان ۸۷۷۵ دینار

۲۷ تومان ٦۱۰۰ دینار
پیچی ئیـــــــــــــــــــــــــل
٦ تومان ۸۷۷۵ دینار

تخاقوی ئیـــــــــــــــــل
٦ تومان ۸۷۷۵ دینار

تنکوز ئیـــــــــــــــــل
٦ تومان ۸۷۷۵ دینار

بعلیمردان ولد بیرام ساکن تبریز[1] تایین جوانمرد بیک یوزباشی بلوک رفعت و معالی پناه عبد الرزاق بیک توپچی باشی جلو که از سرکار توپخانه نوشته اند که از جمله مستحفظین قلعه مبارکه تفلیس که از قرار طومار عرض یونت ئیل که رسیده حاضر ودند و بعد از آن طومار عرض بدفتر نرسیده و بموجب وکالتنامچه که رفعت پناه خواجه افتخار مین‌باشی و عالیجاه والی تصدیق حضور سنوات مزبوره نموده اند [اما] مقلی بیک ولد محمد قاسم و کرکین ولد عبد الله توپچیان را وکیل نموده اند و رفعت پناه حسن بیک مین باشی تصدیق اعتبار نموده است و بتجویز عالیجاه توپچی باشی رسیده و طلب جهت موقوفی ندارد حسب الظهر مقرر دانسته رسانند و از قرار قبض بخرج مجری دانند تحریرا فی شهر شوال سنه ۱۱۰۸

---

[1] შეიძლება წაკითხული იქნეს აგრეთვე ترتر ტერტერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის (ღმერთი)
მეუფება ღვთისაა!
უკეთილშობილესი, უმაღლესი დივანის ბეჭდის ადგილი.

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი მასზე, რომ 24 თუმანი და 1300 დინარი ნაღდ [ფულად] და 16 ხარვალი და 90 ბათმანი ნატურით (პურით) სახელმწიფო გადასახადების (ვოჯუჰათის) ანგარიშში წარმოადგენს ამასთან მოხსენიებული ჯგუფის ქვემოთაღნიშნული წლების ჯამაგირს, როგორც თითოეული მათგანის სახელის ქვეშ წერია:

28 თუმანი.
კურდღლის წელიწადი
7 თუმანი 1225 დინარი
რუსუმი (სარგო)
6 თუმანი 8775 დინარი
ქათმის წელიწადი
6 თუმანი 8775 დინარი.

27 თუმანი 6100 დინარი
მაიმუნის წელიწადი
6 თუმანი 8775 დინარი

ღორის წელიწადი
6 თუმანი 8775 დინარი

ალი მარდანი, შვილი ბაირამისა, თავრიზს მცხოვრები, ბოლუქის უზბაშ ჯევან-მარდ-ბეგის ხელქვეითი [და] აღმატებულებისა და სიდიადის საფარველი აბდარ-რეზაყ-ბეგი, მცწინავე (ჯილავის) თოფჩიბაში, რომ[ელთა შესახებ] თოფხანას სარჭრიდან მოიწერეს, რომ თბილისის კურთხეული ციხის მცველთა რიცხვს ეკუთვნიან და ჯარის დათვალიერება-გასინჯვის ცხენის წლის ნუსხის (თუმარის) თანახმად, რომელიც შემოსულია [სარჭარში], ისინი სახეზე იყვნენ [სამსახურში.] და ამის შემდეგ ჯარის დათვალიერების ნუსხა დავთარში არ შემოსულა.

რწმუნებულების წიგნის თანახმად აღმატებულების საფარველმა ხოჯა ეფთეხარ მინბაშმა და მაღალადგილოვანმა ვალიმ დაადასტურეს [ამ პირთა სამსახურში] ყოფნა ხსენებულ წლებში. რწმუნებულებად მათ მეზარბაზნეები (თოფჩიები) მოჰამედ ყასემის შვილი იმამ ყული-ბეგი და აბდულლაჰის შვილი გურგენი დანიშნეს. აღმატებულების საფარველმა ჰასან-ბეგ მინბაშმა [ამის] სანდოობა დაადასტურა და მაღალადგილოვანმა თოფჩიბაშმა მოიწონა. მოთხოვნილი [ჯამაგირის გაცემის] დაბრკოლება-შეჩერებისათვის მიზეზი არ არსებობს. [საბუთის] „ზურგზე“ აღნიშნულის თანახმად დადგენილად იცნონ, [კუთვნილი ჯამაგირი] გადასცენ, ხელწერილის საფუძველზე ხარჯებში გატარებულად იცნონ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1108 წ. შავალის თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 13. პირი, ზომა: 34×20 სმ, გადაწერილია შექასთეს ხელით თეთრ ქაღალდზე. საბუთის უკანა მხარეზე შემდეგი მინაწერებია: و هو از قرار نوشته شرافت وزارت و اقبال پناه حشمت و عظمت و اجلال دستگاه عالیجاه وحید الزمانی اعتضاد السلطنه البهیه السلطانیه آصفجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه بیضه „ის (ღმერთი). კეთილშობილების, ვაზირობის და ბედნიერების საფარველის; ბრწყინვალების, დიდებულებისა და სიდიადის ძალის; მაღალადგილოვანის, ჟამთა [შინა] ერთადერთის, სახელმწიფოს ბურჯის, სახელმწიფოს ბრწყინვალების, ასაფის მაღალი პატივის მქონე ე'თემად-უდ-დოვლეს მოწერილობის თანახმად. თეთრი“. ამ მინაწერის ქვეშ მოთავსებულია ე'თემად-უდ-დოვლეს რთული თოღრას პირი. იქვე

მარჯვენა კუთხეში ირიბი სტრიქონით წარწერილია: ملاحظه شد صحه سواد مطابق اصل و اصل بمهر مبارک اشرف ملاحظه شد مهر عالیجاه انیس الدوله العلیه العالیه توپچی‌باشی قوبل مع ما قوبل باصله المطاع صحه „ის (ღმერთი). განხილულ იქნა... პირი დედანთან სწორია და დედანი კურთხეული, უკეთილშობილესი ბეჭდით განხილულ იქნა . . . მაღალადგილოვანი, უმაღლესი „სახელმწიფოს მეგობრის“ თოფჩიბაშის ბეჭედი. შედარებულია დედანთან, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყველა...“. მინაწერის ბოლოში დასმულია ოთხკუთხი ბეჭედი გაურკვეველი წარწერით. ამავე გვერდის მეორე თავში აგრეთვე წვრილი შექასთეს ირიბი სტრიქონებით მიწერილია (მინაწერი ძალიან დაზიანებულია და ბევრი ადგილი არ იკითხება): هو قبض دادند و قبول نمودند شجاعت... حاجی الحرمین الشریفین حاجی محمد ... توپچیان مستحفظین دایمی قلعه مبارکه تفلیس وکیلان کرکین بیک و ... مواجب سنوات ... وجه بیرام ساکن تبریز (ترتر?) مذکور که باسم رفعت پناه زال بیک کرجی تیولدار قریه حسن کندی و کرموج] مشارالیه واصل و عاید وکیلان مذکور کردید „ის (ღმერთი). ხელწერილი მისცეს და დათანხმდნენ... ჰაჯი მოჰამედი... თბილისის კურთხეული ციხის მუდმივი მცველები, რწმუნებულები გიორგი (გურგინ)-ბეგისა და... გასული წლების ჯამაგირი... თავრიზში (ტერტერში?) მცხოვრებ ბაირამისათვის, რაც სოფელ ჰასანქენდის და ქარმუჯის თიულდარის. სიმაღლის საფარველ ზაალ-ბეგ ქართველის სახელზე ხსენებული რწმუნებულებისათვის იქნა გადახდილი“. ქვემოთ აღნიშნულია 6 სარეგისტრაციო ბეჭდის ადგილი თავისი მინაწერებით.

საბუთის უკანა მხარის შუა ადგილი შემდეგ ანგარიშს უკავია:

۲۷ تومان ۵۱۱۰ دینار

[نقـــــــــــــــــد]

۲۸ تومان ۱۳۰۰ دینار

رفعت و معالی پنـــــــــــــــاه
مقرب الخاقانی وکالت صاحبجمع خزانه
عامره از بابت اجناس براتی

۹ تومان

رفعت پنـــــــــــــــاه
زال بیک کرجی تیولدار قریه حسن
کندی و کرموج رسد تیول که از
بابت اضافه محال مزبوره که بضبط
او مقرر است از بابت قوی ئیل لغایت
تنکوز[1] ئیل

جنـــــــــــــــــــس

۳ تومان ۳۶۰۰ دینار

۱۶ خروار ۱۰ من

. . . . . .

مرحوم محمد صالح بیک مین‌باشی
از بابت وجهی که والد ایشان بجهت
خرید استر بصیغه تحویل بازیافت نموده
و سند خرجی بدفتر رسانیده

۴ تومان

ضـــــــــــــــــــابط
و مستاجر وجوه نفط و نمک بادکوبه
از بابت وجه اجاره پیچی ئیل و
تخاقوی ئیل

[1] წერია: تنکوزی

٨ تومان ٣٨٠٠ دينار

رعايا ———————— ا

قريه مردان كندى . . . شيروان عن
رسد سيورغال نجفقلى[1] بيك كه ضبط
شده . . .

٣ تومان ٣٨٠٠ دينار مقررا غلّه...
١٦ خروار ١٠ من

١ تومان ٧٥٠٠ دينار
بيضه

27 თუმანი 5000 დინარი
28 თუმანი 1300 დინარი

აღმატებულებისა და სიდიადის საფარველი მოყარებ ალ-ხაყანი, აყვავებული ხაზინის საჰებ-ჯამ'-ის რწმუნებით, ბარათით [გასაცემი] პროდუქტების ანგარიშში.

9 თუმანი

აღმატებულების საფარველი ზაალ-ბეგ ქართველი, სოფლების ჰასან-ქენდისა და ქარმუჯის თიულდარი, თიულის წილი ხსენებული ადგილების ეზაფეს ანგარიშში, რომელიც მის ზაბთშია. ცხვრის წლის ანგარიშში ღორის წლამდე

8 თუმანი 3800 დინარი

შირვანის სოფელ მარდანქენდის რაია (გლეხები), ნაჯაფ ყულიბეგის სოიურღალის წილიდან, რომელიც გადაცემულია ზაბთში.

ნ ა ტ უ რ ი თ
3 თუმანი 3600 დინარი
16 ხარვალი 10 ბათმანი.

... ...

განსვენებული მოჰამედ სალეჰბეგ მინბაში, იმ ფულის ანგარიშში, რომელიც მათმა მამამ ჯორის[2] საყიდლად აიღო და ხარჯის ხელწერილი დავთარს გადასცა.

4 თუმანი

ზაბეთი და იჯარადარი ბაქოს ნავთისა და მარილის ფულისა, მაიმუნისა და ქათმის წლების იჯარის თანხების ანგარიშში

1 თუმანი 7500 დინარი.

თეთრი

3 თუმანი 3800 დინარი გარდაკვეთით, მარცვლეული პური
16 ხარვალი 10 ბათმანი.

საბუთი დაბეჭდილია მ. ხუბუას წიგნში: „საქ. მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები“, № 21.

---

[1] წაკითხვა სათუოა

[2] ტექსტში არის اسمر რომელიც შეიძლება წაკითხული იქნეს აგრეთვე როგორც اسير „ტყვე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29

1698 წ. იანვრის 13 — თებერვლის 11. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი გივი ამილახვრის ძმისშვილის იოთამ-ბეგისათვის ყოველწლიურ ჯამაგირად ასი თავრიზული თუმნის დანიშვნის შესახებ

هو

الملک لله

فرمان همایون شد آنکه عالیجاه بیکلربیکی قراباغ از ابتداء بارس ئیل مبلغ یکصد تومان تبریزی از بابت وجوه چوبان‌بیکی غازیان قاجار و رعایاء کنجه عن آنچه بهمه ساله کیو بیک ولد یوتم بیک امیلاخور مقرر بوده در وجه مواجب همه ساله یوتم بیک برادرزاده مشارالیه که از سرکار توجیه و سرخط نوشته اند که حسب الرقم اشرف از ابتداء سیچقان ئیل در عوض کیو بیک مزبور تعیین و آنچه بهر جهت در ازاء خدمت مزبور در وجه او مقرر بوده بمشارالیه شفقت شده حسب الظهر مقرر دانسته سال بسال از قرار تصدیق عالیجاه والی کرجستان واصل ساخته قبض بازیافت نمایند که از آنقرار مستوفیان عظام بخرج مجری دارند و هر ساله حکم مجدد نطلبند و در عهده شناسند تحریرا فی شهر رجب سنه ۱۱۰۹

ის (ღმერთი)
მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი, რომ მაღალადგილოვანმა ყარაბაღის ბეგლარბეგმა ჯიქის წლის დასაწყისიდან ასი თავრიზული თუმანი ყაჯარის [ტომის] ღაზიებისა და განჯის გლეხების (რაიას) ჩობანბეგის გადასახადების თანხების ანგარიშში, რაც ჰამასალად ჰქონდა დანიშნული იოთამ-ბეგ ამილახვრის შვილს გივ-ბეგს, იცნოს ხსენებულის ძმისშვილის იოთამ-ბეგისათვის ყოველწლიურ ჯამაგირად დანიშნულად. თოუჯიჰის და სარხათის სარქრიდან მოიწერეს, რომ უკეთილშობილესი სიგლის თანახმად, ხსენებული გივ-ბეგის ნაცვლად აქვს [მას ეს ჯამაგირი] დანიშნული თაგვის წლის დასაწყისიდან და ის, რაც აღნიშნული სამსახურის გასამრჯელოდ იყო მისთვის (მამისთვის) დადგენილი, ხსენებულს ეწყალობა. [საბუთის] „ზურგზე“ აღნიშნულის თანახმად დადგენილად იცნობენ რა, [აღნიშნულ თანხას] ყოველ წელიწადს მისცემენ [იოთამ ბეგს] მაღალადგილოვანი საქართველოს ვალის დასტურით და გამოართმევენ ხელწერილს, რომლის საფუძველზეც დიდებული მუსტოფები ხარ-

ჯებში გაატარებენ [ამ თანხას]. [ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1109 წ. რაჯაბის თვეს[1].

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pd, საბ. 130. დედანი, ზომა: 64 × 24 სმ. გადაწერილია თხელ თეთრ აღმოსავლურ ქაღალდზე კარგი შექასთენარევი ნასთალიკით. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის დიდი მრგვალი ბეჭედი, რომელსაც შუაგულში შემდეგი წარწერა აქვს: وارث ملک سلیمان جهان سلطان حسین „ქვეყნის სულეიმანის სამეფოს მემკვიდრე სულთან ჰუსეინი“, ხოლო ამის გარშემო აშიაზე 12 იმამის სახელია მოტანილი.

საბუთის მეორე მხარეზე წარწერილია: حسب الامر الاعلی از قرار نوشته وزارت و اقبال پناه حشمت وعظمت و جلالت دستگاه عالیجاه وحید الزمان اعتضاد السلطنه ... اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه بیضه ბოლოში დასმული بیضه განსხვავებული ფორმის არის. ამ წარწერის ქვეშ ზის ე'თემად-უდ-დოვლეს მეტად რთული თოღრა და მისივე ოვალური ბეჭედი. ამ თავშივე მარჯვენა მხარეზე წვრილად წარწერილია: صحه და ملاحظه شد „...განხილულ იქნა“. ქვემოთ შემდეგი ბეჭდებია დასმული (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: بنده شاه دین است ابوالحسن ١٠٩٦ „სარწმუნოების მეფის მონაა აბულჰასანი. 1096“. ქვეშ მიწერილი აქვს: نوشته شد „დაიწერა“. 2. მცირე, ოთხკუთხი, გაურკვეველი წარწერით, ხოლო ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر سرخط شد „ჩაიწერა სარხათის დავთარში“. 3. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: افوض امری الی الله عبده ... علی „მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისათვის. მონა მისი . . . ალი“. ქვეშ გაურკვეველი მინაწერი აქვს. 4. მცირე, ოთხკუთხი, გაურკვეველი წარწერით. 5. მცირე, ელიფსური, წარწერით: بنده آل محمد باقر „მოჰამედის ოჯახის მონა ბაყერი“. ქვეშ მიწერილი აქვს: بقلم آمد „ჩაიწერა“. საბუთის ამავე მეორე მხარეს შუაგულში მიწერილია ორ ადგილას სიაყით صد تومان „ასი თუმანი“. ერთ მინაწერს ქვეშ بیضه „თეთრი“ აქვს დასმული. ამავე გვერდის ერთ თავში წვრილად მიწერილია: ثبت نمایند „ჩასწერონ [დავთარში]“.

[1] შდრ. ნაზარალიხანის (ერეკლე I) წყალობის წიგნი 1692 წ. დეკემბრის დამდეგის თარიღით, რომლითაც ის ჰპირდება იოთამ ამილახვარს, რომ „დიდის მონდომებით“ ეცდება „უშოვოს“ შაჰისაგან ჯამაგირად 100 თუმანი, რომელიც იოთამის მამა-პაპათაც ჰქონიათ (იხ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955 წ. გვ. 355—358).

ეროვნული ბიბლიოთეკა

30

1698 წ. აპრილის 12 — მაისის 10. შაჰ-სულთან ჰუსეინის ბრძანებულება ავთანდილ-ბეგისთვის ამილახვრობის ბოძების და ამ სამსახურისათვის მთელი იმ გასამრჯელოს დანიშვნის შესახებ, რომელიც მისი გარდაცვლილი ძმის იოთამ-ბეგისთვის იყო დადგენილი

هو

حکم جهان مطاع شد آنکه بنابر. شفقت شاهانه در بارهٔ رفعت و معالی پناه اقتندیل بیک برادر یوتم بیک امیلاخور سابق از تاریخ فوت یوتم بیک مزبور خدمت مذکوررا با آنچه بهر جهت در وجه مومی الیه مقرر بود بدستور برفعت و معالی پناه مزبور عنایت و مکرمت فرمودیم که بواجبی بامر مزبور و لوازم آن قیام و اقدام نمایند مستوفیان عظام کرام دیوان اعلی حسب المسطور مقرر دانسته در دفاتر خلود عمل نمایند و در عهده شناسند تحریرا فی شهر شوال سنه ۱۱۰۹

ის (ღმერთი)

გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ წინანდელი ამილახვრის იოთამ-ბეგის ძმის, აღმატებულებისა და სიდიადის საფარველის ავთანდილ-ბეგისადმი ხელმწიფერი წყალობის [მიპყრობის] გამო, ჩვენ წესის მიხედვით ვუწყალობეთ და ვუბოძეთ მას ხსენებული იოთამ-ბეგის გარდაცვალების თარიღიდან აღნიშნული სამსახური მთელი იმ [გასამრჯელოთი], რაც ხსენებულს ჰქონდა დანიშნული, რათა მან სათანადოდ იღვაწოს და იმსახუროს ხსენებულ თანამდებობაზე.

მაღალი დივანის დიდებულმა და კეთილშობილმა მუსტოფებმა დაწერილის თანახმად დადგენილად იცნონ [ეს], სამარადისო დავთრებში შეიტანონ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა 1109 წ შავალის თვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Pđ, საბ. 131. დედანი, ზომა: $40 \times 25_6$ სმ. დაწერილია თხელ თეთრ ქაღალდზე ნასთალიკის ხელით. ტექსტის თავზე დასმულია შაჰის ოთხკუთხი ბეჭედი წარწერით: بنده فرمان‌بر مولی حق سلطان حسین „ჰეშმარიტების მეუფის მორჩილი მონა სულთან ჰუსეინი“. საბუთს უკანა მხარეზე შემდეგი მინაწერები და ბეჭდები აქვს: هو حسب الامر الاعلی از قرار نوشته شرافت و وزارت او اقبال پناه عظمت و حشمت و جلالت دستگاه عالیجاهی وحید الزمان عتضاد السلطنه البهیه السلطانیه آصفجاهی اعتماد الدوله العلیه العالیه الخاقانیه

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის ქვეშ დასმულია ე'თემად-უდ-დოვლეს ოვალური ბეჭედი წარწერით, რომელშიც იკითხება სახელი طاهر „თაჰერი“. სარეგისტრაციო ბეჭდები და აღნიშვნები საბუთს შემდეგი აქვს (მარჯვნიდან მარცხნივ): 1. მცირე, ოთხკუთხი, წარწერით: بنده شاه دين است ابو الحسن ١٠٩٦ „სარწმუნოების მეფის მონაა აბულ ჰასანი. 1096“. ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر خالص شد „ჩაიწერა ხალესის დავთარში“. 2. ხსენებული ბეჭდის ქვეშ ზის ოთხკუთხი ბეჭედი გაურკვეველი წარწერით, ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفترسرخط شد „ჩაიწერა სარხათის დავთარში“. 3. ოთხკუთხი, წარწერით: ... عبده الله الى امری افوض „მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისათვის. მონა მისი...“. 4. ელიფსური, წარწერით: بنده آل محمد باقر ١٠٨٨ „მოჰამედის ოჯახის მონა ბაყერი. 1088“. ქვეშ მიწერილი აქვს: ثبت دفتر توجيه ديوان شد „ჩაიწერა თოუჯიჰის დივანის დავთარში“. საბუთის ამავე მხარის მეორე თავში წვრილად მიწერილია ორჯერ: هو ثبت نمايند „ის (ღმერთი). ჩასწერონ [დავთარში]“. აშიაზე მიწერილია: „ქ. ამილახორობის ფარმანი არის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31

1698 წ. მაისის 11 — ივნისის 9. შაჰ-სულთან ჰუსეინის ფირმანი ავთანდილ-ბეგ ამილახვრისათვის, მისი გარდაცვლილი ძმის იოთამ-ბეგის ნაცვლად, ყოველწლიური ჯამაგირის დანიშვნის შესახებ

هو

الملک لله

فرمان همایون شد آنکه عالیجاه بیکاربیکی قراباغ مبلغ یکصد تومان تبریزی از بابت وجوه چوپان‌بیکی آنجا که باجاره او مقرر است عن آنچه از ابتداء بارس ئیل بهمه ساله یوتم بیک امیلاخور سابق مقرر شده بوده و متوفی شده در وجه مواجب همه ساله افتندیل بیک برادر مشارالیه که از سرکار توجیه و سرخط نوشته اند که حسب الرقم اشرف از تاریخ فوت برادر خود در عوض مشارالیه تعیین و همه ساله متوفی مذکور در وجه او مقرر گشته حسب الظهر مقرر دانسته سال بسال از قرار تصدیق عالیجاه والی گرجستان رساند و از قرار قبض بخرج مجری داند و در عهده شناسد تحریرا فی شهر ذی قعده الحرام سنه ۱۱۰۹

ის (ღმერთი).

მეუფება ღვთისაა!

გამოვიდა უაღგუსტოესი ფირმანი, რომ ყარაბაღის მაღალადგილოვანმა ბეგლარბეგმა ასი თავრიზული თუმანი იქაური ჩობანბეგის ანგარიშში, რაც მას იჯარით აქვს დადგენილი, იმ ანგარიშით, როგორც ჯიქის წლის დასაწყისიდან ყოველწლიურ ჯამაგირად (ჰამასალად) ჰქონდა დამტკიცებული იოთამ-ბეგს, წინანდელ ამილახვარს, რომელიც გარდაიცვალა, ყოველწლიურ ჯამაგირად დანიშნულად იცნოს ხსენებულის ძმის ავთანდილ-ბეგისათვის, რომლის შესახებ თოუჯიჰისა და სარხათის სარქრიდან მოიწერეს, რომ [შაჰის] უკეთილშობილესი რაყამის თანახმად, ის თავის ძმის გარდაცვალების თარიღიდან მის ნაცვლად იქნა დანიშნული და ხსენებული გარდაცვალებულის ჰამასალაც მისთვის იქნა დამტკიცებულიო.

